

სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

STUDENT SCIENTIFIC AND PRACTICAL JOURNAL

სტუდენტური კვლევები და პროექტები

STUDENT RESEARCH AND PROJECTS



ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
Faculty of Economics and Business



სტუდენტური კვლევებისა და პროექტების
ცენტრი „იდეა“
Student Research and Projects Center „Idea“

2018

1-2

სტუდენტური კვლევები და პროექტები

STUDENT RESEARCH AND PROJECTS

№1-2, 2018

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრა
სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“

სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი
სტუდენტური კვლევები და პროექტები

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Economics and Business
Chair of Management and Administration
Student Research and Projects Center IDEA

Student Scientific and Practical Journal
STUDENT RESEARCH AND PROJECTS

გამოდის კვარტალში ერთხელ
Published once in the quarter

მისამართი: საქართველო, თბილისი 0186, უნივერსიტეტის ქ. №2, თსუ მე-10 (მაღლივი) კორპუსი,
ოთახი №1008.

ტელ.: +995 577 970277 - გიორგი შიხაშვილი; +995 598 101314 - მარიამ მჭედლიშვილი;
+995 598 691800 - თეიმურაზ ჩუბინიძე.

Address: Room #1008, TSU Building/Block 10 (Maghlivi), 2, University Street, 0186 Tbilisi, Georgia
Tel.: +995 577 970277 Giorgi Shikhashvili; +995 598 101314 – Mariam Mchedlishvili;
+995 598 691800 - Teimuraz Chubinidze.

ISSN 2587-4705

**სტუდენტური ცენტრი „იდეას“
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი
„სტუდენტური კვლევები და პროექტები“**

თსუ სტუდენტური სამეცნიერო პროექტების დაფინანსების განმსაზღვრელი საბჭოს 2017 წლის 21 მაისის გადაწყვეტილებით დაფინანსდა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეას“ მიერ

წარმოდგენილი სამეცნიერო პროექტი -

*1 საერთაშორისო სტუდენტური საზაფხულო
სამეცნიერო-პრაქტიკული სკოლა*

**„საქართველო-ისრაელის ურთიერთობები
- ახალი ტექნოლოგიების მართვა ურბანულ და აგრორულ სექტორებში“**
(საქართველო, ბათუმი, გონიო. 2-9 აგვისტო, 2017)

საზაფხულო სკოლის მიმდინარეობისას დაფუძნდა ცენტრი „იდეას“ სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი **„სტუდენტური კვლევები და პროექტები“**, რომლის პირველი ნომერი დაიბეჭდა თსუ-ის გამომცემლობაში 2017 წლის დეკემბერში.

**Student Center IDEA's
Scientific and Practical Journal
“Student Research and Projects”**

By the decision of May 21, 2017, the Council of TSU,
that makes decision about financing the Student Scientific Projects, approved to finance Scientific Project that was
presented by the Student Research and Project Center IDEA at Faculty of Economics and Business TSU

– *1st International Summer Scientific-Practical School*

“Georgia-Israel relations

– Managing New Technologies in Urban and Agricultural sectors”

(Georgia, Batumi, Gonio. August 2-9, 2017).

During the Summer School was founded Student Center IDEA's
Scientific and Practical Journal

“Student Research and Projects”

First number of the Journal was printed in the TSU publishing house
in December 2017

ჟურნალის საგამომცემლო ჯგუფი

გიორგი შიხაშვილი - რედაქტორი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, თსუ სტუდენტური ცენტრი „იდეას“ დირექტორი

მარიამ მჭედლიშვილი - რედაქტორის მოადგილე, თსუ სტუდენტური ცენტრი „იდეას“ დირექტორის მოადგილე

თეიმურაზ ჩუბინიძე - რედაქტორის მოადგილე, თსუ სტუდენტური ცენტრი „იდეას“ მენეჯერი

მთვარისა ქვრივიშვილი - თსუ სტუდენტური ცენტრი „იდეას“ მენეჯერი

ნუგზარ ჯანვერდაშვილი - თსუ სტუდენტური ცენტრი „იდეას“ მენეჯერი

შოთა გაბადაძე - თსუ სტუდენტური ცენტრი „იდეას“ მენეჯერი

ნია თოდუა - თსუ სტუდენტური ცენტრი „იდეას“ მენეჯერი

ხათუნა თურმანიძე - ბსუ სტუდენტური ცენტრი „ახალი ხედვას“ დირექტორის მოადგილე

EDITORIAL GROUP OF THE JOURNAL

Giorgi Shikhashvili – Editor, Associate professor of the Faculty of Economics and Business TSU, Director of the Student Center IDEA TSU

Mariam Mchedlishvili – Deputy Editor. Deputy director of the Student Center IDEA TSU

Teimuraz Chubinidze – Deputy Editor. Manager of the Student Center IDEA TSU

Mtvarisa Kvrivishvili – Manager of the Student Center IDEA TSU

Nugzar Janverdashvili – Manager of the Student Center IDEA TSU

Shota Gabadadze – Manager of the Student Center IDEA TSU

Nia Todua – Manager of the Student Center IDEA TSU

Khatuna Turmanidze – Manager of the Student Center NEW VISION BSU

ჟურნალის კონსულტანტები:

- ელგუჯა მექვაბიშვილი** - თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი, ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესის“ მთავარი რედაქტორი
- თეიმურაზ ბერიძე** - თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი
- ეთერ ხარაიშვილი** - თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი
- ნუგზარ თოდუა** - თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი
- დავით ნარმანია** - თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი
- რევაზ გოგოხია** - ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესის“ რედაქტორი, პროფესორი
- ნათელა ნიკლაშვილი** - ბსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი
- მურმან ცეცხლაძე** - ბსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
- ნიკოლოზ ბაკაშვილი** - აუდიტორული ფირმა „ბაკაშვილი და კომპანის“ დირექტორი, პროფესორი
- აჰარონ გაგულაშვილი** - ფირმა „ნეტაფიმ-საქართველოს“ დირექტორი, ისრაელი

CONSULTANTS OF THE JOURNAL:

- Elguja Mekvabishvili** – Professor of the Faculty of Economics and Business TSU
Editor-in-Chief of the Journal “Economics and Business”
- Teimuraz Beridze** – Dean of the Faculty of Economics and Business TSU, Professor
- Eter Kharaishvili** – Professor of the Faculty of Economics and Business TSU
- Nugzar Todua** – Professor of the Faculty of Economics and Business TSU
- David Narmania** – Professor of the Faculty of economics and Business TSU
- Revaz Gogokhia** – Editor of the Journal “Economics and Business”, Professor
- Natela Tziklashvili** – Professor of the Faculty of economics and Business BSU
- Murman Tsetskhladze** - Associate Professor of the Faculty of Economics and Business BSU
- Nikoloz Bakashvili** – Director of the Audit Firm “Bakashvili and Company”, Professor
- Aharon Gagulashvili** – Director of the Firm “Netafim-Georgia”, Israel

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და
პროექტების ცენტრი „იდეას“

მოკლე ისტორია და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები



ცენტრის სლოგანია:

„ფიქრი იდეისთვის, კვლევა პროექტისთვის, მართვა წარმატებისთვის“
„Think for an Idea, Research for a Project, Manage to Succeed“

სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეას“ ისტორიისა და საქმიანობის მოკლე მიმოხილვა (2000-2018 წწ.)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეას“ (შემდგომში - „ცენტრი“) შეიქმნა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა კურთხევით 2000 წლის 8 თებერვალს მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრაზე და წარმოადგენს ფაკულტეტის შემადგენლობაში შემავალ სამეცნიერო-კვლევით ერთეულს.

ცენტრის შექმნიდან დღემდე მისი დირექტორია მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის ასოცირებული პროფესორი გიორგი შიხაშვილი.

ცენტრის ოფისი მდებარეობს შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი, 0186, უნივერსიტეტის ქუჩა, 2, თსუ მალღივი (X) კორპუსი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ოთახი 1008.

დღეისათვის ცენტრის პერსონალურ შემადგენლობაშია ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის 40-ზე მეტი სტუდენტი, რომელთაგან 12 სტუდენტი ცენტრის გამგეობის წევრია.

ცენტრთან არსებულ მრჩეველთა და მზრუნველთა საბჭოებში გაერთიანებული არიან ქართველი და უცხოელი საზოგადო მოღვაწეები, დიპლომატები, მეცნიერები, სპეციალისტები და ბიზნესმენები, რომლებიც დიდ დახმარებას უწევენ ცენტრს.

2016 წლის 1 ივნისიდან ცენტრმა ბინა დაიდო ახალ ოფისში (თსუ მალღივი კორპუსი, ოთ. #1008), სადაც შემომნიშვნელების დახმარებით კარგი პირობებია შექმნილი მუშაობისათვის. ასეთი გარემოება დიდ სტიმულს აძლევს ცენტრის წევრებს ნაყოფიერი საქმიანობისათვის.

ცენტრი „იდეას“ მიზნები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეას“ მიზნებია:

1. თსუ-სა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში სოციალურ-ეკონომიკური და ბიზნეს-სამენეჯმენტო პროფილის სტუდენტთა ცოდნისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დონის ამაღლების ხელშეწყობა;
2. სწავლების სამივე საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლების, მეცნიერების, სპეციალისტების, ბიზნესმენების, სახელმწიფო, ბიზნეს- და არასამთავრობო ორგანიზაციების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და ყველა სხვა დაინტერესებული მხარის თანამშრომლობის ხელშეწყობა ეკონომიკის, ბიზნესისა და მენეჯმენტის აქტუალური საკითხების კვლევისა და სათანადო პროექტების შემუშავება-განხორციელების სფეროში;
3. ხელშეწყობა უნივერსიტეტის, კერძოდ კი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის განვითარება-პოპულარიზაციაში და მისი ფინანსური სახსრების ზრდაში ცენტრის საქმიანობის შედეგად მიღებული გრანტებიდან და სხვა შემოსავლებიდან.

მიზნების განხორციელებისათვის ცენტრი საქმიანობას წარმართავს შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

1. დაინტერესებულ მხარეებთან ერთობლივი ინტერდისციპლინური, მულტიდისციპლინური, სუბდისციპლინური და ინოვაციური კვლევების ჩატარება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, ბიზნესისა და სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში; სათანადო რეკომენდაციების, პროექტების, პროგრამების შემუშავება და მონაწილეობის მიღება მათ პრაქტიკულ განხორციელებაში;
2. საქართველოში პროექტების მართვის შესწავლით დაინტერესებული ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადების ხელშეწყობა;
3. სათანადო საინფორმაციო-საკონსულტაციო და სატრენინგო სისტემის შექმნა;
4. საგამომცემლო საქმიანობა: სამეცნიერო, სასწავლო, საინფორმაციო, საკონსულტაციო და სხვა სახის ლიტერატურის გამოცემა;
5. ქვეყნისა და საერთაშორისო მასშტაბით სტუდენტთა, მეცნიერთა და ბიზნესმენტთა დაახლოებისა და თანადგომის ხელშეწყობა, გაცვლით სამეცნიერო-სასწავლო პროგრამებში მონაწილეობა;
6. კონფერენციების, სიმპოზიუმების და სემინარების ჩატარება.

ცენტრის გრძელვადიანი გეგმის მიხედვით მიმდინარეობს სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო-სატრენინგო სამუშაოები და შესაბამისი პროექტების/ლონისძიებების განხორციელება.

რციელება შემდეგი ძირითადი პროგრამების საფუძველზე:

1. „შეიმეცნე და აალორძინე საქართველო“ - ხორციელდება ცენტრთან არსებული ეროვნული ეკონომიკისა და ბიზნესის კვლევის სექტორში;
2. „ისრაელის ეკონომიკა და ბიზნესი“ - ხორციელდება ცენტრთან არსებული ისრაელის ეკონომიკისა და ბიზნესის კვლევის სექტორში;
3. „აშშ-ის ეკონომიკა და ბიზნესი“ - ხორციელდება ცენტრთან არსებული ამერიკული ეკონომიკისა და ბიზნესის კვლევის სექტორში;
4. „ბრიტანეთის ეკონომიკა და ბიზნესი“ - ხორციელდება ცენტრთან არსებული ბრიტანული ეკონომიკისა და ბიზნესის კვლევის სექტორში;
5. „აზერბაიჯანის ეკონომიკა და ბიზნესი“ - ხორციელდება ცენტრთან არსებული აზერბაიჯანის ეკონომიკისა და ბიზნესის კვლევის სექტორში.

უახლოეს მომავალში დაგეგმილია ცენტრში შეიქმნას თურქეთის, სომხეთის, ესტონეთის და იტალიის ეკონომიკისა და ბიზნესის კვლევის სექტორები.

2000 წლიდან დღემდე ცენტრი „იდეას“ ინიციატივით/თანაინიციატივით, ორგანიზებით/თანაორგანიზებით და მონაწილეობით ჩატარებულია ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციები, საზაფხულო სკოლა და აკადემიური სემინარი, რომელთაგან გადმოვცემთ უმთავრესს:

1. I სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა - თსუ-2005“ (თსუ მაღლივი კორპუსი, 2005 წლის 19 აპრილი);
2. სამეცნიერო სემინარი: „მდგრადი ეკონომიკურ-ეკოლოგიური განვითარების პერსპექტივები საქართველოში“ (თსუ მაღლივი კორპუსი, 2005 წლის 30 ნოემბერი);
3. სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია „აშშ-ის ეკონომიკა და თანამედროვეობა“ (თსუ მაღლივი კორპუსი, 2006 წლის 28 დეკემბერი);
4. II სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა - ბოლნისი-2008“ (ბოლნისი, 2008 წლის 13 აპრილი);
5. III სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა - თსუ-2008“ (თსუ მაღლივი კორპუსი, 2008 წლის 30 მაისი);
6. IV სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა - მესტია-2008“ (მესტია, 2008 წლის 25-30 ივლისი);
7. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბავშვო უნივერსიტეტის გასვლითი ლექცია ბოლნისში (2009 წლის 30 მაისი);

8. I უნივერსიტეტაშორისი სტუდენტური კონფერენცია - „სტუდენტური პროექტები“ (თსუ მაღლივი კორპუსი, 2009 წლის 5 ივნისი);
9. ტრენინგი სასულიერო პირებისა და მრევლისათვის: „პროექტების შედგენა და მენეჯმენტი“ (ქალაქი წნორი, 2010 წლის 8-10 იანვარი);
10. V სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა - თსუ-2010“ (თსუ მაღლივი კორპუსი, 2010 წლის 25 იანვარი);
11. II უნივერსიტეტაშორისი სტუდენტური კონფერენცია - „სტუდენტური პროექტები“ (თსუ მაღლივი კორპუსი, 2010 წლის 1 ივნისი);
12. VII სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა - გორი - 2013“ (გორი, 2013 წლის 30 ივლისი);
13. I საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: მწვანე ეკონომიკის მართვა“ (2014 წლის 14-17 ივლისი, მესტია);
14. VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა - ბათუმი - 2015“ (ბათუმი, 2015 წლის 5-6 სექტემბერი);
15. II საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: აგრობიზნესის ორგანიზაცია და მართვა“ (2015 წლის 20-21 სექტემბერი, სიღნაღი);
16. III საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: ტრადიციული და ახალი ტექნოლოგიების ორგანიზაცია და მართვა“ (2016 წლის 17-18 მაისი, თბილისი, თსუ, ISET);
17. IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა - ქუთაისი - 2016“ (ქუთაისი, 2016 წლის 22-23 ოქტომბერი);
18. I საერთაშორისო სტუდენტური საზაფხულო სამეცნიერო-პრაქტიკული სკოლა „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები - ახალი ტექნოლოგიების მართვა ურბანულ და აგრარულ სექტორებში“ (საქართველო, ბათუმი, გონიო. 2-9 აგვისტო, 2017);
19. საერთაშორისო აკადემიური სემინარი ბენ-გურიონის უნივერსიტეტის (ისრაელი) ბიზნესისა და მენეჯმენტის ფაკულტეტზე. ბეერ შევა, ისრაელი, 2018 წლის 10-15 მარტი.

აღნიშნულ ღონისძიებათა მნიშვნელოვანი ნაწილის შრომების (მოხსენებათა) კრებულები დაბეჭდილია (ISSN და ISBN კოდებით) სტამბური წესით თსუ-ისა და სხვა გამომცემლობების მიერ.

ცენტრი „იდეას“ თანამშრომლობა თსუ ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტთან

2000 წლიდან მოყოლებული, ცენტრთან არსებული ამერიკული ეკონომიკისა და ბიზნესის კვლევის პროგრამის ფარგლებში, ცენტრი „იდეა“ თანამშრომლობს თსუ ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტთან.

ცენტრის წვერი სტუდენტები და დირექტორი გ. შიხაშვილი თავისი მოხსენებებით მონაწილეობენ ამერიკისმცოდნეობის საერთაშორისო კონფერენციების მუშაობაში, სადაც ცენტრის

დირექტორი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ეკონომიკის სექციის საქმიანობას.

მომავალში განზრახულია კვლევების გაფართოება ცენტრთან არსებული ამერიკული ეკონომიკის და ბიზნესის კვლევის სექტორის, თსუ ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტის, აშშ-ის უნივერსიტეტებისა და საქართველოში აშშ-ის საელჩოს ერთობლივი ძალისხმევით.

ცენტრი „იდეას“ თანამშრომლობა ისრაელის საელჩოსთან საქართველოში, ისრაელის ფირმა „ნეტაფიმ-საქართველოსთან“ და ისრაელის უნივერსიტეტებთან

2013 წლიდან ცენტრი „იდეა“ მჭიდროდ თანამშრომლობს ისრაელის საელჩოსთან საქართველოში, ისრაელის ფირმა „ნეტაფიმ-საქართველოსთან“, ისრაელის უნივერსიტეტებთან (ირუსალიმის, ბენ გურიონის), რომლებიც ყოველმხრივ დახმარებას და თანადგომას უწევენ ცენტრს. სწორედ ამ თანამშრომლობის ფარგლებში ჩატა-

რდა ზემოაღნიშნული სამი საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია და საზაფხულო სკოლა თემაზე: „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები“ (2014, 2015, 2016, 2017 წ.წ.) და საერთაშორისო აკადემიური სემინარი ისრაელის ბენ-გურიონის უნივერსიტეტში (2018).

ცენტრი „იდეას“ დირექტორის გიორგი შიხაშვილის მონაწილეობა სხვადასხვა ტრენინგებში, სემინარებსა და კონფერენციებში

გასულ პერიოდში ცენტრის დირექტორი გიორგი შიხაშვილი მონაწილეობდა არაერთ ტრენინგში, სემინარებსა და კონფერენციებში ტრენერის, მსმენელის, ორგანიზატორის, სექციის ხელმ-

ძღვანელის, ორგანიზაციის თავმჯდომარის/წევრის რანგში როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, ბაკურიანი, კიევი, მინსკი).

ცენტრი „იდეას“ მიერ ჩატარებული ტრენინგები

მთავარი პროგრამის ფარგლებში - „შეიმეცნე და აალორძინე საქართველო“, ცენტრი „იდეა“ სისტემატურად ატარებს ტრენინგებს და ლექცია-სემინარებს (დროის მართვა; პროექტების შედგენა; პროფესიული ორიენტაცია; გრანტის მოპოვება; კონფერენციების მოწყობა; საზაფხულო სკოლების მოწყობა; სამეცნიერო კვლევის მეთოდოლოგია;

ადგილობრივი მართვა; საკუთარი ბიზნესის დაწყება; ლიდერობა და გუნდის მართვა და სხვ.) როგორც ცენტრის წევრებისა და ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, გარე სამიზნე ჯგუფებისათვის ქვეყნის მასშტაბით (თბილისი, წნორი, ბორჯომი, მცხეთა, ყაზბეგი, გორი, მესტია).

ცენტრი „იდეას“ წევრების მონაწილეობა სხვადასხვა პროექტებში და ღონისძიებებში

გასულ პერიოდში ცენტრ „იდეას“ წევრები ცენტრის სახელით და ინდივიდუალურად მონაწილეობდნენ საქართველოში და უცხოეთში გამართულ არაერთ კონფერენციაში, ტრენინგებში, გაცვლით და საგრანტო პროგრამებში, პროექტებში და სხვა ღონისძიებებში, სადაც მოიპოვეს შესაბამისი ჯილდოები და სერტიფიკატები.

2000 წლიდან მოყოლებული, ცენტრში სისტემატურად ეწყობა სტუდენტური სემესტრული გუნდური სასწავლო-შემეცნებითი პროექტების პრეზენტაცია.

ასეთი პროექტების შედგენა-პრეზენტაციას ყოველსემესტრული ხასიათი აქვს და ცენტრის დირექტორის გ. შიხაშვილის სასწავლო გეგმისა და მეთოდოლოგიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. პროექტების პრეზენტაციის შეფასება ხდება ცენტრის ხელმძღვანელისა და ცენტრის მენეჯერი-სტუდენტებით შედგენილი კომისიის მიერ.

სტუდენტური სასწავლო-შემეცნებითი სემესტრული გუნდური პროექტების პრეზენტაცია ცენტრ „იდეას“ ოფისში

ცენტრი „იდეას“ მონაწილეობა მთარგმნელობით პროექტში - S. Robbins, M. Coulter. Management. USA, Pearson, 2014.

2014-2016 წლებში ცენტრი „იდეას“ დირექტორი გ. შიხაშვილი და დირექტორის მოადგილე თ. თაქთაქიშვილი უძღვებოდნენ სარედაქციო-საორგანიზაციო და მთარგმნელობით მუშაობას, რომელიც ხორციელდებოდა თსუ

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის მიერ ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოს (S. Robbins, M. Coulter. Management. USA, Pearson, 2014) თარგმნისა და თსუ-ში გამოცემისათვის.

* * *

მთლიანობაში, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“ 2000 წლიდან დღემდე ნაყოფიერად მუშაობს, რაც სისტემატურად შუქდება სხვადასხვა საინფორმაციო წყაროებში, მათ შორის თსუ-სა და ფაკულტეტის ვებ-გვერდებზე და თსუ-ის გაზეთში.

ცენტრს შემუშავებული აქვს საინტერესო სამომავლო გეგმები, რომელთა განხორციელებისათვის ცენტრის წევრები ძალ-ღონეს არ დაიშურებენ.

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეას“
სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა 2014-2018 წლებში

როგორც ზემოთ აღინიშნა, ცენტრის გრძელვადიანი გეგმის მიხედვით მიმდინარეობს სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო-სატრენინგო სამუშაოები და შესაბამისი პროექტების/ღონისძიებების განხორციელება შემდეგი ძირითადი პროგრამების საფუძველზე:

1. „შეიმეცნე და აალორძინე საქართველო“ - ხორციელდება ცენტრთან არსებული ეროვნული ეკონომიკისა და ბიზნესის კვლევის სექტორში;
2. „ისრაელის ეკონომიკა და ბიზნესი“ - ხორციელდება ცენტრთან არსებული ისრაელის ეკონომიკის კვლევის სექტორში;
3. „აშშ-ის ეკონომიკა და ბიზნესი“ - ხორციელდება ცენტრთან არსებული ამერიკული ეკონომიკისა და ბიზნესის კვლევის სექტორში;

4. „ბრიტანეთის ეკონომიკა და ბიზნესი“ - ხორციელდება ცენტრთან არსებული ბრიტანული ეკონომიკისა და ბიზნესის კვლევის სექტორში;

5. „აზერბაიჯანის ეკონომიკა და ბიზნესი“ - ხორციელდება ცენტრთან არსებული აზერბაიჯანის ეკონომიკისა და ბიზნესის კვლევის სექტორში.

უახლოეს მომავალში დაგეგმილია ცენტრში გაიხნას თურქეთის, სომხეთის, ესტონეთის და იტალიის ეკონომიკისა და ბიზნესის კვლევის სექტორები.

ქვემოთ გადმოცემულია მოკლე ინფორმაცია 2014-2018 წ.წ. ჩატარებული კონფერენციების, საზაფხულო სკოლისა და აკადემიური სემინარის შესახებ

2014 წელი

პროგრამული პროექტი -

I საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: მწვანე ეკონომიკის მართვა“

(2014 წლის 14-17 ივლისი, მესტია)

თსუ-სთან და თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტთან ერთად კონფერენციის მხარდამჭერები იყვნენ მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობა, საქართველოს საპატრიარქოს მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქია, ისრაელის საელჩო საქართველოში, კერძო პირები. კონფერენციაში

მონაწილეობდნენ მეცნიერები, სპეციალისტები, ბიზნესმენები (20-ზე მეტი ადამიანი) და სტუდენტები (40-ზე მეტი ადამიანი) საქართველოდან, ისრაელიდან და უკრაინიდან. თსუ გამომცემლობაში დაიბეჭდა კონფერენციის შრომათა კრებული.

2015 წელი

პროგრამული პროექტი -

II საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: აგრობიზნესის ორგანიზაცია და მართვა“

(2015 წლის 20-21 სექტემბერი, სიღნაღი)

კონფერენცია მოენყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოში ისრაელის საელჩოს შორის თანამშრომლობის ფარგლებში.

კონფერენციის ინიციატორი და ერთ-ერთი ორგანიზატორია თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“.

სიღნაღის კონფერენციის ორგანიზატორები არიან: თსუ ადმინისტრაცია; ისრაელის საელჩო საქართველოში; სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობა; თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი; თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“; აუდიტორული ფირმა

„ბაკაშვილი და კომპანია“; ისრაელის კომპანია „ნეტაფიმ-საქართველო“.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ მეცნიერები, სპეციალისტები, ბიზნესმენები (15-ზე მეტი ადამიანი) და სტუდენტები (25-ზე მეტი ადამიანი) საქართველოდან, ისრაელიდან, აშშ-დან და უკრაინიდან.

მოხსენებათა დიდი ნაწილი, გუნდური ნაშრომების სახით, წარმოადგინეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტისა და სოხუმის უნივერსიტეტის სტუდენტებმა (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა).

21 სექტემბერს ჩატარდა კონფერენციის სამეცნიერო ნაწილი (პლენარული სხდომა და სამეცნიერო მოხსენებები), ხოლო 22 სექტემბერს - კონფერენციის პრაქტიკული ნაწილი - მონაწილეობა რთველში.

ოსუ-ის გამომცემლობაში დაიბეჭდა შრომების კრებული, რომელშიც შესულია კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებები.

2016 წელი

პროგრამული პროექტი -

III საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: ტრადიციული და ახალი ტექნოლოგიების ორგანიზაცია და მართვა“

(2016 წლის 17-18 მაისი, თბილისი, ოსუ, ISET)

კონფერენცია მოეწყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, საქართველოში ისრაელის საელჩოსა და ისრაელის კომპანია „ნეტაფიმ-საქართველოს“ შორის თანამშრომლობის ფარგლებში.

ადამიანი და სტუდენტები (30-მდე ადამიანი) საქართველოდან, ისრაელიდან, აშშ-დან და უკრაინიდან.

კონფერენციის ინიციატორი და ერთ-ერთი ორგანიზატორია ოსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“.

მოხსენებათა დიდი ნაწილი, გუნდური ნაშრომების სახით, წარმოადგინეს ცენტრ „იდეას“ სტუდენტებმა (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა).

კონფერენციის ორგანიზატორები არიან: ოსუ ადმინისტრაცია; ისრაელის საელჩო საქართველოში; ოსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი; სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“; ისრაელის კომპანია „ნეტაფიმ-საქართველო“; აუდიტორული ფირმა „ბაკაშვილი და კომპანია“.

17 მაისს ჩატარდა კონფერენციის სამეცნიერო ნაწილი (პლენარული სხდომა და სამეცნიერო მოხსენებები), ხოლო 18 მაისს - კონფერენციის პრაქტიკული ნაწილი - ვიზიტი „მატო-მუხრანში“ და „ნეტაფიმის“ სარწყავი სისტემის ობიექტზე.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ მეცნიერები, სპეციალისტები, ბიზნესმენები (20-მდე

ოსუ გამომცემლობაში დაიბეჭდა (ISSN და ISBN საგამომცემლო კოდებით) შრომების კრებული, რომელშიც შესულია კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებები.

2017 წელი

პროგრამული პროექტი -

I საერთაშორისო სტუდენტური საზაფხულო სამეცნიერო-პრაქტიკული სკოლა „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: ახალი ტექნოლოგიების მართვა ურბანულ და აგრარულ სექტორებში“

(ბათუმი, გონიო. 2-9 აგვისტო, 2017)

ოსუ-ის სტუდენტური სამეცნიერო პროექტების დაფინანსების განმსაზღვრელი საბჭოს 2017 წლის 21 მაისის გადაწყვეტილებით დაფინანსდა ოსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრ „იდეას“ მიერ წარმოდგენილი ზემოაღნიშნული სამეცნიერო პროექტი.

დამყარების 25 წლისთავს.

პროექტით განსაზღვრულ პირველ ეტაპზე (მარტი-აგვისტო) განხორციელდა:

- უშუალოდ სკოლის მომზადება და ჩატარება გონიოში;
- დაფუძნდა სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული ყოველკვარტალური ჟურნალი „სტუდენტური კვლევები და პროექტები“.

პროექტის თანაორგანიზატორები და თანადაფინანსებლები არიან: ოსუ, ოსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი; ოსუ სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“; ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ბსუ); ბსუ სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „ახალი ხედვა“; თბილისის მერია; ისრაელის საელჩო საქართველოში; ისრაელის ფირმა „ნეტაფიმ-საქართველო“.

მეორე ეტაპზე (სექტემბერი-დეკემბერი):

- გამოსაცემად მომზადდა და ოსუ გამომცემლობას გადაეცა ჟურნალი - „სტუდენტური კვლევები და პროექტები“, რომლის პირველ ნომერში, 2017 წლის დეკემბრის ბოლოს დაიბეჭდა საზაფხულო სკოლის მოხსენებები.

პროექტი მიეძღვნა საქართველოსა და ისრაელს შორის დიპლომატიური ურთიერთობების

საზაფხულო სკოლის (უშუალოდ გონიოს ნაწილი - 2-9 აგვისტო) მუშაობაში სტუმრის და მომხსენებლის რანგში მონაწილეობა მიიღო 40-ზე

მეტმა ადამიანმა, რომელთა შორის არიან ისრაელის ელჩი საქართველოში შაბთაი ცური; თსუ პროფესორი, თბილისის ყოფილი მერი - დავით ნარმანია; ბათუმის მერის მოადგილე - ბაგრატ მანველიძე; აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე - ავთანდილ მესხიძე; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები, სტუდენტები, მეცნიერები, სპეციალისტები და ბიზნეს-მენები საქართველოდან და ისრაელიდან.

ისრაელის მხარეს წარმოადგენდა 9 ადამიანი, მათ შორის, ბენ გურიონის უნივერსიტეტის 2 სტუდენტი ავიელ ელიასი და ტომ რაზი.

გონიოში საზაფხულო სკოლის მიმდინარეო-

ბისას მოენყო: მისალმებები; თემატური მოხსენებები და დისკუსიები; ისრაელის ფირმა „ნეტა-ფიმ-საქართველოს“ პრეზენტაცია ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში; ვიზიტი ზუგდიდის სასათბურე მეურნეობაში; შემოქმედებითი აკვასემინარი; ვიზიტი აჭარის ერთ-ერთ აგროფირმაში; აჭარის ბუნებრივი, ისტორიული და ურბანული ღირსშესანიშნაობების დათვალიერება. დაფუძნდა და დეკემბრის ბოლოს თსუ გამომცემლობის სტამბაში დაიბეჭდა ცენტრი „იდეას“ სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „სტუდენტური კვლევები და პროექტები“. პროექტის მიმდინარეობა გაშუქდა მედიაში, ბსუ-ს მიერ გადაღებულ იქნა მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტული ფილმი.

2018 წელი

საერთაშორისო აკადემიური სემინარი ბენ-გურიონის უნივერსიტეტის (ისრაელი) ბიზნესისა და მენეჯმენტის ფაკულტეტზე

2018 წლის იანვრის ბოლოს ძალაში შევიდა ურთიერთგაგების მემორანდუმი თსუ-სა და ბგუ-ს შორის, რომლის ფარგლებში დაიგეგმა და 10-15 მარტს ბენ-გურიონის უნივერსიტეტში ჩატარდა საერთაშორისო აკადემიური სემინარი ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალურ საკითხებზე.

სემინარის ინიციატორი და მთავარი ორგანიზატორი იყო ბგუ-ის ბიზნესისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი, რომლის სპეციალური მონვევის საფუძველზე ისრაელში გაემგზავრა თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორთა და სტუდენტთა დელეგაცია.

თანაორგანიზატორობის ფუნქცია შეასრულეს თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტმა და სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრმა „იდეამ“.

აკადემიურ სემინარში თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მხრიდან მონაწილეობდა 8 პროფესორი და 7 სტუდენტი ხოლო ისრაელის მხრიდან 20-ზე მეტი პროფესორი და 40-ზე მეტი სტუდენტი.

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრ „იდეას“ მიერ ფაკულტეტის ადმინისტრაციისათვის წარდგენილი წლიური ანგარიშები

(იხ.: ფაკულტეტის ადმინისტრაციისათვის წარდგენილი შესაბამისი წლიური ანგარიშები)

2014 წლის ანგარიში <https://www.tsu.ge/ge/faculties/economics/news/W5YgHwRtLj1L7rZdD/?p=40>

2015 წლის ანგარიში <https://www.tsu.ge/ge/faculties/economics/news/GxDaedmuFzW6sM42e/?p=29>

2016 წლის ანგარიში <https://www.tsu.ge/ge/faculties/economics/news/cEyD-ALFQUd5pBesb/?p=1>

2017 წლის ანგარიში <https://www.tsu.ge/ge/faculties/economics/news/70hCW7Tmi-shk3Ovs/?p=1>

ანგარიში სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეას“ მიერ 2013 წელს განხორციელებული მუშაობის შესახებ

2013 კალენდარულ წელს ცენტრი „იდეას“ მიერ განხორციელებული ძირითადი ღონისძიებები

შეხვედრა ისრაელის ელჩთან საქართველოში - 10.12.13

ცენტრთან მოქმედებს ისრაელის ეკონომიკისა და ბიზნესის შემსწავლელი სექტორი, რომელიც 2014 წლიდან იწყებს გრძელვადიან სამეცნიერო-პრაქტიკულ კვლევით პროექტს თემაზე: „საქართველო-ისრაელის ეკონომიკური ურთიერთობები და მათი განვითარების პერსპექტივები“.

ასეთი პროექტის განხორციელება ხელს შეწყობს სამეცნიერო, კერძოდ, სტუდენტური კვლევითი საქმიანობის გააქტიურებას და საკუთარ წვლილს შეიტანს საქართველო-ისრაელის ეკონომიკური და სამეცნიერო-საგანმანათლებლო ურთიერთობების შემდგომ გაღრმავებაში.

ამ კვლევითი პროექტის ფარგლებში, ცენტრს განზრახული აქვს ჩაატაროს შესაბამისი საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობის მისაღებად ვინცევე პროფესორებს და სტუდენტებს ისრაელის უნივერსიტეტებიდან.

10 დეკემბერს თსუ-ის პირველ კორპუსში მოხდა ცენტრი „იდეას“ შეხვედრა ისრაელის ელჩთან საქართველოში ბატონ იუვალ ფუქსთან, რომელმაც მოგვინონა ისრაელის ეკონომიკის კვლევის პროექტი, შესაბამისი კონფერენციის ჩატარების იდეა და დიდი მხარდაჭერა აღგვითქვა ამ საქმეში. შეხვედრაზე იმყოფებოდნენ თსუ-ის რექტორი ლადო პაპავა, მისი მრჩეველები ირაკლი მურცხვალაძე და ვახტანგ ჭარაია, რომლებმაც ასევე გამოხატეს ჩვენი მხარდაჭერა.

შეხვედრა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსთან - 27.11.13.

შედგა ცენტრის შეხვედრა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსთან, მანანა ლობჯანიძესთან. განხილულ იქნა ცენტრის საქმიანობის გაღრმავება-გაფართოების, სამომავლო გეგმების და ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურთან მჭიდრო ურთიერთობების საკითხები.

შეხვედრა ცენტრის ისრაელის ეკონომიკისა და ბიზნესის შემსწავლელ სექტორში - 13.11.13

ისრაელის ეკონომიკის კვლევის მიმართულებით საქმიანობის გაღრმავება-გაფართოებისა და სამომავლო გეგმების განხილვისათვის 13 ნოემბერს შედგა ცენტრის წევრთა სხდომა. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს ფაკულტეტის დეკანის მოვ-

ლეობის შემსრულებელმა, პროფესორმა თეიმურაზ ბერიძემ; დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ანალიტიკის დეპარტამენტის უფროსმა, თსუ-ის მოწვეულმა პროფესორმა, დავით ჩიკვაიძემ; ისრაელის მოქალაქემ, ფაკულტეტის სტუდენტმა, იულია ჯანაშვილმა. ცენტრის დირექტორმა გიორგი შიხაშვილმა წარმოადგინა გეგმა სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კვლევითი პროექტისა - „საქართველო-ისრაელის ეკონომიკური ურთიერთობები და მათი განვითარების პერსპექტივები“. ბატონებმა თეიმურაზ ბერიძემ და დავით ჩიკვაიძემ ისაუბრეს განხილული მიმართულებით სტუდენტური ცენტრის მუშაობის მნიშვნელობაზე და აღნიშნეს, რომ ასეთი პროექტის განხორციელება ხელს შეწყობს სტუდენტთა კვლევითი საქმიანობის გააქტიურებას და გარკვეულ წვლილს შეიტანს ისრაელ-საქართველოს ეკონომიკური და სამეცნიერო-საგანმანათლებლო ურთიერთობების შემდგომ გაღრმავებაში.

ლექცია თსუ-ის ნორჩ ეკონომისტთა სკოლაში - 2.11.13

2 ნოემბერს თსუ-ს საბავშვო უნივერსიტეტის ნორჩ ეკონომისტთა სკოლის მოსწავლეებისათვის ცენტრმა ჩაატარა ლექცია თემაზე: „დროის მართვა“. ლექციას უძღვებოდნენ ცენტრის დირექტორი გიორგი შიხაშვილი და მისი ასისტენტები, ცენტრის წევრი სტუდენტები: ჯული ოქრომჭედლიშვილი, ლევან ტეფნაძე და შორენა გოგიძე.

ლექცია-სემინარი მცხეთის მართლმადიდებლურ სკოლაში - 29.10.13

ლექცია-სემინარი თემაზე: „დროის მართვა“ ცენტრმა ჩაატარა 29 ოქტომბერს წმ. ათორმეტ მოციქულთა სახელობის მცხეთის მართლმადიდებლურ საშუალო სკოლაში. ლექცია-სემინარს უძღვებოდნენ ცენტრის დირექტორი გიორგი შიხაშვილი და მისი ასისტენტები, ცენტრის წევრი სტუდენტები: ნესტან აბრამიშვილი, ჯული ოქრომჭედლიშვილი, ნინო ხარისთვალაშვილი, ირაკლი სვანიძე. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს: გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტი“-ს ჟურნალისტმა ნატო ობოლაძემ, ფოტორეპორტიორმა ანი ბოლქვაძემ და თსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა ქეთევან გაბოშვილმა. ლექციის შემდეგ, ღონისძიების მონაწილეებმა მოილოცეს სვეტიცხოვლის და სამთავროს ტაძრები და წმ. გაბრიელ ბერის საფლავი. დღის ბოლოს მოენყო

ერთობლივი ტრაპეზი.

ლექცია-სემინარი გორის გიმნაზიაში - 22.10.13

ანალოგიური ლექცია-სემინარი ცენტრმა „იდეამ“ ჩაატარა 22 ოქტომბერს, წმ. გიორგი მთაწმინდელის სახელობის გორის გიმნაზიაში. ლექცია-სემინარს გაუძღვნენ ცენტრი „იდეას“ დირექტორი გიორგი შიხაშვილი და მისი ასისტენტები, ცენტრის წევრი სტუდენტები: ქეთი კორძაძე, თორნიკე ბერიძე, ლევან ტეფნაძე, შორენა გოგიძე. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს: თსუ-ს რექტორის მრჩეველებმა ირაკლი მურცხვალაძემ და ვახტანგ ჭარაიაძემ, გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქტორმა ნინო კაკულიამ და ჟურნალისტმა ნატო ობოლაძემ. ლექციის შემდეგ, გიმნაზიის დირექტორთან, მღვდელ ბორის ნიჩიპეროვიჩთან და მღვდელ ზაზა სოსიაშვილთან ერთად, ღონისძიების მონაწილეებმა მოილოცეს ატენის სიონის ტაძარი. დღის ბოლოს მოენყო ერთობლივი ტრაპეზი.

ლექცია-სემინარი სტეფანწმინდის (ყაზბეგის) საპატრიარქოს გიმნაზიაში - 16.05.13

16 მაისს სტეფანწმინდის (ყაზბეგის) საპატრიარქოს გიმნაზიის უფროსკლასელებისა და თსუ-ს „ნორჩი ეკონომისტის“ სკოლის მოსწავლეებისათვის ცენტრმა ჩაატარა ლექცია-სემინარი თემაზე:

„დროის მართვა“. ლექცია-სემინარს უძღვებოდნენ გიორგი შიხაშვილი და მისი ასისტენტები, ცენტრის წევრი სტუდენტები: თენგიზ თაქთაქიშვილი, ლევან ტეფნაძე, ვლადიმერ ხიხაძე. ღონისძიებაში მონაწილეობდა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მრჩეველი ოთარ აბესაძე. ლექცია-სემინარის შემდეგ თბილისელი სტუმრები პატრიარქის მშობლიურ სოფელ სნოს ეწვივნენ, სადაც საპატრიარქოს რეზიდენციაში მათ მეუფე იეგუდიელმა უმასპინძლა.

ცენტრი „იდეა“ მასპინძლობდა კოსტა-რიკელ სტუმარს - 11.05.-18.05 2013.

11 მაისს თსუ მაღლივ კორპუსში ცენტრს ესტუმრა კოსტა-რიკელი პროფესორი ნორმან ვილალოზი, რომელიც დაინტერესდა ცენტრის საქმიანობით და განხორციელებული პროექტებით. საუბარი შეეხო სამომავლო გეგმებსაც, მათ შორის, კოსტა-რიკელი და ქართველი სტუდენტების დაახლოების პერსპექტივებს. ბატონი ნორმანი, ცენტრის წარმომადგენელ ირაკლი სვანიძესთან ერთად 13 მაისს გაემგზავრა ზემო სვანეთში, სადაც ისინი ხუთი დღის განმავლობაში სტუმრობდნენ მესტიისა და

ზემო სვანეთის მიტროპოლიტ ილარიონის რეზიდენციას.

2014 წელს გაწეული მუშაობის მოკლე ანგარიში

საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: მწვანე ეკონომიკის მართვა“

სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა პროექტები.

2014 წლის 14-17 ივლისს, ცენტრის ინიციატივით და ორგანიზებით მესტიაში ჩატარდა საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: მწვანე ეკონომიკის მართვა“. თსუ-სთან და თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფა-

კულტეტთან ერთად კონფერენციის მხარდამჭერები იყვნენ მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობა, საქართველოს საპატრიარქოს მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქია, ისრაელის საელჩო საქართველოში. კონფერენციაში მონაწილეობდნენ მეცნიერები, სპეციალისტები, ბიზნესმენები და სტუდენტები ისრაელიდან და უკრაინიდან. თსუ გამომცემლობაში დაიბეჭდა კონფერენციის შრომათა კრებული.

ცენტრის თანამშრომლობა ისრაელის საელჩოსთან საქართველოში და ისრაელის ფირმა „ნეტაფიმთან“

2014 წელს ცენტრი მჭიდროდ თანამშრომლობდა ისრაელის საელჩოსთან საქართველოში და ისრაელის ფირმა „ნეტაფიმთან“. ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები და დაიგეგმა ერთობლივი

სამეცნიერო-კვლევითი, საკონფერენციო, სასწავლო-სატრენინგო და მთარგმნელობითი პროექტები 2015 და შემდეგი წლებისთვის.

ცენტრი „იდეას“ თანამშრომლობა მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან

25 და 26 ოქტომბერს მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს თანამშრომლებსათვის ჩატარდა ტრენინგი საერთო სახელწოდებით „მუნიციპალური მართვის ორგანიზაციული ასპექტები“. ტრენინგის დასასრულს თითოეულ მონაწილეს გადაეცა სერტიფიკატი.

ტრენინგის ჩასატარებლად მესტიას ეწვია სამუშაო-სატრენინგო ჯგუფი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ თეიმურაზ ბერიძის ხელმძღვანელობით.

ტრენინგს ესწრებოდა და ლოცვა-კურთხევით შეენეოდა მესტიისა და ზემო სვანეთის მიტროპოლიტი ილარიონი.

ტრენინგის ინიციატორი და ორგანიზატორი, ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან ერთად, იყო ცენტრი „იდეა“.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებმა მესტიის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების ანალიტიკური დოკუმენტისა და გეგმის შემუშავება დაიწყეს. არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქე“-ს პროექტის

- „სტუდენტები თვითმმართველობისთვის“ ფინანსურ ეტაპზე გადავიდა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტების გუნდი: მარიამ ჯიბუტი (ცენტრ „იდეა“-ს წევრი), შოთა ჯიბუტი (ცენტრ „იდეა“-ს წევრი), ანა ახვლედიანი და ანა სალიაშვილი. 2015 წლის თებერვალში დაგეგმილია გუნდის წევრების ორ-კვირიანი კვლევითი ტური მესტიის მუნიციპალიტეტში. გუნდის საქმიანობა, მოპოვებული გრანტის საფუძველზე, დაფინანსდება არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქე“-ს მიერ.

ცენტრ „იდეას“ სატრენინგო პროექტი - „დროის მართვა“

ცენტრ „იდეას“ მთავარი პროგრამა - „შემეცნე და ააღორძინე საქართველო“, ითვალისწინებს ტრენინგების ჩატარებას როგორც ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, ასევე გარე სამიზნე ჯგუფებისათვის (დროის მართვა; პროფესიული ორიენტაცია; გრანტის მოპოვება; საკუთარი ბიზნესის დანერგვა და მართვა).

ტრენინგი - „დროის მართვა - საშუალო სკოლის კურსი“ ჩატარდა დეკემბერში 2 სამიზნე ჯგუფისათვის.

5 და 12 დეკემბრის სატრენინგო მეცადინეობა განკუთვნილი იყო ცენტრის 18 ახალი წევრისათვის, რომელთაც გადაეცათ მსმენელის სერტიფიკატი.

სტუდენტური სემესტრული გუნდური პროექტების პრეზენტაცია ცენტრის ოფისში

2014 წლის 24 და 26 დეკემბერს, ცენტრის ოფისში (მალივი კორუსი, ოთ. # 1211) მოენყო სტუდენტური სემესტრული გუნდური სასწავლო-შემეცნებითი პროექტების პრეზენტაცია. მსგავს პროექტებს ყოველსემესტრული ხასიათი აქვს და ჩვენი სასწავლო გეგმისა და მეთოდის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. პროექტების პრეზენტაციის შეფასება ხდება ცენტრის ხელმძღვანელისა და ცენტრის წევრი მენეჯერებით შედგენილი კომისიის მიერ.

სულ, ოთხი სასწავლო ჯგუფიდან წარმოდგენილი იყო სხვადასხვა აქტუალურ თემაზე შესრულებული 16 პროექტი, რაც დიდ ინტერესს იწვევდა როგორც სხვა გუნდებში, ისე შემფასებლებში. მსგავსი ტიპის პროექტებთან დაკავშირებით აღსანიშნავია ის, რომ ადგილი არ ჰქონდა აზრების განმეორებას და ყოველ პროექტს მსმენელამდე მიჰქონდა ახალ-ახალი იდეები, მათი

ხოლო 5, 12 და 19 დეკემბრის სატრენინგო მეცადინეობა გამიზნული იყო ცენტრის 8 ძველი წევრისათვის, რომლებმაც 2013 წელს ასისტენტის რანგში ჩაატარეს დროის მართვის ლექცია-სემინარები ყაზბეგის, გორის და მცხეთის გიმნაზიებში. ასეთ სტუდენტებს ტრენინგის ბოლოს გადაეცათ ტრენინგის სერტიფიკატი.

ტრენინგს ესწრებოდა და მის მონაწილეებს 26 დეკემბერს სერტიფიკატი გადასცა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა თეიმურაზ ბერიძემ.

განხორციელების ორიგინალური გააზრება და სათანადო გზების დასახვა.

ყველასთვის სასიამოვნო და მნიშვნელოვანი იყო ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ თეიმურაზ ბერიძის დასწრება პროექტების პრეზენტაციაზე, რომელმაც განაცხადა: „ცენტრი „იდეა“ კარგად მუშაობს, ვხედავ სტუდენტების სწრაფვას - გაიაზრონ, იმსჯელონ და დასახონ მოქმედების გზა აქტუალურ პრობლემებთან დაკავშირებით – ეს ძალიან მნიშვნელოვანია“.

მთლიანობაში, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრმა „იდეამ“ 2014 წელს ნაყოფიერად იმუშავა. ახალ, 2015 წელს ცენტრი შეხვდა დიდი ენთუზიაზმით და საინტერესო გეგმებით, რომელთა განხორციელებისათვის ცენტრის წევრები ძალ-ღონეს არ დაიშურებენ.

2015 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში

ქვემოთ გადმოცემულია ცენტრ „იდეა“ ინიციატივით, ორგანიზებით და მონაწილეობით 2015 კალენდარულ წელს განხორციელებული პროექტები/ლონისძიებები

1) პროგრამული პროექტი - II საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: აგრობიზნესის ორგანიზაცია და მართვა“

(2015 წლის 20-21 სექტემბერი, სიღნაღი)

ცენტრის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა პროექტები.

2015 წლის 20-21 სექტემბერს სიღნაღში ჩატარდა II საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: აგრობიზნესის ორგანიზაცია და მართვა“.

კონფერენცია მოეწყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოში ისრაელის საელჩოს შორის თანამშრომლობის ფარგლებში.

კონფერენციის ინიციატორი და ერთ-ერთი ორგანიზატორია თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“.

სიღნაღის კონფერენციის ორგანიზატორები არიან: თსუ-ის ადმინისტრაცია; ისრაელის საელჩო საქართველოში; სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობა; თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი; თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“; აუდიტორული ფირმა „ბაკაშვილი და კომპანია“; ისრაელის კომპანია „ნეტაფიმ-საქართველო“.

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტში წარმოდგენილი არიან: აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა - თსუ-ის რექტორი; იუვალ ფუქსი - ისრაელის ელჩი საქართველოში; დავით ჯანიკაშვილი - სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგებელი; თეიმურაზ ბერიძე - თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი; დავით ნარმანია - ქ. თბილისის მერი, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი; გიორგი შიხაშვილი - თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრ „იდეა“ დირექტორი, ასოც. პროფესორი; აჰარონ გაგულაშვილი - ისრაელის კომპანია „ნეტაფიმ-საქართველო“ დირექტორი; ნიკოლოზ

ბაკაშვილი - აუდიტორული ფირმა „ბაკაშვილი და კომპანია“ დირექტორი და სხვ.

კონფერენცია ჩატარდა სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და თსუ-ს შორის მიმდინარე წლის 22 იანვარს გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულის, სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგებლის, დავით ჯანიკაშვილის მნიშვნელოვანი მხარდაჭერა სტუდენტთა ინიციატივისადმი.

სიღნაღის კონფერენცია მოეწყო, აგრეთვე, თსუ-სა და ისრაელის ფირმა „ნეტაფიმ-საქართველო“ (დირექტორი - აჰარონ გაგულაშვილი) შორის მიმდინარე წლის 9 ივლისს გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში.

კონფერენციის მომზადებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა, ასევე, აუდიტორული ფირმა „ბაკაშვილი და კომპანია“ დირექტორმა ნიკოლოზ ბაკაშვილმა.

კონფერენციაზე მოხსენებები წარმოადგინეს ისრაელის, აშშ-ის და უკრაინის უნივერსიტეტების პროფესორებმა და სტუდენტებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა და ბიზნესმენებმა.

მოხსენებათა დიდი ნაწილი, გუნდური ნაშრომების სახით, წარმოადგინეს თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტისა და სოხუმის უნივერსიტეტის სტუდენტებმა (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა).

21 სექტემბერს ჩატარდა კონფერენციის სამეცნიერო ნაწილი (პლენარული სხდომა და სამეცნიერო მოხსენებები), ხოლო 22 სექტემბერს - კონფერენციის პრაქტიკული ნაწილი - მონაწილეობა რთველში.

თსუ-ის გამომცემლობაში დაიბეჭდა შრომების კრებული, რომელშიც შესულია კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებები.

2) ცენტრის თანამშრომლობა ისრაელის საელჩოსთან საქართველოში

2013 წლიდან დღემდე ცენტრი „იდეა“ მჭიდროდ თანამშრომლობს ისრაელის საელჩოსთან საქართველოში, რომელიც ყოველმხრივ დახმარებას უწევს ცენტრს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ელჩის, ბატონ იუვალ ფუქსის სისტემატური და მნიშვნელოვანი მხარდაჭერა სტუდენტთა

საქმიანობისადმი.

სწორედ ამ თანამშრომლობის ფარგლებში 2015 წლის 20-21 სექტემბერს სიღნაღში ჩატარდა ზემოაღნიშნული II საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: აგრო-

ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა“, ხოლო 2014 წლის 14-17 ივლისს მესტიაში - I საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: მწვანე ეკონომიკის მართვა“.

2015 წლის განმავლობაში ისრაელის საელჩოში და ელჩის რეზიდენციაში შედგა რამდენიმე შეხვედრა ბატონ იუვალ ფუქსსა და ცენტრ „იდეას“ წევრებს შორის.

3) VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა - 2015“

(2015 წლის 5-6 სექტემბერი, ბათუმი)

2015 წლის 5-6 სექტემბერს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართული VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა - 2015“ მიეძღვნა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 80 წლისთავს.

კონფერენციის ერთ-ერთი ორგანიზატორი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის

ფაკულტეტთან ერთად იყო სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“.

თსუ-ში დასტამბულ სამეცნიერო კრებულში აისახა გერმანიიდან (იენის უნივერსიტეტი), ლიტვიდან (გამოყენებითი მეცნიერების ალითაუს კოლეჯის უნივერსიტეტი), უკრაინიდან (უჟგოროდის ეროვნული უნივერსიტეტი) და ბელარუსიდან (ბელარუსის სახელმწიფო უნივერსიტეტი), აგრეთვე ცენტრ „იდეა“-დან წარმოდგენილი სტუდენტური სამეცნიერო ნაშრომები.

4) ცენტრ „იდეას“ თანამშრომლობა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან

ცენტრი „იდეას“ ინიციატივით, ორგანიზებით და მონაწილეობით 2015 წლის 17 ივლისს ყაზბეგში გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი თსუ-სა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობას შორის. უნივერსიტეტის სახელით მემორანდუმს ხელი მოაწერა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ.

მემორანდუმის მიხედვით მხარეები მიზნად ისახავენ, ხელი შეუწყონ საქართველოში სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებსა და ადგილობრივი მართვის ორგანოებს შორის საქმიანი ურთიერთობების გაღრმავებას. თანამშრომლობა ითვალისწინებს ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი, საგანმანათლებლო, ეკონომიკური, მმართველობითი, საექსპერტო პროექტებისა და

პროგრამების განხორციელებას, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების და სიმპოზიუმების ჩატარებას, კადრების მოსამზადებელი, სატრენინგო პროგრამებისა და ლექცია სემინარების ჩატარებას, როგორც ყაზბეგის მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისათვის, ასევე ყველა დაინტერესებული მხარეების/ჯგუფების/ინდივიდების, მათ შორის ბიზნესსუბექტების და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, სტუდენტების, ზოგადასაგანმანათლებლო სკოლებისა და პროფესიული სასწავლებლების მოსწავლეებისათვის მუშაობას.

ამ მემორანდუმის ფარგლებში მიმდინარე წლის 8 ოქტომბერს ყაზბეგის მუნიციპალიტეტს ერთდღიანი ვიზიტით ეწვინენ ცენტრის წევრები. დაისახა ერთობლივი სამუშაოების ჩატარების გეგმა.

5) ცენტრი „იდეას“ თანამშრომლობა ისრაელის ფირმა „ნეტაფიმ-საქართველოსთან“

მჭიდრო თანამშრომლობა 2014 წლიდან ვითარდება ისრაელის ფირმა „ნეტაფიმ-საქართველოსთან“.

ცენტრის ინიციატივით, ორგანიზებით და მონაწილეობით 2015 წლის 9 ივლისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი თსუ-სა და ისრაელის ფირმა „ნეტაფიმ-საქართველოს“-შორის. მემორანდუმს ხელი მოაწერეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ და ისრაელის ფირმა „ნეტაფიმ-საქართველოს“ დირექტორმა აპარონ გაგულაშვილმა. მემორანდუმის მიზანია, მხარეებმა ხელი შეუწყონ საქართველოში სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებსა და ბიზნესორგანიზაციებს შორის საქმიანი ურთიერთობების გაღრმავებას.

მემორანდუმში გათვალისწინებულია:

1. ერთობლივი სოციალურ-ეკონომიკური, მმართველობითი და სამეცნიერო-საექსპერტო პროექტების განხორციელება;

2. სასწავლო-სატრენინგო კურსებისა და საჯარო ლექცია-სემინარების ერთობლივი ჩატარება დაინტერესებული მხარეებისთვის;

3. თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორისა და სტუდენტური ცენტრ „იდეას“ წევრების გაგზავნა ისრაელსა და საქართველოში კომპანიის საწარმოებში გამოცდილების გასაზიარებლად, სტაჟირებასა და პროფესიულ პრაქტიკაზე;

4. ერთობლივი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციებისა და სიმპოზიუმების ჩატარება.

მემორანდუმის ფარგლებში, ფირმა „ნეტაფიმ-საქართველოს“ მნიშვნელოვანი მხარდაჭერით, 2015 წლის 20-21 სექტემბერს სიღნაღში ჩატარდა II საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: აგრობიზნესის ორგანიზაცია და მართვა“.

6) ცენტრი „იდეას“ დირექტორის, ასოც. პროფესორ გიორგი შიხაშვილის საჯარო ლექცია თემაზე: „თეოლოგია და ეკონომიკა (ქრისტიანული პარადიგმა)“

2015 წლის 9 ივლისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებულმა პროფესორმა გიორგი შიხაშვილმა გამართა საჯარო ლექცია თემაზე: „თეოლო-

გია და ეკონომიკა (ქრისტიანული პარადიგმა)“. ლექცია გამართა თსუ რექტორის მუდმივმოქმედი სამეცნიერო სემინარის - "პოლიტეკონომიური საუბრები ლადო პაპავასთან" - ფარგლებში.

7) თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ თეიმურაზ ბერიძის ლექციები ისრაელის ბენ-გურიონის უნივერსიტეტში

2015 წლის ივნისის ბოლო დეკადაში, ცენტრ „იდეას“ ინიციატივით და ფირმა „ნეტაფიმ-საქართველოს“ მხარდაჭერით, არსებული მემორანდუმის ფარგლებში ისრაელს ვიზიტით ეწვია თსუ ეკონომი-

კისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი თეიმურაზ ბერიძე, რომელმაც ლექციები წაიკითხა ბენ-გურიონის უნივერსიტეტში.

8) გუნდური სტუდენტური სემესტრული პროექტების პრეზენტაცია ცენტრ „იდეას“ ოფისში

2015 წლის ივნისის დასაწყისში ცენტრის ოფისში (თსუ მაღლივი კორუსი, ოთ. # 1211) მოეწყო სტუდენტური სემესტრული გუნდური სასწავლო-შემოქმედებითი პროექტების პრეზენტაცია. მსგავს პროექტების შედგენა-პრეზენტაციას ყოველსემესტრული ხასიათი აქვს და ცენტრის დირექტორის

გ. შიხაშვილის სასწავლო გეგმისა და მეთოდის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. პროექტების პრეზენტაციის შეფასება ხდება ცენტრის ხელმძღვანელისა და ცენტრის წევრი მენეჯერებით შედგენილი კომისიის მიერ.

9) ცენტრ „იდეას“ დირექტორის, ასოც. პროფესორ გიორგი შიხაშვილის ცენტრი "იდეას" დირექტორი ვიზიტი ლას-ვეგასის უნივერსიტეტში (აშშ)

2015 წლის 20 მაისს, თსუ სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი "იდეას" დირექტორი გ. შიხაშვილი კერძო ვიზიტით ეწვია აშშ-ის ლას-ვეგასის ნევადის უნივერსიტეტის კვლევებისა

და ეკონომიკური განვითარების დეპარტამენტის ვიცე-პრეზიდენტს ტომას პიეჩოტას. განიხილულ იქნა ურთიერთსაინტერესო საკითხები და დაისახა თანამშრომლობის განვითარების გზები.

10) ტრენინგი თემაზე: პროექტების შედგენა არასამთავრობო სექტორისათვის (2015 წლის 23, 30 მარტი. ცენტრი „იდეას“ ოფისი)

ცენტრი „იდეას“ მთავარი პროგრამა - „შეიმეცნე და ააღორძინე საქართველო“, ითვალისწინებს ტრენინგების ჩატარებას როგორც ცენტრის წევრებისა და ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, ასევე თსუ-ის გარე სამიზნე ჯგუფებისათვის (დროის მართვა; პროექტების შედგენა; პროფესიული ორიენტაცია; გრანტის მოპოვება; კონფერენციების მოწყობა; სამეცნიერო კვლევის მეთოდოლოგია; ადგილობრივი მართვა; საკუთარი ბიზნესის დაწყება და მართვა).

მიმდინარე წელს სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეას“ აგრძელებდა ტრენინგების ციკლს.

2015 წლის 23, 30 მარტს ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „პროექტების შედგენა არასამთავრობო

სექტორისათვის“. სწავლების ინდუქციური მეთოდის საფუძველზე ტრენინგის პირველი ნაწილი (23 მარტი) დაეთმო პრაქტიკულ მეცადინეობას (გუნდური მიკროპროექტების შედგენა-პრეზენტაცია), ხოლო მეორე (30 მარტი) - ჯგუფური დისკუსიების მეშვეობით თეორიული დებულებების გამომუშავებას.

ტრენინგის დასასრულს ფაკულტეტის დეკანმა პროფესორმა თეიმურაზ ბერიძემ მონაწილეებს გადასცა სერტიფიკატები. ლონისძიების დაწყებამდე მან ცენტრის ფუნქციურ დატვირთულობაზე ისაუბრა, აღნიშნა, რომ მისი საქმიანობის საზღვრები ფართოვდება და საერთაშორისო დატვირთვას იძენს. ბატონმა თეიმურაზმა ცენტრს მხარდაჭერა გამოუცხადა და მომავალ საქმიანობაში წარმატებები უსურვა.

11) ცენტრი „იდეას“ თანამშრომლობა სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან

ცენტრის ინიციატივით, ორგანიზებით და მონაწილეობით 2015 წლის 22 იანვარს სიღნაღში გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი თსუსა და სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობას შორის.

მემორანდუმის მიხედვით მხარეები მიზნად ისახავენ, ხელი შეუწყონ საქართველოში სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებსა და ადგილობრივი მართვის ორგანოებს შორის საქმიანი

ურთიერთობების გაღრმავებას.

თანამშრომლობა ითვალისწინებს ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი, საგანმანათლებლო, ეკონომიკური, მმართველობითი, საექსპერტო პროექტებისა და პროგრამების განხორციელებას, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების და სიმპოზიუმების ჩატარებას, კადრების მოსამზადებელი, სატრენინგო პროგრამებისა და ლექცია სემინარების ჩატარებას, როგორც სიღ-

ნალის მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისათვის, ასევე, ყველა დაინტერესებული მხარეების/ფგუფების/ინდივიდების, მათ შორის ბიზნესსუბექტების და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, სტუდენტების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და პროფესიული სასწავლებლების მოსწავლეებისათვის.

12) ცენტრი „იდეას“ თანამშრომლობა მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან

არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქეს“ პროექტის - „სტუდენტები თვითმმართველობისთვის“ ფინანსურ ეტაპზე გადავიდა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტების გუნდი: მარიამ ჯიბუტი (ცენტრ „იდეა“-ს წევრი), შოთა ჯიბუტი (ცენტრ „იდეა“-ს წევრი), ანა ახვლედიანი, ანა სალიაშვილი და ნოდარ ვანაძე.

მემორანდუმის ფარგლებში 2015 წლის 20-21 სექტემბერს სილნალში ჩატარდა ზემოაღნიშნული II საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: აგრობიზნესის ორგანიზაცია და მართვა“.

2015 წლის 21 სექტემბერიდან 4 ოქტომბრამდე გუნდი იმყოფებოდა ტრენინგებზე პოლონეთსა და გერმანიაში ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხების დეტალურად შესასწავლად.

2015 წლის 23 ოქტომბერს გუნდმა მესტიის მუნიციპალიტეტში გამართა პრეზენტაცია, სადაც გამგეობის წარმომადგენლებს წარუდგინა კვლევითი პროექტის ფარგლებში შემუშავებული დოკუმენტები.

13) თანამშრომლობა თსუ ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრთან

2015 წელს ცენტრი „იდეა“ პროექტ „ლიდერის“ ფარგლებში მჭიდროდ თანამშრომლობდა - თსუ ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრთან (დირექტორი - ეკონომიკის დოქტორი ვახტანგ ჭა-

რია). ცენტრ „იდეას“ წევრები აქტიურად იყვნენ ჩართული პროექტ „ლიდერის“ ღონისძიებებში, სადაც მოიპოვეს შესაბამისი ჯილდოები და სერტიფიკატები.

14) ცენტრი „იდეას“ მონაწილეობა მთარგმნელობით პროექტში - S. Robbins, M. Coulter. Management, 2014.

2015 წლის განმავლობაში ცენტრ „იდეას“ წევრები გ. შიხაშვილი და თ. თაქთაქიშვილი უძღვებოდნენ სარედაქციო-საორგანიზაციო მუშაობას, რომელიც ხორციელდება მენეჯმენტისა და ად-

მინისტრირების კათედრის მიერ ინგლისურიდან ნათარგმნი სახელმძღვანელოს (S. Robbins, M. Coulter. Management, 2014) თსუ-ში გამოსაცემად.

15) ცენტრი „იდეას“ წევრების მონაწილეობა სხვადასხვა პროექტებში და ღონისძიებებში

2015 წლის განმავლობაში ცენტრ „იდეას“ წევრები ინდივიდუალურად და ცენტრის სახელით მონაწილეობდნენ საქართველოში და უცხოეთში გამართულ არაერთ კონფერენციაში, ტრენინგებში, გაცვლით და საგრანტო პროგრამებში, პროექტებში და სხვა ღონისძიებებში, სადაც მოიპოვეს შესაბამისი ჯილდოები და სერტიფიკატები.

მთლიანობაში, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრმა „იდეამ“ 2015 წელს ნაყო-

ფიერად იმუშავა. ახალ, 2016 წელს ცენტრი ხვდება დიდი ენთუზიაზმით და საინტერესო გეგმებით, რომელთა განხორციელებისათვის ცენტრის წევრები ძალ-ღონეს არ დაიშურებენ.

ამ ეტაპზე ტარდება მოსამზადებელი სამუშაოები და იგეგმება სამეცნიერო-კვლევითი, საკონფერენციო, სასწავლო-სატრენინგო და მთარგმნელობითი პროექტები 2016 და შემდეგი წლებისთვის.

2016 წელს გაწეული მუშაობის ანბარიში

ქვემოთ გადმოცემულია ცენტრ „იდეას“ ინიციატივით, ორგანიზებით და მონაწილეობით 2016 კალენდარულ წელს განხორციელებული პროექტები/ლონისძიებები

1) პროგრამული პროექტი - III საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: ტრადიციული და ახალი ტექნოლოგიების ორგანიზაცია და მართვა“ (2016 წლის 17-18 მაისი, თბილისი, თსუ, ISET)

სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა პროექტები.

2016 წლის 17-18 მაისს თბილისში, თსუ-ში, ISET-ში ჩატარდა III საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: ტრადიციული და ახალი ტექნოლოგიების ორგანიზაცია და მართვა“.

კონფერენცია მოეწყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, საქართველოში ისრაელის საელჩოსა და ისრაელის კომპანია „ნეტაფიმ-საქართველოს“ შორის თანამშრომლობის ფარგლებში.

კონფერენციის ინიციატორი და ერთ-ერთი ორგანიზატორია თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“.

კონფერენციის ორგანიზატორები არიან: თსუ ადმინისტრაცია; ისრაელის საელჩო საქართველოში; თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი; თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“.

2) ცენტრ „იდეას“ თანამშრომლობა ისრაელის საელჩოსთან საქართველოში

2013 წლიდან ცენტრი „იდეა“ მჭიდროდ თანამშრომლობს ისრაელის საელჩოსთან საქართველოში, რომელიც ყოველმხრივ დახმარებას უწევს ცენტრს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ყოფილი ელჩის, ბატონ იუვალ ფუქსის სისტემატური და მნიშვნელოვანი მხარდაჭერა სტუდენტთა საქმიანობისადმი.

სწორედ ამ თანამშრომლობის ფარგლებში ჩატარდა თბილისში ზემოაღნიშნული კონფერენცია, აგრეთვე 2015 წლის 20-21 სექტემბერს სიღნაღში II საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: აგრობიზნესის ორგანიზაცია და მართვა“; ხოლო 2014 წლის 14-17 ივლისს მესტიაში - I საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: მწვანე

3) ცენტრი „იდეას“ თანამშრომლობა ისრაელის ფირმა „ნეტაფიმ-საქართველოსთან“

მჭიდრო თანამშრომლობა 2014 წლიდან ვითარდება ისრაელის ფირმა „ნეტაფიმ-საქართველოსთან“ (დირექტორი - აჰარონ გაგულაშვილი).

ცენტრის ინიციატივით, ორგანიზებით და მონაწილეობით 2015 წლის 9 ივლისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი თსუ-სა და ისრაელის ფირმა „ნეტაფიმ-საქართველოს“ შორის. მემორანდუმის მიზანია, მხარეებმა ხელი შეუწყონ საქართველო-

კულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“; ისრაელის კომპანია „ნეტაფიმ-საქართველო“; აუდიტორული ფირმა „ბაკაშვილი და კომპანია“.

კონფერენციაზე მოხსენებები წარმოადგინეს საქართველოს, ისრაელის, აშშ-ის და უკრაინის უნივერსიტეტების პროფესორებმა და სტუდენტებმა, სპეციალისტებმა და ბიზნესმენებმა.

მოხსენებათა დიდი ნაწილი, გუნდური ნაშრომების სახით, წარმოადგინეს ცენტრ „იდეას“ სტუდენტებმა (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა).

17 მაისს ჩატარდა კონფერენციის სამეცნიერო ნაწილი (პლენარული სხდომა და სამეცნიერო მოხსენებები), ხოლო 18 მაისს - კონფერენციის პრაქტიკული ნაწილი - ვიზიტი „მატო-მუხრანში“ და „ნეტაფიმის“ სარწყავი სისტემის ობიექტზე.

თსუ გამომცემლობაში დაიბეჭდა (ISSN და ISBN საგამომცემლო კოდებით) შრომების კრებული, რომელშიც შესულია კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებები.

ეკონომიკის მართვა“.

2016 წლის იანვარ-ივნისის განმავლობაში ისრაელის საელჩოში და ელჩის რეზიდენციაში შედგა რამდენიმე შეხვედრა ელჩ იუვალ ფუქსსა და ცენტრი „იდეას“ წევრებს შორის. ხოლო ივნისში, ელჩობის ვადის გასვლასთან დაკავშირებით სამშობლოში გამგზავრების წინ ბატონ ელჩს, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტისა და ცენტრი „იდეას“ სახელით გადაეცა მადლიერების სერტიფიკატი.

2017 წელს და მომავალში დაგეგმილია ფაკულტეტისა და ცენტრის ნაყოფიერი თანამშრომლობის გაგრძელება ისრაელის ახალ ელჩთან, ბატონ შაბთაი ცურთან.

2017 წლის აგვისტოში განზრახულია ერთობლივი საზაფხულო სკოლის მოწყობა ბათუმში.

ში სასწავლო-სამეცნიერო დანებსებულებებსა და ბიზნესორგანიზაციებს შორის საქმიანი ურთიერთობების გაღრმავებას.

მემორანდუმით გათვალისწინებულია:

1. ერთობლივი სოციალურ-ეკონომიკური, მმართველობითი და სამეცნიერო-საექსპერტო პროექტების განხორციელება;
2. სასწავლო-სატრენინგო კურსებისა და საჯარო ლექცია-სემინარების ერთობლივი ჩატარება დაინტერესებული მხარეებისთვის;
3. ერთობლივი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციებისა და სიმპოზიუმების ჩატარება.

მემორანდუმის ფარგლებში, ფორმა „ნეტაფი-

მ-საქართველოს“ მნიშვნელოვანი მხარდაჭერით:

- 2015 წლის 20-21 სექტემბერს სიღნაღში ჩატარდა II საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: აგრობიზნესის ორგანიზაცია და მართვა“.
- 2016 წლის 17-18 მაისს თბილისში ჩატარდა III საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: ტრადიციული და ახალი ტექნოლოგიების ორგანიზაცია და მართვა“.

2017 წელს, აგვისტოში განზრახულია ისრაელ-საქართველოს ერთობლივი საზაფხულო სკოლის მოწყობა ბათუმში.

4) ცენტრი „იდეას“ თანამშრომლობა ისრაელის ბიზნესპალატასა და ისრაელის სახლთან

2014 წლიდან ვითარდება ცენტრ „იდეას“ თანამშრომლობა ისრაელის ბიზნესპალატასთან/ისრაელის სახლთან (ხელმძღვანელი - ბატონი იციკ მოშე).

2016 წლის აგვისტოში, ისრაელის ბიზნესპალატის მიწვევით, ცენტრის წევრები დაესწრნენ ისრაელის „მაკაბის“ და თბილისის „დინამოს“ ვეტერან კალათბურთელთა საქველმოქმედო მატჩს.

2016 წლის 24-25 დეკემბერს ცენტრის წევრები და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის

თანამშრომლები მიწვეული არიან ხანუკას დღე-სასწაულისადმი და ისრაელის საერთაშორისო მხარდაჭერისადმი მიძღვნილ „ჰასბარას“ საერთაშორისო ფორუმზე, რომელიც ჩატარდება თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში და Biltmore Hotel Tbilisi-ში. ღონისძიებებში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს პრემიერ მინისტრი, მთავრობის და პარლამენტის წევრები, ქ. თბილისის მერი, ისრაელის მთავრობის, კნესეტის და საელჩოს წარმომადგენლები.

5) ცენტრი „იდეას“ თანამშრომლობა თსუ ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტთან

2000 წლიდან მოყოლებული და, კერძოდ, 2016 წელს ცენტრი „იდეა“ თანამშრომლობს თსუ ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტთან.

2016 წლის მაისში ცენტრის წევრმა სტუდენტებმა და დირექტორმა ერთობლივი მოხსენე-

ბით მონაწილეობა მიიღეს ამერიკისმცოდნეობის XVII საერთაშორისო კონფერენციის მუშაობაში. ამ კონფერენციაზე ცენტრის დირექტორი გ. შიხაშვილი ხელმძღვანელობდა ეკონომიკის სექციის მუშაობას.

6) ცენტრი „იდეას“ თანამშრომლობა მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან

2016 წელს დაწყებულია მუშაობა ზემო სვანეთში პროექტების მართვის სრულყოფის კვლევის მიმართულებით.

პროექტში მონაწილეობას მიიღებს ცენტრის პერსონალი, მათ შორის ფაკულტეტის დოქტორანტი, მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის

ერთ-ერთი დეპარტამენტის ხელმძღვანელი ელენე განაია.

2017 წელს და მომავალში განზრახულია კვლევების გაფართოება მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან ერთად ზემო სვანეთში პროექტების მართვის სრულყოფის კვლევის მიმართულებით.

7) IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“ (2016 წლის 22-23 ოქტომბერი, ქუთაისი)

2016 წლის 22-23 ოქტომბერს აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ქუთაისის უნივერსიტეტში გაიმართა IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“.

კონფერენციის ერთ-ერთი ორგანიზატორი და მონაწილე, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტთან, აკაკი წერეთლის სახელობის ქუ-

თაისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ქუთაისის უნივერსიტეტთან ერთად იყო სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“.

თსუ-ში გამოცემულ კონფერენციის შრომათა კრებულში, სხვა მოხსენებებთან ერთად, აისახა აგრეთვე ცენტრ „იდეას“ წევრის, დოქტორანტ თენგიზ თაქთაქიშვილის თანაავტორობით წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომიც.

8) ცენტრი „იდეას“ დირექტორის, ასოც. პროფესორ გიორგი შიხაშვილის მონაწილეობა სხვადასხვა ტრენინგებში, სემინარებსა და კონფერენციებში

2016 წლის განმავლობაში ცენტრის დირექტორი გიორგი შიხაშვილი მონაწილეობდა 12-ზე მეტ ტრენინგში, სემინარებსა და კონფერენციებში ტრენინგის, მსმენელის, ორგანიზატორის, სექცი-

ის ხელმძღვანელის, ორგკომიტეტის თავმჯდომარის/წევრის რანგში როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში (თბილისი, ქუთაისი, ბაკურიანი, კიევი, მინსკი).

9) ცენტრ „იდეაში“ ჩატარებული ტრენინგები

ცენტრ „იდეას“ მთავარი პროგრამა - „შეიმეცნე და ააღორძინე საქართველო“, ითვალისწინებს ტრენინგების ჩატარებას როგორც ცენტრის წევრებისა და ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, ასევე თსუ-ს გარე სამიზნე ჯგუფებისათვის (დროის მართვა; პროექტების შედგენა; პროფესიული ორიენტაცია; გრანტის მოპოვება; კონფერენციების მოწყობა; საზაფხული სკოლების მოწყობა; სამეცნიერო კვლევის მეთოდოლოგია; ადგილობრივი მართვა; საკუთარი ბიზნესის დაწყება და მართვა).

2016 წელს სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“ აგრძელებდა ტრენინ-

გების ციკლს. კერძოდ:

- 2016 წლის 10-11 მაისს და 5 ნოემბერს, ცენტრის გამგეობის წევრების, მენეჯერებისა და სამუშაო ჯგუფის წევრებისათვის ჩატარდა 2-ნაწილიანი ტრენინგი თემაზე: „ივენტ მენეჯმენტი - კონფერენციების ორგანიზება“ (ტრენერი - ცენტრის დირექტორი, გიორგი შიხაშვილი). ტრენინგის დასასრულს მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები.
- 2016 წლის 15 დეკემბერს, ცენტრის გამგეობის წევრებისა და მენეჯერებისათვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „ლიდერობა და გუნდის მართვა“ (ტრენერი - ცენტრის მენეჯერი ნია თოდუა).

10) ცენტრი „იდეას“ წევრების მონაწილეობა სხვადასხვა პროექტებში და ღონისძიებებში

2016 წლის განმავლობაში ცენტრ „იდეას“ წევრები ცენტრის სახელით და ინდივიდუალურად მონაწილეობდნენ საქართველოში და უცხოეთში გამართულ არაერთ კონფერენციაში, ტრენინგებ-

ში, გაცვლით და საგრანტო პროგრამებში, პროექტებში და სხვა ღონისძიებებში, სადაც მოიპოვეს შესაბამისი ჯილდოები და სერტიფიკატები.

11) სტუდენტური სასწავლო-შემეცნებითი სემესტრული გუნდური პროექტების პრეზენტაცია ცენტრ „იდეას“ ოფისში

2016 წლის ივნისის დასაწყისში ცენტრის ყოფილ ოფისში (თსუ მაღლივი კორუსი, ოთ. # 1211) მოეწყო სტუდენტური სემესტრული გუნდური სასწავლო-შემეცნებითი პროექტების პრეზენტაცია.

ასეთი პროექტების შედგენა-პრეზენტაციას ყოველსემესტრული ხასიათი აქვს და ცენტრის დირექტორის გ. შიხაშვილის სასწავლო გეგმისა და მეთოდოლოგიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. პროექტების პრეზენტაციის შეფასება ხდება ცენტრის ხელმძღვანელისა და ცენტრის მენეჯერე-

ბით შედგენილი კომისიის მიერ. სულ წარმოდგენილი იყო სხვადასხვა აქტუალურ თემაზე შესრულებული 20-მდე გუნდური პროექტი, რაც დიდ ინტერესს იწვევდა როგორც სხვა გუნდებში, ისე შემფასებლებში.

ყველასთვის სასიამოვნო და მნიშვნელოვანი იყო ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ თეიმურაზ ბერიძის დასწრება პროექტების პრეზენტაციაზე, რომელმაც მოიწონა სტუდენტთა ნამუშევრები, ცენტრ „იდეას“ მუშაობა ამ სფეროში და წარმატებები უსურვა ყველას.

12) ცენტრი „იდეას“ მონაწილეობა მთარგმნელობით პროექტში - S. Robbins, M. Coulter. Management. USA, Pearson, 2014.

2016 წლის განმავლობაში ცენტრ „იდეას“ წევრები გ. შიხაშვილი და თ. თაქთაქიშვილი უძღვებოდნენ სარედაქციო-საორგანიზაციო მუშაობას, რომელიც ხორციელდება მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის მიერ ინგლისურიდან ნათარგმნი სახელმძღვანელოს (S. Robbins, M. Coulter. Management. USA, Pearson, 2014) თსუ-ში გამოსაცემად.

მთლიანობაში, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების

ცენტრმა „იდეამ“ 2016 წელს ნაყოფიერად იმუშავა. ახალ, 2017 წელს ცენტრი ხვდება დიდი ენთუზიაზმით და საინტერესო გეგმებით, რომელთა განხორციელებისათვის ცენტრის წევრები ძალ-ღონეს არ დაიშურებენ.

ამ ეტაპზე ტარდება მოსამზადებელი სამუშაოები და იგეგმება სამეცნიერო-კვლევითი, საკონფერენციო, სასწავლო-სატრენინგო და მთარგმნელობითი პროექტები 2017 და შემდეგი წლებისთვის.

2017 წელს განხორციელებული მუშაობის ანგარიში

ქვემოთ გადმოცემულია ცენტრ „იდეას“ ინიციატივით, ორგანიზებით და მონაწილეობით 2017 კალენდარულ წელს განხორციელებული პროექტები/ლონისძიებები

1) პროგრამული პროექტი - I საერთაშორისო სტუდენტური საზაფხულო სამეცნიერო-პრაქტიკული სკოლა „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები - ახალი ტექნოლოგიების მართვა ურბანულ და აგრარულ სექტორებში“

(საქართველო, ბათუმი, გონიო. 2-9 აგვისტო, 2017).

თსუ-ის სტუდენტური სამეცნიერო პროექტების დაფინანსების განმსაზღვრელი საბჭოს 2017 წლის 21 მაისის გადაწყვეტილებით დაფინანსდა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრ „იდეას“ მიერ წარმოდგენილი ზემოაღნიშნული სამეცნიერო პროექტი.

პროექტის თანაორგანიზატორები და თანა-დამფინანსებლები არიან:

1. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
2. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი;
3. სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“;
4. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ბსუ);
5. ბსუ სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „ახალი ხედვა“;
6. თბილისის მერია;
7. ისრაელის საელჩო საქართველოში;
8. ისრაელის ფირმა „ნეტაფიმ-საქართველო“.

საზაფხულო სკოლის ინიციატორი და ერთ-ერთი ორგანიზატორია თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“.

პროექტი მიეძღვნა საქართველოსა და ისრაელს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 25 წლისთავს.

პროექტის მიხედვით განსაზღვრულია ორი ეტაპი.

- **პირველ ეტაპზე (მარტი-აგვისტო) განხორციელდა:**
 1. უშუალოდ სკოლის მომზადება და ჩატარება გონიოში;
 2. დაფუძნდა სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული ყოველკვარტალური ჟურნალი „სტუდენტური კვლევები და პროექტები“.
- **მეორე ეტაპზე (სექტემბერი-დეკემბერი):**

2) თანამშრომლობა შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან

2017 წლის 12-14 თებერვალს მოენყო თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ თეიმურაზ ბერიძის, ცენტრ „იდეას“ დირექტორის გიორგი შიხაშვილის და ცენტრის მენეჯერთა (მირიან თედიაშვილი, ტონი ძნელაძე) ვიზიტი ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

გამოსაცემად მომზადდა და თსუ გამომცემლობას გადაეცა სკოლის მიმდინარეობისას დაფუძნებული სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული ყოველკვარტალური ჟურნალი - „სტუდენტური კვლევები და პროექტები“, რომლის პირველ ნომერში, დეკემბრის ბოლოს დაიბეჭდა საზაფხულო სკოლის მოხსენებები (**რიოაც დასრულდა პროექტი**).

საზაფხულო სკოლის (უშუალოდ გონიოს ნაწილი - 2-9 აგვისტო) მუშაობაში სტუმრის და მომხსენებლის რანგში მონაწილეობა მიიღო 40-ზე მეტმა ადამიანმა, რომელთა შორის არიან ისრაელის ელჩი საქართველოში შაბთაი ცური; თსუ პროფესორი, თბილისის ყოფილი მერი - დავით ნარმანია; ბათუმის მერის მოადგილე - ბაგრატ მანველიძე; აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე - ავთანდილ მესხიძე; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები, სტუდენტები, მეცნიერები, სპეციალისტები და ბიზნესმენები საქართველოდან და ისრაელიდან.

ისრაელის მხარეს წარმოდგენდა 9 ადამიანი, მათ შორის, 2 სტუდენტი ბენ გურიონის უნივერსიტეტიდან ავიელ ელიასი და ტომ რაზი).

გონიოში საზაფხულო სკოლის მიმდინარეობისას მოენყო: მისალმებები; თემატური მოხსენებები და დისკუსიები; ისრაელის ფირმა „ნეტაფიმ-საქართველო“-ს პრეზენტაცია ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში; ვიზიტი ზუგდიდის სასათბურე მეურნეობაში; შემოქმედებითი აკვასემინარი; ვიზიტი აჭარის ერთ-ერთ აგროფირმაში; აჭარის ბუნებრივი, ისტორიული და ურბანული ღირსშესანიშნაობების დათვალიერება. დაფუძნდა და დეკემბრის ბოლოს თსუ გამომცემლობაში დაიბეჭდა ცენტრი „იდეას“ სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „სტუდენტური კვლევები და პროექტები“. პროექტის მიმდინარეობა გაშუქდა მედიაში, ბსუ-ს მიერ გადაღებულ იქნა მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტული ფილმი.

ვიზიტის უმთავრესი მიზანი იყო თსუ-სა და ბსუ-ს შორის არსებული მემორანდუმის ფარგლებში თანამშრომლობის გაფართოება ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტების სტუდენტთა კვლევითი საქმიანობისა და სათანადო პროექტების განხორციელების სფეროში.

შეხვედრები და მოლაპარაკებები გაიმართა ბსუ რექტორთან, პროფესორ მერაბ ხალვაშთან, ბსუ რექტორის მოადგილესთან, პროფესორ ნათია ნიკლაშვილთან, ბსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან ჯემალ ანანიძესთან, ბსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანთან, პროფესორ ვლადიმერ ლლონტთან, ფაკულტეტის დეპარტამენტების ხელმძღვანელებთან მურმან ცეცხლაძესა და ბადრი გეჩბაიასთან. მომავალი თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებების

განხილვა-კონსულტაციების შედეგად ბსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი და 13 თებერვალს დაფუძნდა სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „ახალი ხედვა“, რომელიც უკვე მჭიდროდ თანამშრომლობს ცენტრ „იდეასთან“.

ბსუ-მ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ზემოაღნიშნული საზაფხულო სკოლის მომზადებასა და წარმატებით ჩატარებაში.

3) ცენტრი „იდეას“ თანამშრომლობა ისრაელის საელჩოსთან საქართველოში

2013 წლიდან ცენტრი „იდეა“ მჭიდროდ თანამშრომლობს ისრაელის საელჩოსთან საქართველოში, რომელიც ყოველმხრივ დახმარებას უწევს ცენტრს.

სწორედ ამ თანამშრომლობის ფარგლებში ჩატარდა სამი საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია და ზემოაღნიშნული საზაფხულო სკოლა (2014 წელს

მესტიაში, 2015 წელს სიღნაღში, 2016 წელს თბილისში და 2017 წელს გონიოში).

2017 წლის განმავლობაში შედგა შეხვედრები ისრაელის ახალ ელჩთან, ბატონ შაბთაი ცურთან. 2018 წელს და მომავალში დაგეგმილია ფაკულტეტისა და ცენტრის ნაყოფიერი თანამშრომლობის გაგრძელება ისრაელის საელჩოსთან საქართველოში.

4) ცენტრი „იდეას“ თანამშრომლობა ისრაელის ფირმა „ნეტაფიმ-საქართველოსთან“

მჭიდრო თანამშრომლობა 2014 წლიდან ვითარდება ისრაელის ფირმა „ნეტაფიმ-საქართველოსთან“ (დირექტორი - აჰარონ გაგულაშვილი). ცენტრის ინიციატივით, ორგანიზებით და მონაწილეობით 2015 წლის 9 ივლისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი თსუ-სა და ისრაელის ფირმა „ნეტაფიმ-საქართველო“-ს შორის. მემორანდუმის მიზანია, მხარეებმა ხელი შეუწყონ საქართველოში სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებსა და ბიზნესორგანიზაციებს შორის საქმიანი ურთიერთობების გაღრმავებას.

მემორანდუმის ფარგლებში, ფირმა „ნეტაფიმ-საქართველოს“ მნიშვნელოვანი მხარდაჭერით:

- 2015 წლის 20-21 სექტემბერს სიღნაღში ჩატარდა II საერთაშორისო სტუდენტური სა-

მეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: აგრობიზნესის ორგანიზაცია და მართვა“.

- 2016 წლის 17-18 მაისს თბილისში ჩატარდა III საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: ტრადიციული და ახალი ტექნოლოგიების ორგანიზაცია და მართვა“.
- 2017 წლის 2-9 აგვისტოს გონიოში ჩატარდა I საერთაშორისო სტუდენტური საზაფხულო სამეცნიერო-პრაქტიკული სკოლა „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები - ახალი ტექნოლოგიების მართვა ურბანულ და აგრარულ სექტორებში“.

5) ცენტრი „იდეას“ თანამშრომლობა ისრაელის ბიზნესპალატასა და ისრაელის სახლთან

2014 წლიდან ვითარდება ცენტრ „იდეას“ თანამშრომლობა ისრაელის ბიზნესპალატასთან/ისრაელის სახლთან (ხელმძღვანელი - ბატონი იციკ მოშე).

2017 წლის 4 ივნისს ცენტრი „იდეას“ წევრები და ფაკულტეტის პროფესორა დაესწრნენ ისრაელის საელჩოსა და ისრაელის ბიზნესპალატის მიერ ორგანიზებულ ნინო ყოლანდარიას ფილმის პრემიერას „არ დაგივიწყებ საქართველო“, რომელიც

ჩატარდა კინოთეატრ „ამირანში“.

5 სექტემბერს ცენტრი „იდეას“ წევრები და ფაკულტეტის პროფესორა დაესწრნენ საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში „ერაული კულტურის ევროპული დღეების“ ფარგლებში გაიმართულ გამოფენას. გამოფენა ორგანიზებული იყო ისრაელის საელჩოსა და ისრაელის ბიზნესპალატის მიერ.

6) ცენტრ „იდეას“ თანამშრომლობა მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან

მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან 2014 წელს გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში 2016 წელს დაწყებულია მუშაობა ზემო სვანეთში პროექტების მართვის სრულყოფის კვლევის მიმართულებით.

პროექტში მონაწილეობას მიიღებს ცენტრის პერსონალი, მათ შორის ფაკულტეტის დოქტორანტი, მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ერთ-ერთი დეპარტამენტის ხელმძღვანელი ელენე განაია.

7) ცენტრი „იდეას“ დირექტორის, გიორგი შიხაშვილის მონაწილეობა სხვადასხვა ტრენინგებში, სემინარებსა და კონფერენციებში

2017 წლის განმავლობაში ცენტრის დირექტორი გიორგი შიხაშვილი მონაწილეობდა 10-ზე მეტ ტრენინგში, საზაფხულო სკოლაში, სემინარებსა და კონფერენციებში ტრენინგის, მსმენელის, ორგანიზატორის, სექციის ხელმძღვანელის, ორგანიზაციის თავმჯდომარის/წევრის რანგში როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში (თბილისი, ბათუმი, მინსკი, პეტროზავოდსკი).

8) ცენტრ „იდეაში“ ჩატარებული ტრენინგები

ცენტრი „იდეას“ მთავარი პროგრამა - „შეიმეცნე და აალორძინე საქართველო“, შესაბამის კვლევებთან ერთად, ითვალისწინებს ტრენინგების ჩატარებას როგორც ცენტრის წევრებისა და ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, ასევე გარე სამიზნე ჯგუფებისათვის (დროის მართვა; პროექტების შედგენა; პროფესიული ორიენტაცია; გრანტის მოპოვება; კონფერენციების მოწყობა; საზაფხულო სკოლების მოწყობა; სამეცნიერო კვლევის მეთოდიკა; ადგილობრივი მართვა; საკუთარი ბიზნესის დაწყება და მართვა).

2017 წელს სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“ აგრძელებდა ტრენინგების ციკლს. კერძოდ:

1. 2017 წლის 14 იანვარს ცენტრ „იდეას“ მენეჯერებისათვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „ტრენინგების ორგანიზაცია“ (ტრენინგი - ცენტრის დირექტორი გიორგი შიხაშვილი). განხილულ და შესწავლის იქნა შედეგი ძირითადი საკითხები: 1) ტრენინგების ორგანიზაცია და მეთოდიკა; 2) რჩევები ტრენინგებს; 3) ტრენინგის კურსი დამწყებთათვის: „პროექტების მენეჯმენტი“. მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები.
 2. 2017 წლის მარტში დაინიშნა გრძელვადიანი (10 თვიანი) ტრენინგი თემაზე: „საზაფხულო სკოლის ორგანიზება“. ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს ზემოაღნიშნული გონიოს საზაფხულო სკოლის მოსამზადებელი სტუდენტური სამუშაო ჯგუფის წევრებმა. განხილულ და შესწავლილ იქნა შემდეგი საკითხები: 1) ტრენინგები; 2) საზაფხულო სკოლა; 3) მოხსენების მომზადება; 4) სამეცნიერო ჟურნალის გამოცემა; 5) მთარგმნელის ფუნქცია.
- ტრენინგი დამთავრდა 2017 წლის 14 დეკემბერს. მონაწილეებს გადაეცათ საზაფხულო სკოლის ორგანიზატორის სერტიფიკატები.

9) ცენტრი „იდეას“ წევრი სტუდენტების მონაწილეობა სხვადასხვა პროექტებში და ღონისძიებებში

2017 წლის განმავლობაში ცენტრ „იდეას“ წევრები ცენტრის სახელით და ინდივიდუალურად მონაწილეობდნენ საქართველოში და უცხოეთში გამართულ არაერთ კონფერენციაში, ტრენინგებში, გაცვლით და საგრანტო პროგრამებში, პროექტებში და სხვა ღონისძიებებში, სადაც მოიპოვეს შესაბამისი ჯილდოები და სერტიფიკატები.

10) სტუდენტური სასწავლო-შემეცნებითი სემესტრული გუნდური პროექტების პრეზენტაცია ცენტრ „იდეას“ ოფისში

2017 წლის 13 იანვარს სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრ „იდეას“ ოფისში ჩატარდა სემესტრული სტუდენტური გუნდური პროექტების პრეზენტაცია. პრეზენტაციაში მონაწილეობდა 5-7 სტუდენტისაგან შემდგარი 20-მდე საპროექტო გუნდი. პრეზენტაციას ხელმძღვანელობდა ცენტრ „იდეას“ დირექტორი, ასოცირებული პროფესორი გიორგი შიხაშვილი.

წარმოდგენილ პროექტებს, გ. შიხაშვილთან ერთად, აფასებდა კომისია, რომლის წევრები იყ-

ვნენ წინასწარ დატრენინგებული ცენტრის მენეჯერები - ფაკულტეტის სტუდენტები: სალომე სალია, მარიამ მჭედლიშვილი, გვანცა კურატიშვილი, მთვარისა ქვრივიშვილი, გუგა ჯანვერდაშვილი, ნინო ფირალიშვილი, ტონი ძნელაძე და შოთა გაბადაძე.

2017 წლის 15 ივნისს ჩატარდა ანალოგიური პრეზენტაცია. პრეზენტაციებმა შემოქმედებით და ინტერაქტიურ გარემოში ჩაიარა. წარმოდგენილი პროექტების მნიშვნელოვანმა ნაწილმა უმაღლესი შეფასება დაიმსახურა.

11) ცენტრი „იდეას“ მონაწილეობა მთარგმნელობით პროექტში - S. Robbins, M. Coulter. Management. USA, Pearson, 2014.

2017 წლის განმავლობაში ცენტრი „იდეას“ წევრები გ. შიხაშვილი და თ. თაქთაქიშვილი უძღვებოდნენ სარედაქციო-საორგანიზაციო მუშაობას, რომელიც ხორციელდება მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის მიერ ინგლისურიდან ნათარგმნი სახელმძღვანელოს (S. Robbins, M. Coulter. Management. USA, Pearson, 2014) თსუ-ში გამოსაცემად.

ამ ეტაპზე თსუ გამომცემლობის მიერ წიგნი გადაცემულია სტამბაში დასაბეჭდად, რაც უნდა დასრულდეს 2018 წლის თებერვალ-მარტში.

ამასთან, მთავრდება ხელშეკრულების გაფორმება Pearson-თან წიგნის ელექტრონული ვერსიის გავრცელებისათვის.

მთლიანობაში, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრმა „იდეა“-მ 2017 წელს ნაყოფიერად იმუშავა.

სის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრმა „იდეა“-მ 2017 წელს ნაყოფიერად იმუშავა.

ახალ, 2018 წელს ცენტრი ხვდება დიდი ენთუზიაზმით და საინტერესო გეგმებით, რომელთა განხორციელებისათვის ცენტრის წევრები ძალ-ღონეს არ დაიშურებენ.

ცენტრი „იდეას“ მიერ 2018 წელს განხორციელებული საქმიანობა

2018 წლის დასაწყისიდან ცენტრი „იდეას“ მიერ განხორციელებულია შემდეგი აქტივობები:

1. 4 თებერვალს მოეწყო ცენტრის მენეჯერთა გაცნობითი ვიზიტი კარდენახის მეღვინეობის ფირმა „ნალდ მარანში“;
2. ცენტრი „იდეას“ დირექტორმა და ოთხმა სტუდენტმა მონაწილეობა მიიღეს 2018 წლის 10-15 მარტს ისრაელის ბენ-გურიონის უნივერსიტეტში ჩატარებული საერთაშორისო აკადემიური სემინარის მუშაობაში;
3. 8 მაისს, აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ცენტრის დირექტორმა გ. შიხაშვილმა წაიკითხა ლექცია თემაზე: „თანამედროვე ორგანიზაციულ-მეთოდური ტექნოლოგიების გამოყენება სტუდენტთა სასწავლო პროცესში“. მომხსენებელს ასისტენტობას უწევდა ცენტრი „იდეას“ მენეჯერი შ. გაბადაძე;
4. 15 თებერვალს მოეწყო ცენტრის ხელმძღვანელობის საქმიანი შეხვედრა ისრაელის ელჩთან საქართველოში შაბთაი ცურთან;
5. 17 მაისს, ცენტრი "იდეას" ოფისში ცენტრის წევრებისათვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე: "პროექტების შედგენისა და მართვის მეთოდოლოგიური ასპექტები". ტრენერი - ცენტრის დირექტორი - გ. შიხაშვილი;

6. 24 მაისს ცენტრში შეიქმნა აზერბაიჯანის ეკონომიკისა და ბიზნესის კვლევის სექტორი, რომლის ხელმძღვანელი გახდა ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი ჯეიჰუნ ფაშაევი;
7. 24 და 31 მაისს ცენტრი "იდეას" ოფისში ცენტრის წევრებისათვის ჩატარდა ტრენინგთა ტრენინგი თემაზე: "დროის მართვა" (სასკოლო კურსი). ტრენერი - ცენტრის დირექტორი - გ. შიხაშვილი.
8. მაისის თვეში მიღებულ იქნენ ცენტრის ახალი წევრები - მე-2 კურსის სტუდენტები;
9. 1 ივნისს მოეწყო გასვლითი ლექცია-სემინარი (ტრენინგი) დმანისის საჯარო სკოლაში თემაზე: „დროის მართვა“ (ტრენინგები - ცენტრი „იდეას“ წევრი სტუდენტები);
10. ივნისში თსუ გამომცემლობაში დაიბეჭდა ცენტრი „იდეას“ ჟურნალი „სტუდენტური კვლევები და პროექტები“, #1-2, 2018.

2018 წლის 4-8 სექტემბერს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „ახალი ხედვა“, ცენტრ „იდეასთან“ ერთად აწყობს

სტუდენტურ საუნივერსიტეტოშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ საზაფხულო სკოლა-ტრენინგს - „პროექტების დაგეგმვა და მართვა“, რომლის ორგანიზებასა და მუშაობაში ცენტრი „იდეას“ ხელმძღვანელობა და სტუდენტები მიიღებენ აქტიურ მონაწილეობას.

მოსხენებები/სტატიები

LECTURES/ARTICLES

ქართული დელეგაციის წევრთა მოხსენებები ისრაელის
ბენ გურიონის უნივერსიტეტში (10-15.03.2018)



საქართველო-ისრაელის რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობა: განვითარების პერსპექტივები

აბსტრაქტი. საქართველოს და ისრაელს 26-საუკუნოვანი თანამშრომლობის მდიდარი ისტორია აქვთ. მიუხედავად მრავალ სფეროში თანამშრომლობისა, არსებობს რეგიონული თანამშრომლობის ახალი გზები და შესაძლებლობები. ნაშრომი ძირითადად პრაქტიკული ხასიათისაა და მასში მიმოხილულია როგორც საქართველოს, ასევე ისრაელის ძირითადი სოციალ-ეკონომიკური მაჩვენებლები და ამ სფეროს მარეგულირებელი ძირითადი ორმხრივი შეთანხმებები. გაანალიზებულია საგარეო ვაჭრობა, ისრაელის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში, ტურიზმი და საჰაერო მიმოსვლა. ქვეყნების უპირატესობიდან გამომდინარე, მოცემულია სამომავლო თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები და პერსპექტივები.

საკვანძო სიტყვები: რეგიონული თანამშრომლობა; ვაჭრობა; ინვესტიციები; ტურიზმი; ინოვაცია.

ძირითადი სოციალ-ეკონომიკური მაჩვენებლები

საქართველო და ისრაელი პატარა სახელმწიფოებია. ქვეყნის ტერიტორიით საქართველოს 119-ე, ხოლო ისრაელს 150-ე ადგილი უჭირავს მსოფლიოში. მოსახლეობის რაოდენობით ისრაელი 98-ე, ხოლო საქართველო 131-ე ადგილზეა. მიუხედავად ამისა, თავიანთი დამახასიათებელი უპირატესობები და საინტერესო მხარეები გააჩნიათ. ქვემოთ მოყვანილია ძირითადი სოციალ-ეკონომიკური ინდიკატორები, რაც ამ ქვეყნების შედარების საშუალებას გვაძლევს (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1. საქართველოს და ისრაელის ზოგიერთი სოციალ-ეკონომიკური მაჩვენებელი

| ინდიკატორი | საქართველო | ისრაელი |
|--|--------------------------------|--------------------------------|
| ფართობი | 69,700 კმ ² (119-ე) | 22,072 კმ ² (150-ე) |
| მოსახლეობა | 3,718,200 (131-ე) | 8,817,820 (98-ე) |
| მშპ ერთ სულ მოსახლეზე (PPP) | \$10,644 | (107-ე) \$37,486 (35-ე) |
| გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი (WEF 2017-18) | 59-ე | 16-ე |
| ბიზნესის კეთების სიმარტივე (Doing Business 2018) | 9-ე | 54-ე |
| ჯინის ინდექსი (GINI) | 38.5 საშუალო | 42.8 საშუალო |
| ადამიანური განვითარების ინდექსი (HDI) | 0.769 მაღალი 70-ე | 0.899 ძ. მაღალი 19-ე |
| გაცვლითი კურსი (1 USD =) | 2.45 ლარი (GEL) | 3.53 შეკელი (ILS) |

წყარო: საქსტატი; ისრაელის სტატისტიკის ცენტრალური ბიურო; მსოფლიო ბანკი; მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი; გაეროს განვითარების პროგრამა.

საერთაშორისო რეგულირება

დამოუკიდებელ საქართველოსა და ისრაელს შორის ახალი ურთიერთობების ერა გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან იწყება, როდესაც პოსტსაბჭოთა საქართველომ ეტაპობრივად დამოუკიდებელი განვითარება დაიწყო. ორმხრივი ურთიერთობების დასარეგულირებლად, ამავე წლებში რამდენიმე მნიშვნელოვანი საერთაშორისო შეთანხმება გაფორმდა. შემდეგ კი ეს ურთიერთობები მუდმივად ვითარდებოდა და დღემდე გრძელდება. სოციალ-ეკონომიკურ სფეროში ამ მხრივ აღსანიშნავია შემდეგი საერთაშორისო შეთანხმებები:¹

1. ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის შესახებ, 19 ივნისი, 1995;
2. ინვესტიციების ორმხრივი დაცვისა და ნახალისების შესახებ, 19 ივნისი, 1995;
3. საბაჟო საკითხებში ურთიერთდახმარების შესახებ, 9 სექტემბერი, 1999;
4. შემოსავლებზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან

5. აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ, 12 მაისი, 2010;
6. საჰაერო მიმოსვლის შესახებ, 6 აგვისტო, 2012;
7. ერთობლივი ეკონომიკური კომისიის დაფუძნების შესახებ, 18 თებერვალი, 2014;
8. სოფლის მეურნეობის დარგში თანამშრომლობის შესახებ, 23 ივნისი, 2014;
9. განათლების, მეცნიერების, სპორტისა და ახალგაზრდობის დარგში 2015-2018 წლებში თანამშრომლობის პროგრამა, 8 ივნისი, 2015.

აღნიშნული შეთანხმებები რატიფიცირებულია ორივე ქვეყნის პარლამენტების მიერ და არეგულირებს ამ საკითხებში ძირითად მიმართულებებს. მათზე დაყრდნობით კი მიღებულია დეტალური დოკუმენტები, გადანყვეტილებები და ცალკეულ სფეროებში შექმნილია სამთავრობო საერთაშორისო კომისიები.

საგარეო ვაჭრობა


ისრაელი საქართველოს ერთ-ერთი სავაჭრო პარტნიორია. თუმცა, ის არ შედის მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ათეულში. საქართველოს ისრაელთან უარყოფითი სავაჭრო ბალანსი აქვს, ვინაიდან საქონლის იმპორტი ის-

რაელიდან მეტია, ვიდრე საქართველოს ექსპორტი (იხ. ცხრილი 2, გრაფიკი 1). აქ გამონაკლისს მხოლოდ 2012 წელი წარმოადგენდა, როცა საქართველოს ექსპორტმა გადააჭარბა ისრაელიდან იმპორტს.

ცხრილი 2. ვაჭრობა საქართველოსა და ისრაელს შორის (ათასი აშშ დოლარი)

| | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 |
|---------------------------------------|------------------|------------------|----------------|------------------|------------------|------------------|-----------------|-----------------|
| საქართველოდან ექსპორტი ისრაელში (FOB) | 4,235.3 | 3,090.5 | 36,529.9 | 2,390.4 | 4,456.6 | 5,651.4 | 5,451.1 | 7,004.9 |
| იმპორტი ისრაელიდან საქართველოში (CIF) | 14,543.3 | 28,663.5 | 31,828.7 | 31,406.9 | 41,663.2 | 22,566.2 | 10,053.1 | 13,253.0 |
| ბალანსი | -10,307.9 | -25,573.0 | 4,701.2 | -29,016.5 | -37,206.6 | -16,914.8 | -4,602.0 | -6,248.1 |

წყარო: საქსტატი, www.geostat.ge



წყარო: საქსტატი, www.geostat.ge

¹ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge

2014 წელს ისრაელიდან განხორციელდა ყველაზე დიდი იმპორტი (41,663.2 ათასი აშშ დოლარი),


რის გამოც უარყოფითი ბალანსი ამ წელს ყველაზე მეტი დაფიქსირდა (იხ. გრაფიკი 1).

ინვესტიციები

უცხოური ინვესტიციების მოზიდვა საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. თუმცა, მთავრობის ეს აქტიურობა ნაკლებად არის ასახული ისრაელიდან საქართველოში განხორციელებულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე (იხ. გრაფიკი 2).

Boutique Hotel, Rixos Tbilisi, KAS Hotel Gergeti, Mirza Shapi².

ებრაული ინვესტიციის წარმატებული მაგალითია კომპანია „ნეტაფიმ საქართველო“. ის როგორც მსოფლიო ლიდერი საირიგაციო კომპანია, აწვდის და ნერგავს ტექნოლოგიებს წყლის



წყარო: საქსტატი, www.geostat.ge

როგორც ვხედავთ, ინვესტიციების თვალსაზრისით ყველაზე აქტიური 2014-2015 წლებია. ამას თავისი ახსნა აქვს. ამ წლებში ისრაელში და საქართველოში რამდენიმე ბიზნეს-ფორუმი და საქმიანი ვიზიტი განხორციელდა: 2014 წელს 3 ბიზნეს-ფორუმი ჩატარდა თბილისში და 2015 წელს ქ. თბილისის მერის ვიზიტის ფარგლებში იერუსალმში ჩატარდა ასევე ბიზნეს-ფორუმი. ამას შედეგად მოყვა 4 სასტუმროში ინვესტირება და ეს სასტუმროები აქტიურად შენდება (ზოგიერთი მათგანი უკვე დასრულდა) დედაქალაქ თბილისში: Rustaveli

რესურსების, მიწის და საკვების სიმცირის დასამარცხებლად³. სხვანაირად, ეს არის ინოვაციაზე ორიენტირებული ფერმერული კომპანია, რომელიც საქართველოში ინვესტიციების დაბანდებასთან ერთად წამყვანი ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვასაც ახორციელებს.

ამდენად, საქართველოში არსებულ ხელსაყრელ საინვესტიციო გარემოზე (დაბალი გადასახადები და მარტივი ადმინისტრაციული პროცედურები) მეტი ინფორმაციის მიწოდება ებრაელი ბიზნესმენებისთვის გაზრდის ქვეყნის საინვესტიციო ნდობას და მეტი ინვესტიციის მოზიდვის საფუძველი იქნება.

ტურიზმი და საჰაერო მიმოსვლა

საქართველო-ისრაელს შორის ტურიზმი ბოლო წლებში დინამიურად ვითარდება. ეს ეხება როგორც საქართველოდან ისრაელში, ასევე ისრაელიდან საქართველოში ტურიზმს (იხ. ცხრილი 3, გრაფიკი 3). აღნიშნული განპირობებულია როგო-

რც ქვეყნებს შორის ისტორიული კავშირებით (დიასპორული კავშირები), აგრეთვე საქართველოს ტურისტულ პოტენციალზე ისრაელში ფართო კამპანიით (რომელსაც ახორციელებს საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია).

² ისრაელ-საქართველოს ბიზნეს-საბჭო, www.ig-chamber.org

³ <http://www.netafim.ge/>


ცხრილი 3. ისრაელიდან საქართველოში ჩამოსული ტურისტები

| | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 |
|--|--------|--------|--------|--------|--------|---------|
| ისრაელიდან ჩამოსული ტურისტების რაოდენობა | 30,851 | 39,922 | 42,385 | 59,487 | 92,215 | 125,319 |
| ზრდა (%) | 29.4 | 6.2 | 40.3 | 55.0 | 35.9 | - |

წყარო: საქართველოს ეროვნული ტურიზმის ადმინისტრაცია, www.gnta.ge

როგორც ცხრილიდან ჩანს, ბოლო 5 წლის განმავლობაში ისრაელიდან საქართველოში ჩამოსული ტურისტების რიცხვი 4-ჯერ გაიზარდა. ტურიზმის ზრდა მეტ-ნაკლები მოცულობით ყოველწლიურია და ეს ტენდენცია შენარჩუნდება შემდგომ წლებშიც. აღსანიშნავია, რომ თბილისში

უძველეს ისტორიულ ადგილას გვაქვს სინაგოგა და რამდენიმე წლის წინ აღდგენილი ებრაული მუზეუმი. სინაგოგებს ასევე ვხვდებით საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში (ბათუმი, სოხუმი, ონი, სურამი, ბანძა). გარდა ისრაელთან დაკავშირებული ისტორიული ადგილებისა, ებრაელი ტურისტებისთვის საინტერესოა ღვინის, სათხილამურო, საზღვაო და სხვა სახის ტურიზმი.



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, www.gnta.ge

ტურიზმის განვითარებას ხელს უწყობს უვიზო მიმოსვლა, რაზეც შეთანხმებას ხელი მხარეებს შორის 2014 წლის ნოემბერში მოეწერა. გაზრდილმა ტურიზმმა ავიამიმოსვლაზე დამატებითი მოთხოვნაც გააჩინა. საქართველოს და ისრაელს პირდაპირი ავიამიმოსვლა გააჩნიათ, რაც დაფუძნებულია სახელმწიფოებს შორის 2012

წლის 6 აგვისტოს დადებულ ზემოთ აღნიშნულ ხელშეკრულებაზე „საჰაერო მიმოსვლის შესახებ“. აღნიშნულის შესაბამისად, მიმდინარე პერიოდში ყოველკვირეულად 20 ავიარეისი სრულდება თბილისის საერთაშორისო აეროპორტსა (TBS) და თელ-ავივის ბენ-გურიონის აეროპორტს (TLV) შორის, საიდანაც 14 ფრენას საქართველოს ავიასაზნაუბი, ხოლო 6 ფრენას - ისრაელის ავიასაზნაუბი ახორციელებს⁴.

სამომავლო თანამშრომლობის სფეროები

ზემოთ მოყვანილი გარემოებებიდან გამომდინარე, საქართველოსა და ისრაელს შორის, სოციალ-ეკონომიკურ სფეროში სამომავლო თანამშრომლობის მიმართულებებად მიგვაჩნია:

- **გამოცდილების ურთიერთგაცვლა.** აქ მნიშვნელოვანია ორივე ქვეყნის უპირატესობების და გამოცდილების ანალიზის საფუძველზე განისაზღვროს სფეროები, სადაც მოხდება გამოცდილების ურთიერთგაცვლა. მაგალითად, საქართველოსთვის საინტერესოა აგრარულ სექტორში ისრაელის გამოცდილების კიდევ უფრო მეტად გაზიარება;

- **ინოვაციები და მეცნიერება (ისრაელის გამოცდილება).** ისრაელს მსოფლიოში 10 მონინავე ინოვაციური ეკონომიკის მქონე ქვეყნებიდან მე-3 ადგილი უჭირავს. ინოვაციები ქვეყანაში დაფუძნებულია მაღალკვალიფიციურ სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებზე, რომელსაც ასევე ეყრდნობა კერძო სექტორი⁵. ამდენად, ინოვაციებში ისრაელის გამოცდილების უფრო მეტად გაზიარება მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით იმ ფონზე, როცა საქართველოს მთავრობის ხელშეწყობით,

⁴ თბილისის საერთაშორისო აეროპორტი, www.tbilisiairport.com/gu-GU/flightinfo/Pages/Flightinfo.aspx

⁵ გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი 2017-2018, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, www.weforum.org

ტექნოლოგიური პარკის ბაზაზე რამდენიმე ახალი პროექტი ხორციელდება;

- **ტურიზმი (ორივე ქვეყნის პოტენციალი).** მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა, პირდაპირი ავიახაზები და ორივე ქვეყნის სხვა უპირატესობები, კარგი საფუძველია მომავალში ტურიზმის კიდევ უფრო გასაზრდელად. ამ მიზნით, ისრაელის მხრიდან სასაზღვრო პროცედურების მეტად გამარტივება და ერთობლივი ტურისტული საპრომოციო ღონისძიებები ორივე ქვეყანაში ტურიზმს კიდევ უფრო მეტად გაზრდიდა;
- **პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (პოტენციალი საქართველოში).** საქართველოში არსებული მარტივი ადმინისტრაციული პროცედურები და დაბალი გადასახადები კარგი ნიადაგია ებრაული ინვესტიციების მოსაზიდად. ამასთან, ბოლო წელს განხორციე-

ლებული მოგების გადასახადის რეფორმა (რეინვესტირებისას გადასახადისგან განთავისუფლება) დამატებითი ინსტრუმენტია ინვესტიციების დასაინტერესებლად. მითუმეტეს, ქვეყნებს შორის 2010 წლიდან არსებობს შემოსავალსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმება;

- **ვაჭრობა (საქართველოს საექსპორტო პოტენციალი).** რამდენიმე კატეგორიის პროდუქციის წარმოებაში საქართველოს გააჩნია შეფარდებითი უპირატესობა (ღვინო, მინერალური წყლები, თხილი და სხვა), რაც გამოყენებული უნდა იქნას და მეტი რეკლამა გაკეთდეს ისრაელის ბაზარზე. ამით შესაძლებელია ისრაელმა მიიღოს ხარისხიანი პროდუქცია, ხოლო საქართველომ - დამატებითი შემოსავალი.

გამოყენებული წყაროები

1. საქსტატი, www.geostat.ge
2. საქართველოს ეროვნული ტურიზმის სააგენტო, www.gnta.ge
3. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, www.weforum.org
4. ისრაელ-საქართველოს ბიზნეს-საბჭო, www.ig-chamber.org
5. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge
6. ისრაელის სტატისტიკის ცენტრალური ბიურო, www.cbs.gov.il
7. გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), ადამიანური განვითარების ინდექსი (HDI), www.undp.org
8. მსოფლიო ბანკის ჯგუფი (WB), www.worldbank.org

Georgia-Israel Regional-Economic Cooperation: Development Perspectives

Abstract. Georgia and Israel possess rich historical heritage of enjoying 26-century co-operation. Despite an extremely large scope of cooperation, there are new ways and opportunities of regional cooperation. The paper is mainly of practical nature and it discusses main social-economic indices and key bilateral agreements of both Georgia and Israel regulating this field. Foreign trade is analyzed as well as direct foreign investments of Israel in Georgia, tourism and air travel. Based on the priority of the country, main directions and prospects of further cooperation are given.

Keywords: Regional Cooperation; Trade; Investment; Tourism; Innovation.

Main Socio-Economic Indicators

Georgia and Israel are small states. In terms of the territory of the country the former holds the 199th place whereas the latter - 150th. As for the amount of population, Israel is at the 98th place and Georgia - at the 131th. Despite this, they both have their own characteristics and interesting sides. The table below demonstrates main social-economic indicators which enable comparison of these countries (See. Table 1).

Table 1. Several Social-Economic Indicators of Georgia and Israel

| Indicator | Georgia | Israel |
|--|---|--|
| Area | 69,700 km ² (119 th) | 22,072 km ² (150 th) |
| Population | 3,718,200 (131 th) | 8,817,820 (98 th) |
| GDP per capita (PPP) | \$10,644 (107 th) | \$37,486 (35 th) |
| Global Competitiveness Index (WEF 2017-18) | 59 th | 16 th |
| Doing Business (WB 2018) | 9 th | 54 th |
| GINI | 38.5 Medium | 42.8 Medium |
| HDI | | 0.769 High 70 th 0.899 Very high 19 th |
| Exchange Rate (1 USD =) | 2.45 GEL | 3.53 ILS |

Source: Geostat, CBSI; WB; WEF; UNDP.

International Regulation

The era of new relationships between independent Georgia and Israel started in the 90ies of the previous century when post soviet Georgia started to gradually develop independently. Several significant agreements were signed in these years to regulate bilateral relations. Further on, these relations used to be developing on regular basis and still do so. The following international agreements are worth noting in the social-economic sphere in this respect¹:

¹ Legislative Herald of Georgia, www.matsne.gov.ge

- In the field of Tourism, June 19, 1995;
- Bilateral Protection and Promotion of Investments, June 19, 1995;
- Mutual Assistance in Customs Issues, September 9, 1999;
- Avoiding of Double Taxation on Income and Preventing Tax Evasion, May 12, 2010;
- On air Traffic, August 6, 2012;
- Establishing a Joint Economic Commission, February 18, 2014;
- On Cooperation in Agriculture, June 23, 2014;
- Program of Cooperation in the field of Education, Science, Sport and Youth in 2015-2018, June 8, 2015.

The above-mentioned agreements have been ratified by the parliaments of both countries and regulate main directions in these issues. Detailed documents and decisions have been on their basis and inter-government boards have been created in separate fields.

External Trade


Israel is one of the trade partners of Georgia. However, it is not included in the top ten significant partner countries. Georgia has negative trade balance with Israel since cattle import from Israel is higher than Georgian export (See. Table 2, Graph 1). Only the year of 2012 is an exception when Georgian export exceeded import from Israel.

Table 2. Trade between Georgia and Israel (thousand USD)

| | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 |
|-------------------------------------|------------------|------------------|----------------|------------------|------------------|------------------|-----------------|-----------------|
| Export from Georgia to Israel (FOB) | 4,235.3 | 3,090.5 | 36,529.9 | 2,390.4 | 4,456.6 | 5,651.4 | 5,451.1 | 7,004.9 |
| Import from Israel in Georgia (CIF) | 14,543.3 | 28,663.5 | 31,828.7 | 31,406.9 | 41,663.2 | 22,566.2 | 10,053.1 | 13,253.0 |
| Balance | -10,307.9 | -25,573.0 | 4,701.2 | -29,016.5 | -37,206.6 | -16,914.8 | -4,602.0 | -6,248.1 |

Source: Geostat, www.geostat.ge


The largest scale import was implemented from Israel in 2014 (41 663 USD) which led to the highest rate of negative balance reported in this year (See, Graph 1).



Source: Geostat, www.geostat.ge

Investments

Attracting foreign investments is one of the significant priorities of the government of Georgia. However, the government is less active in respect with foreign direct investment from Israel to Georgia. (See, Chart 2).



Source: Geostat, www.geostat.ge

As the chart illustrates, 2014-2015 were the most active years in terms of investments. This has its own explanation. Several business forums and visits were made in these years in Georgia and Israel: 3 business forums in Tbilisi in 2014 and one in Jerusalem in 2015 within the scope of the visit of the head of Tbilisi municipality. This resulted in 4 hotel investments which are being actively constructed (some of them had already been brought to the final stage) in the capital city of Tbilisi: Rustaveli Boutique Hotel, Rixos Tbilisi, KAS Hotel Gergeti, Mirza Shapi².

Company “Netafim Georgia” is a successful example of Jewish investment. Being a world leading

irrigation company, it develops and introduces technologies to defeat shortage of water, land and food resources³. To put it another way, this is an innovations oriented farming company which introduces leading innovation technologies in Georgia along with making investments.

Therefore, providing more information about the profitable investment climate in Georgia (low taxes and simple administrative procedures) will increase the trust of Israeli businessmen in the country’s investments and serve as the basis for attracting more investment.

Tourism and Air Movement

Tourism between Israel and Georgia has been developing dynamically in recent years. This applies to both tourism types to and from Georgia (See. Table 3, Graph 3). This is conditioned by both historical links between the countries (Diaspora connections) and a large-scale campaign in Israel in respect with the tourism potential of Georgia (which is implemented by the National Tourism Administration of Georgia).

further years as well. It is worth noting that there is a Synagogue on Tbilisi at the most ancient place and the Jewish museum restored several years ago. There are synagogues in other regions of Georgia too (Batumi, Sokhumi, Oni, Surami, Bandza). Besides the historical places related with Israel, Israeli tourists are interested in wine, ski, marine and other types of tourism.

Table 3. Number of Tourists from Israel in Georgia

| | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 |
|---------------------------------------|--------|--------|--------|--------|--------|---------|
| Number of tourists from Israel | 30,851 | 39,922 | 42,385 | 59,487 | 92,215 | 125,319 |
| Growth (%) | 29.4 | 6.2 | 40.3 | 55.0 | 35.9 | - |

Source: Georgian National Tourism Agency, www.gnta.ge

As the table demonstrates, the amount of tourists travelling from Israel to Georgia in the last 5 years increased by 4 times. Tourism increases more or less on annual basis and this tendency will be retained in

Visa-free movement supports development of tourism and the agreement was signed between the parties in November 2014.

² Israel-Georgia Chamber of Business, www.ig-chamber.org

³ <http://www.netafim.ge/>



Source: Georgian National Tourism Agency, www.gnta.ge

Increased tourism created additional demand on air travel. There are direct flights between Georgia and Israel on the basis of the above-mentioned agreement on air travel of August 6, 2012 on Air Travel

Areas of future cooperation

Based on the circumstances given above, the following areas are regarded by us as those for future cooperation in the social-economic sphere between Israel and Georgia:

- **Sharing experience.** What matters here is defining the areas where sharing of experience will be made on the basis of analysing advantages and experience of both countries. For example, further sharing of Israeli experience in the agrarian sector is interesting for Georgia;
- **Innovations and science (Israeli experience).** Israel is the third country among 10 leading ones with innovative economy. Innovations in the country are based on highly qualified scientific research institutions upon which the private sector is also based⁵. Therefore, it is especially important to further share the Israeli experience in innovations, especially, at the background of implementing several new projects on the basis of the technological park with support of the government of Georgia;
- **Tourism (potential of both countries).** Rich cultural heritage, direct airlines and other advantages of

between the countries. In accordance with this, there are 20 weekly flights in the current period between Tbilisi International Airport (TBS) and Tel-Aviv Ben Gurion Airport (TLV) out of which 14 flights are made by Georgian Airlines and 6 by the Israeli Airlines⁴.

both countries serve as the good ground for further increasing tourism in future. With this view, too much simplification of border procedures from Israel and joint tourism promotional measures would ensure further increase of tourism in both countries;

- **Foreign Direct Investment (potential in Georgia).** Simple administrative procedures and low taxes in Georgia serve as the sound ground to attract Jewish investments. Besides, the profit tax reform implemented recently (freeing from paying the tax upon re-investment) is an additional instrument for attracting the investors, especially, the 2010 international agreement between the countries on avoiding double taxation on income and capital;
- **Trade (Export Potential of Georgia).** Georgia possesses relative advantage in respect with manufacturing several categories of production (wine, mineral waters, nuts, etc.) which should be used and advertised more intensively at the Israeli market. This may lead to providing Israel with high quality production and ensuring additional income for Georgia.

⁴ Tbilisi International Airport, www.tbilisiairport.com/gu-GU/flightinfo/Pages/Flightinfo.aspx

⁵ Global Competitiveness Index 2017-2018, World Economic Forum, www.weforum.org

References

1. GeoStat, www.geostat.ge
2. Georgian National Tourism Agency, www.gnta.ge
3. Global Competitiveness Index, World Economic Forum, www.weforum.org
4. Israel-Georgia Chamber of Business, www.ig-chamber.org
5. Legislative Herald of Georgia, www.matsne.gov.ge
6. The Central Bureau of Statistics of Israel, www.cbs.gov.il
7. United Nations Development Program (UNDP), Human Development Index (HDI), www.undp.org
8. World Bank Group (WB), www.worldbank.org

სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტები საქართველოსა და ისრაელში: ინოვაციური მიდგომები და მოდელები

აქტუალურობა. საქართველოსთვის სოფლის მეურნეობა ყოველთვის გადამწყვეტ როლს ასრულებდა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. იგი მოსახლეობის დასაქმების ძირითადი სფეროც იყო. ბოლო პერიოდში მისი წილი მთლიან შიგა პროდუქტში შემცირების ტენდენციით ხასიათდება, 2017 წლის მონაცემებით ეს მაჩვენებელი 9,3%-ია,¹ ამ სფეროში დასაქმებულთა რაოდენობა კი 42,8%-ს შეადგენს.² მაშასადამე, მოსახლეობის თითქმის ნახევარი მთლიანი შიგა პროდუქტის ძალიან მცირე რაოდენობას აწარმოებს. საქართველოში მოსახლეობის უმეტესობა სოფლად ცხოვრობს, თუმცა, ამ რაოდენობის პროპორციული არ არის სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში. დარგში დაბალია მწარმოებლურობა, ფერმების უმეტესობა წვრილმასშტაბურია (75-80%), მცირეა შემოსავლები. წარმოებული პროდუქციის 70% პირადი მოხმარებისთვის გამოიყენება.³

At the core of Israeli innovation policy is the chief scientist's matching grants program. Through this initiative, firms submit R&D proposals to the chief scientist, and grants are awarded on a competitive basis, with between 66 and 90% of the research costs covered. "We reviewed proposals according to their technical and commercial feasibility, risks and the potential for projects to generate expertise," says Ms Berry. These grants are actually high-risk loans—successful projects must pay back the Office of the Chief Scientist the funding received via a deduction of a small percentage of annual sales.

Another government program set up in the early 1990s, Yozma, has been credited with creating Israel's vibrant venture capital industry. Founded with a

budget of \$100 million in 1993, Yozma established 10 venture capital funds, contributing up to 40% towards the total capital investment. The rest was provided by foreign investors, who were attracted by risk guarantees. Nine of the 15 companies that received Yozma investment went public or were acquired. "In 1997 the government received its original investment with 50% interest and the funds were privatized," recalls Ms Berry. A recent OECD report on innovation calls Yozma "the most successful and original program in Israel's relatively long history of innovation policy."

Although these programs have benefited Israel's export-led growth and offered a model for other OECD countries, their legacy is mixed today, says Mario Cervantes, OECD senior economist. "The returns in terms of longer-term job creation and income growth have not kept up, despite continued investment in high-tech," he says. "Many Israeli start-ups are sold to the US market and get absorbed into global firms, never really expanding in Israel. This is expected given the small size of the internal market, but it does raise questions about how much of the returns from innovation end up back in the economy in terms of jobs created." According to OECD data, Israel's information and communication technology sector accounts for about 20% of total industrial output and 9% of business sector employment.

Moreover, Israeli businesses can be just as held back by excessive red tape as they are encouraged by government innovation policy. The OECD's Product Market Regulation Database, a set of indicators to measure how policy promotes or inhibits competition, gives Israel a worse score than any other OECD country. The OECD's 2009 Economic Survey of Israel called for more work to be done in reducing regulatory barriers and other channels of state influence on business.

While government policy has actively promoted high-tech industries, other sectors seem to have been left out. "With the exception of the information and communications technology services sector—which is very R&D intensive—innovation in other service sectors has received less attention, as illustrated by the weaker labour productivity performance of the business service sector compared to the US, Korea or the UK," says Mr Cervantes. "Perhaps this is because of—or despite—the competition as well as regulatory barriers that limit incentives for innovation." Israel's economy remains heavily reliant on its high-tech sector, which provides a narrow base for growth, the OECD argues. Innovation policy will have to reach out to Israel's traditional industrial and service sectors as well. Indeed, the OECD's landmark Innovation Strategy stresses a broader view of innovation, beyond R&D, that encompasses both technological and non-technological forms of innovation such as design, organizational change and marketing.

Authors Senor and Singer found another trait in Israeli culture behind the "start-up nation" worth mentioning. They credit Israeli chutzpah, an almost

untranslatable word meaning gall, audacity and guts (or bold arrogance, depending on the context). In Israel, chutzpah in business is most often seen in the country's risk-taking culture and is something other OECD countries might do well to adapt to their innova-

The history of an economic miracle

Israel, like the rest of the world, faces serious economic challenges in the years ahead, but it does so from a position of strength. In Israel at 60, we are witness to an economy which has proven its prowess and competitiveness on the global scale, as evidenced by a shekel which is one of the world's strongest currencies, backed by a surplus in the balance of payments.

A closer look at many of Israel's companies shows numerous examples of the successful transformation from local enterprise to multinational firm. While one used to speak exclusively about high-tech and start-ups, today one sees Israelis involved in all sorts of ventures, displaying impressive managerial and entrepreneurial skill.

Aside from manufacturing and high-tech, Israelis are also active overseas in real estate, with Israeli magnates involved in projects in London, Toronto, Eastern Europe and the US. And bankers, lawyers and accountants are intimately involved in overseas dealings.

Israel underwent a wrenching economic crisis in the early 1980s whose roots were in the 1973 Yom Kippur War and the ensuing oil embargo but which

Stabilization program – 1985

The stabilization program passed by the government in 1985 managed to rein-in inflation from some 400% to a more manageable 20%, stabilized the balance of payments, but most importantly brought the deficit down from 15% of GDP to a surplus of 1%. By 1986, government expenditures had been cut back, and the government was legally prohibited from printing money to cover deficits, forcing it to rely on publicly traded bonds.

Market liberalization 1991-2004

In 1991, Israel made a major strategic decision to gradually open the sectors of consumer goods, currency and investment to international competition.

Customs were slowly decreased to the point that the effective tariff protection today is less than one percent. Meanwhile, currency markets and, later, investments were also liberalized, and in 2004

The effects of globalization

Over the past five years, the Israeli market has become totally globalized, and the success has been impressive. The Israeli entrepreneur and businessman have

tion policies. However, Israel should not sit on its laurels either, since innovation is an ongoing enterprise. "Maybe there is still scope for some more chutzpah in Israel's innovation policy as well," Mr Cervantes adds.

continued until 1985. This "lost decade" of the Israeli economy saw near-zero per capita growth, inflation at dozens or even hundreds of points a year, and terrifying deficit and national debt levels. During this time, both the business sector and the quasi-governmental sector (health insurance, pension plans, kibbutzim) became completely inefficient and almost entirely dependant on the government, which at the time accounted for 70 percent of GDP.

Israeli industry received generous credit subsidies and tariff protection, while the financial sector was largely nationalized (with "special [government] bonds" receiving large tax breaks) while the markets were all but closed. Israelis generally refrained from foreign commerce, while foreign investors shied from commitments in the politically and economically unstable atmosphere.

At that point, the popular joke had it that the only way to make a small fortune in Israel was to come here with a large one. By the height of the crisis, in 1984-5, Israel was a total economic failure, requiring two major reforms to get the country back on track.

The massive reduction in spending forced the private and quasi-public sectors to become more efficient, as the government could no longer be relied on to provide funding. The years 1985-90 saw the private sector make great strides in efficiency and worker productivity while the labor unions were weakened and management was given the capability to fire employees at its own discretion.

Israel equalized taxation on foreign and domestic investment.

The liberalization of financial markets was finalized with the advancement of the stock exchange, as all financial instruments, including retirement funds, were made completely market-dependent. Such areas as telecommunications, the port system and the banking system were privatized.

taken full advantage of the possibilities of global commerce. The government has kept to policies of a stable budget, debt reduction and low inflation, while

foreign investors have begun viewing Israel as a prime investment target.

The country’s success can also be seen in its performance in leading economic indicators: Number

Challenges ahead

Despite these impressive achievements, Israel faces serious economic challenges, primarily from the ongoing global financial crisis, which seriously affects globalized economies like Israel. Israel will face a test of fire for the entrepreneurial and commercial skills of its business leadership. Another challenge is the reform of the public sector, which, while financially stable, has shown poor results in such areas as educational achievement (40 in a ranking of 57 countries), infrastructure and environmental protection. The social inequality in Israel’s workforce is one of the worst


one in per capita R&D investment, and number one in startups, per capita. The business sector is also ranked very high (8th in the world) in measures of creativity and business savvy, as well as technological-readiness, widespread higher education and more.

in the world, and there is a low level of economic participation.

The revamping of the public sector is critical to the nation’s economic success – it is one of our key challenges in the coming years.

Israel is a tech titan. These charts explain its startup success R&D leader

According to OECD figures, Israel spends more money on research and development as a proportion of its economy than any other country -- 4.25% of GDP against second-placed Korea’s 4.23%.



VC leader

As this 2010 chart from The Economist shows, Israel has a strong track record of standing head and shoul-

ders above other nations in terms of venture capital raised per head of population.




This trend has continued in recent years, with Israel being among the top global performers for overall VC raising in both 2014 and 2015.

Billion-dollar startups

Between 1999 and 2014, Israelis started 10,185 companies, 2.6% with annual revenues of more than \$100 million. Several have become billion-dollar companies, such as traffic app Waze, which was acquired by Google.

This entrepreneurial spirit doesn’t end in Israel. As this chart shows, when Israelis head abroad – in this case the US – they are among the most likely immigrant founders of billion-dollar companies.



Conclusions:

In its first 25 years, the Israeli economy achieved a striking average GDP growth rate of close to about 10 percent annually, while at the same time absorbing waves of mass immigration, building a modern infrastructure and economy almost from scratch, fighting four wars, and maintaining security. This was considered to be economic miracle.

The economic growth rate in Israel in 2006 was relatively high compared with the growth rate in other developed countries. The average growth rate of the GDP in the 30 OECD countries totaled 3.2% in 2006 and was 1.9% lower than the growth rate in Israel.

Of course, such growth rates were impossible to achieve during the global recession, but Israel was one of the fewest developed countries to achieve positive growth (0.7%) in 2009.

Literature:

Senor D., Singer S. Start-up Nation. The Story of Israel's Economic Miracle. Twelve Hachlette Book Group. New York. 2011.

თეიმურაზ ჩუბინიძე
თსუ სტუდენტური ცენტრი “იდეა”
მათე შვანბირაძე
ალექსანდრე ყუბანაიშვილი
თსუ სტუდენტები

მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოში – წარსული, აწმყო, მომავალი

ანოტაცია: ქართული ღვინო ისტორიით ერთ-ერთი უძველესია ევროპაში. დღეისათვის ნაპოვნი მევენახეობა-მეღვინეობის ყველაზე ადრეული ნიშნები მიუთითებს საქართველოში ღვინის კულტურის არსებობაზე დაახლოებით 8000 წლის წინ, რაც საქართველოს ღვინის სამშობლოს სტატუსს ანიჭებს.

ყველაზე განთქმული მევენახეობით საქართველოს რეგიონებს შორის არის კახეთი (რომელიც იყოფა თელავისა და ყვარლის მიკრორეგიონებად), მას მოჰყვება ქართლი, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, ასევე აფხაზეთი. იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მთავრობათაშორისი კომიტეტის მე-8 სესიაზე, 2013 წელს, ქვევრის ღვინის დაყენების უძველეს ქართულ ტრადიციულ მეთოდს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

საკვანძო სიტყვები: ღვინო, ქვევრი, მარანი, ყურძნის ჯიშები, იუნესკო, უძველესი ღვინო, ლეგენდა ღვინის შესახებ, ეკონომიკური მონაცემები, წარსული გამოცდილება, ექსპორტი, იმპორტი, ღვინის წარმოება.

მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოში – წარსული

მას შემდეგ რაც კი მზე და მთვარე ცაზე ჰკიდია
მაღლი ღვინისა ამა ქვეყნად დიდზე დიდია,
ისინი ღვინოს გასაყიდად რომ იმეტებენ
ვერ გამიგია, ღვინოზე კარგს რას იყიდიან.

ომარ ხაიამი

PNAS-ში, აშშ-ის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო ჟურნალმა, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთი ავტორიტეტული სამეცნიერო გამოცემაა, 2017 წლის 13 ნოემბერს გამოაქვეყნა სტატია სახელწოდებით “Early Neolithic Wine of Georgia in the South Caucasus” („საქართველოს ადრეული ნეოლითური ღვინო სამხრეთ კავკასიიდან“). კვლევის ავტორები ქართველებთან ერთად აშშ-ის, საფრანგეთის, იტალიის, კანადის, დანიისა და ისრაელის მეცნიერები არიან. სტატია მოგვითხრობს საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის ახლადჩატარებული მულტიდისციპლინური კვლევის შესახებ, რომელიც ადასტურებს, რომ

აქ მოსახლე ტომები ღვინოს ჯერ კიდევ ძვ. წ. აღ. 6000-5800 წლებში, ე.ი. 8000 წლის წინ აყენებდნენ.

პროექტის ფარგლებში პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორის პატრიკ მაკგოვერნის ხელმძღვანელობით ჩატარებული ბიომოლეკულარული კვლევების შედეგად მარნეულის რაიონში მდებარე ნეოლითის პერიოდის „გადაჭრილი გორის“ და „შულავერის გორის“ არქეოლოგიურ ძეგლზე უკანასკნელი პერიოდის გათხრების დროს აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის კედლებზე ღვინისათვის დამახასიათებელი ორგანული მჟავების (ღვინის მჟავა, ვამლმჟავა, ქარვამჟავა და ლიმონმჟავა) არსებობა დადასტურდა, რაც *Vitis Vinifera*-ს ვაზის ჯიშისგან დამზადებული ღვინის მარკერია.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მეცნიერების, ელისო ყვავაძისა და ნანა რუსიშვილის მიერ მუზეუმში ჩატარებულმა პალეობოტანიკურმა კვლევებმა ცხადყო, რომ ადრეული ნეოლითის ხანაში ამ რეგიონში ვაზის კულტურა ფართოდ იყო გავრცელებული. მილანის უნივერსიტეტის მკვლევრებმა, ოსვალდო ფაილას ხელმძღვანელობით, აღადგინეს ძვ.წ. VI ათასწლეულის კლიმატი და დაადასტურეს, რომ ქვემო ქართლში 8000 წლის წინ ვაზის კულტივირებისთვის შესაბამისი პირობები იყო. ისრაელის ვაისმანის ინსტიტუტში, ელიზაბეტა ბოარეტოს ხელმძღვანელობით განხორციელებული ლაბორატორიული კვლევების შედეგად, C14-ის დათარიღების მეთოდით ნიმუშების ასაკი განისაზღვრა ძვ.წ. 6000-5800 წლებით, რაც 600 - 1000 წლით უფრო ძველია, ვიდრე აქამდე უძველესად მიჩნეული ღვინის კვალი ზაგროსის მთიანეთიდან (ირანი).

ლეგენდის მიხედვით, როდესაც განმანათლებელი წმინდა ნინო საქართველოში შემოვიდა, მას ხელში ეჭირა ვაზისგან დამზადებული, საკუთარი თმით შეკრული ჯვარი. მას შემდეგ ვაზი ახალი რელიგიის სიმბოლოა. ასევე, ქართული ეკლესიის კარები ხშირად ვაზის ფიცრებისაგან კეთდებოდა. გავრცელებული იყო ვაზის ჩუქურთმის გამოყენება ტაძარ-მონასტრების მშენებლობის დროს. ქართველი ხალხი შორეულ წარსულში ვაზს „წმინდა“ მცენარედ თვლიდა. ამიტომაც, ბუნებრივია ქართველი ადამიანის განსაკუთრებული ყურადღება ვაზის მოვლა-გაშენებისთვის. ძველ დროში, საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველი მევენახეობა იყო. საქართველოდან ღვინო შეჰქონდათ მეზობელ ქვეყნებს. უცხო დამპყრობლების მხრიდან (თემურ-ლენგი, შაჰ-აბასი), ვენახების გაჩეხვის მიზანს წარმოადგენდა ქვეყნის ეკონომიკურად დაქვეითება და ქართველთა შემოსავლების შემცირება.

ქართველი ერის ყოფაცხოვრებისა და ქონებრივი კეთილდღეობის არსი იმ საგულისხმო გარემოებიდანაც ჩანს, რომ მიწა-წყლის ორ მთავარ გეოგრაფიულ და ბოტანიკურ-აგრონომიულ

ნაწილად, მთად და ბარად გაყოფა, სწორედ მევენახეობის გავრცელების თვალსაზრისზე იყო დამყარებული. სადამდეც მევენახეობა შესაძლებელი იყო, იქამდე ქვეყნის ეს ნაწილი ბარად ითვლებოდა, საიდანაც ვაზის მოყვანა შეუძლებელი ხდებოდა, იქედან მოყოლებული უკვე მთად იყო მიჩნეული.

ყურძნის მომსხმელ ხეს თანამედროვე ქართულშიც და ძველაც ვაზი ეწოდებოდა. თუმცა მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებში უკვე ამ სიტყვას მნიშვნელობა შეცვლილი აქვს და ვაზებით დარგული ბაღის აღმნიშვნელი გამხდარა.

სასოფლო მეურნეობის ყველა სხვა დარგისგან მევენახეობა იმით განსხვავდება, რომ მის საგანს და მთელ საზრუნავს ერთადერთი მცენარე, ვაზი შეადგენს. ეს გარემოება ვაზის კულტურის დიდი ეკონომიკური მნიშვნელობითა და მისი სირთულით აიხსნება.

რაც შეეხება თეორიას, რომ მსოფლიოში სიტყვა ღვინო გავრცელდა ქართული სიტყვისაგან, ამის დამდასტურებელი ფაქტებიც მრავლად მოიპოვება. ღვინის აღმნიშვნელ სიტყვებს თითქმის ყველა ენაში ერთი ძირი აქვს. სიტყვა „ღვინო“ (ღვნო) გვხვდება უძველეს ქართულ წერილობით ძეგლებში და დასტურდება ყველა ქართველურ ენაში, სადაც იგი გამოითქმის ასე: ღვინო (ქართ.), ღვინი (ზან.), ღვინ-ალ (სვან.). როგორც ენათმეცნიერთა დიდი ნაწილი აღნიშნავს, სიტყვა „ღვინის“ სემანტიკური მნიშვნელობა მხოლოდ ქართულ ენაში დასტურდება და იგი სავარაუდოდ ზმნა „ღვივილიდან“ არის მიღებული. ამ სიტყვის ფუძე ზ „ღვ“ ზ წმინდა ქართულია და მრავალ ქართულ სიტყვაში გვხვდება. ღვინოსთან დაკავშირებით, მისი საწყისი ფორმა უნდა იყოს „ღვივილი“, ანუ ის, რაც დულს, ამოდის, ღვივდება. შესაბამისად – დულილის, უფრო ღვივილის შედეგად მიიღება. გარდა ამისა, ერთი ენიდან მეორე ენაში გადასვლისას, ამა თუ იმ სიტყვას ბგერები, როგორც წესი, აკლდება. ამიტომაც „ვაინ“ და „ვინო“ შეუძლებელია, იქცეს „ღვინოდ“. პირიქით კი სავსებით შესაძლებელია.

უკვე XX საუკუნის დასასრულიდან მოყოლებული ქართული ღვინო გამუდმებით ვითარდება, ჩამოყალიბდა ასევე ბიო და ბიოდინამიკური მეურნეობაც. ქართველმა მეღვინეებმა საკმაოდ წარმატებულად შეაღწიეს შედარებით მკაცრ და რთულ ბაზრებზეც, როგორიც არის ევროპის, ამერიკისა და აზიის ბაზრები.

XVII საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში ჟან შარდენი იყო ჩამოსული. მან კარგად აღწერა საქართველო. მისი სტუმრობა ომების პერიოდს დაემთხვა.

აღმოსავლეთ საქართველო სპარსეთის შემადგენლობაში შედიოდა, დასავლეთ საქართველო „დამოუკიდებელი“ იყო. იმერეთში იმ დროისათვის ყველაზე ცუდი პერიოდი გახლდათ. დასავლეთ

თის ღვინის გასინჯვისას ჟან შარდენმა აღნიშნა: დაყენება რომ იცოდნენ, კარგი ღვინო ექნებოდათო. აქ ჩანს, რომ მოუფლელი ღვინო დააღვინეს. მაგრამ იმ დღეს, როდესაც ის სამეგრელოში ჩავიდა, ომი იყო გურიასა და სამეგრელოს შორის. აღმოსავლეთ საქართველოში, ქართლ-კახეთში რომ გადმოვიდა, მაშინ კი ცნობილი ფრაზა წარმოთქვა: „დარწმუნებით შეიძლება ითქვას: მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში, წლის არცერთ დროს არ შეიძლება ამაზე უკეთესად ჭამოს და სვას ადამიანმა. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას ისიც, რომ არ არსებობს ქვეყანა, სადაც იმდენს და ისეთ კარგ ღვინოს სვამდნენ, როგორც აქ (საქართველოში). ისევე, როგორც კოლხეთში, აქაც ვაზები ხეებზეა გაშენებული. მეფეთა სასამელად თბილისიდან ღვინო დიდი რაოდენობით გააქვთ სომხეთში, მიდიასა და ისფაჰანში“.

მესამე ათასწლეულის დასაწყისში რუსეთის ორასწლოვანმა აგრესიამ მკვეთრად იცვალა სახე და მან საქართველოს წინააღმდეგ ეკონომიკური ომი წამოიწყო. ე.წ. „ღვინის ომი“, რომელიც 2006 წელს რუსეთ-საქართველოს შორის გაჩაღდა და დროული აღკვეთის ნაცვლად კიდევ უფრო ფართოვდებოდა. რუსეთის მხარე ემბარგოს მიზეზად ფაქტობრივად ასახელებდა და აცხადებდა, რომ „საქართველოში ყოველწლიურად 600,000 ლიტრი ღვინის დასაყენებელი ყურძენი იკრიფება, საექსპორტოდ კი 2 მილიონი ლიტრი გააქვთ“.

ღვინის ემბარგოს დროს, არაერთი ღვინის მწარმოებელი ქარხანა დაიხურა, ქართველ მევენახეებს მხოლოდ ქონებრივი ზარალი კი არ მიადგათ, არამედ თითოეულმა მათგანმა სასტიკი მორალურ-ზნეობრივი ზეგავლენა განიცადა. რუსი და ნებისმიერი უცხოელი, ქართველი გლეხის იმ ტკივილს ვერასდროს ჩანვდება, რაც

მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოში - ანმყო

საქართველო ღვინის აკვანი

ბორდომ, საფრანგეთი ღვინის ქალაქმა, სადაც ყოველწლიურად მილიონობით ტურისტი ჩადის ქართული ღვინის გამოფენას უმასპინძლა. „საქართველო - მეღვინეობის აკვანი“ ბორდოს გამოფენათა ციკლის - „მონვეული ვენახის“ პირველი ექსპოზიცია გახლდათ. ქართული ღვინის 8,000 წლიანი უწყვეტი ისტორია მნახველების წინაშე საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციებში დაცული არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ექსპონატებით, უნიკალური ფოტოებით და თანამედროვე ინსტალაციებით გაცოცხლდა. სპეციალურად ამ გამოფენისათვის დამზადდა ქვევრი, რომელიც მუზეუმის შესასვლელთან დაიდგა და მუდმივად იქ დარჩება, როგორც იუნესკოს მიერ აღიარებული მსოფლიოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი.

ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი „ღვინის ქალაქი“ 2016 წელს გაიხსნა და ღვინის კულტურის კვლევის, გამოფენების თუ

მათ 2006 წელს რუსეთის ემბარგომ მიაყენა. ყველა ქართველმა იცის - ვაზისა და ღვინის ღალატი სამშობლოს ღალატი.

2006 წელს საქართველოს პრეზიდენტის დავალებით ევროპასა და დასავლეთ ქვეყნებში ქართული ღვინის პოპულარიზაციას ცდილობდა თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი. მთავრობამ რუსეთის ემბარგოს დაწესების შემდეგ ახალი ბაზრების ძიება დაიწყო. ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და რუსეთის ბაზარზე შექმნილი მდგომარეობის გამო 2006 წელს საგარეო საქმეთა მინისტრის ორგანიზებით საქართველოს უცხოეთიდან ინვესტორები და ჟურნალისტები ეწვივნენ, რომლებიც გაეცნენ ქართული ღვინის ისტორიას და შეისწავლეს ქართული ღვინის ბაზარზე არსებული პრობლემები.

გაზეთ 24 საათის 2006 წლის 2 მაისის გამოცემის ერთ-ერთ ინტერვიუში თავდაცვის მინისტრი მეღვინეებს რუსეთის ბაზრის დაბრუნებაზე ოცნების შეწყვეტას ურჩევს. „არ მესმის, რას ელიან ისინი რუსეთისგან, ყოველდღიური შეურაცხყოფის გარდა?“ - აღნიშნა თავდაცვის მინისტრმა.

თავდაცვის მინისტრისგან განსხვავებით ქართველი მეღვინეები მიიჩნევდნენ, რომ ევროპის ბაზარზე ფეხის მოკიდება მომავლის საკითხია, რაც გეგმაზომიერად მუშაობას მოითხოვს, „მეღვინეობის დარგს კი მხოლოდ რუსეთის ბაზრის დაბრუნება გადაარჩენს“.

შეიძლება ითქვას, რომ სხვა ბაზრების ძიების სტრატეგიამ გაამართლა კიდევ. რისი ნათელი მაგალითიც არის ის, რომ დღესდღეობით წინა წლებთან შედარებით საგრძობლად იმატა ღვინის ექსპორტმა და ქართულმა ღვინომ პოპულარობა მოიპოვა მსოფლიო ბაზარზე.

კოფერენციების ერთ-ერთ მთავარ ცენტრად მალევე იქცა მსოფლიოში. ქალაქ-მუზეუმი 14,000 კვადრატულ მეტრზეა განთავსებული და დამთავალიერებლებს ღვინის ცივილიზაციის ისტორიასა და თანამედროვეობას აცნობს. საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორის, დავით ლორთქიფანიძის თქმით, გამოფენა ჯერ კიდევ „ღვინის ქალაქის“ მშენებლობის დროს დაიგეგმა და ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ერთმა ქვეყანამ სამეცნიერო კვლევებითა და ექსპონატებით მეღვინეობის 8,000 წლიანი უწყვეტი ისტორია წარადგინა.

ბორდოს გამოფენის მთავარი ამოსავალი პუნქტი მეღვინეობის საწყისი ეტაპის - ნეოლითის ეპოქის არქეოლოგიური აღმოჩენებია. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტზე დალექილი ღვინის მუავა ცხადყოფს, რომ მეღვინეობა სათავეს საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ ქვემო ქართლში იღებს - სწორედ იქ, სადაც პირველი ევროპელების ნაშთები აღმოჩნდა. დასტურება, რომ ძვ. წ. VI-V ათასწლეულში აქ დასახლებული ადამიანი

უკვე განვითარებულ სამეურნეო საქმიანობას, მათ შორის, მევენახეობას ეწოდება.

„ღვინის ქალაქში“ გამართულ გამოფენას რამდენიმე მთავარი თემა ჰქონდა: „მეღვინეობის ფესვები - ნეოლითური ღვინო, ძვ. წ. VI-V ათასწლეული“; „საქართველო მეღვინეობის და მეტალურგიის უძველესი კერა, ძვ. წ. IV-III ათასწლეულები“; „ღვინო და სამეფო“; „ღვინო და რელიგიური რწმენა-წარმოდგენები“; „ქვევრი - მინაში დამარხული ღვინის დაყენების და შენახვის ქართული საიდუმლო“; „მარანი - ღვინის წმინდა სახელი“ და „ქართული ღვინის 8,000 წლიანი უწყვეტი ისტორიის გზა“.

გამოფენის ლოგო 2700 წლის „თამაღის“ ბრინჯაოს ქანდაკება იყო, რომელიც სიმბოლოურად ინახავს უძველეს ამბებს იმის შესახებ, რომ საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის მფარველი ღვთაება აგუნა/ანგურა ჰყოლიათ, რომლის სახელზეც ყურძნის მტევნის ფორმის პურს აცხოვდნენ და თეატრალიზებულ სანახაობას მართავდნენ, რომ საქართველოში ყურძნის 500-მდე ადგილობრივი ჯიში არსებობს და მათი სახელები - საფერავი, ქისი, რქანიტელი, ალექსანდროული, ციცქა, ცოლიკოური და სხვები - განსაკუთრებული ტკბილხმოვნებით გამოირჩევა; რომ სიტყვა „ღვინო“ შესაძლოა, უფრო ძველია, ვიდრე მსგავსი ჟღერადობის Wine (ინგლისური), Vin (ფრანგული), Wein (გერმანული), Vinum (ლათინური), Vayin (ებრაული), Inu (ასურული); რომ საქართველოში ღვინოს ჭირშიც სვამდნენ და ლხინშიც, ყოველდღიურ სადილზეც და რელიგიური რიტუალების დროსაც. მოგვიანებით კი, XVII საუკუნის ცნობილი ფრანგი მოგზაული ჟან შარდენი იმასაც იტყვის, რომ „არსად ისე ბლომად და ისეთ სურნელოვან ღვინოს არ სვამენ, როგორც საქართველოში.“

ბორდოში ქართული ღვინის გამოფენაზე მიწვეულნი იყვნენ მსოფლიოს ყველაზე ავტორიტეტული ღვინის მაგისტრები, რომლებიც ღვინის დეგუსტაციებს და სემინარებს უძღვებოდნენ. ექსპოზიციის ფარგლებში გაიმართა ღვინის თემაზე გადაღებული ქართული ფილმების - „ქვევრი“ (რეჟისორი ირაკლი კვირიკაძე), „ღვინის ქურდები“ (რეჟისორი ვალერიან კვაჭაძე), „საქართველო

ქვევრი

ქვევრი - ღვინის დასაყენებელ-შესანახი ჭურჭელი, მთლიანად მეღვინეობის საქმეს ემსახურება. კახეთი და იმერეთი ძველთაგანვე საქართველოს მევენახეობის უმნიშვნელოვანესი ცენტრები იყო, ამიტომ მექვევრეობაც ყველაზე მეტად ამ მხარეებში გავრცელდა. კახეთში მექვევრეობის ცენტრებია - ვარდისუბანი, ახალსოფელი, ყარსუბანი. ზემო იმერეთში კი ტყემლოვანი, ბოსლევნი და დიდნიფელა. პატარა და საშუალო ზომის ქვევრებს ამზადებდნენ ქსნის ხეობაში, ლეჩხუმში.

ქვევრი ისე, როგორც სხვა ჭურჭელი, მზისა და ქარისაგან დაცულ ქარხანაში მზადდება,

ღვინის სამშობლო (რეჟისორი მერაბ კოკოჩაშვილი) - ჩვენება; „ღვინის ქალაქში“ წარმოდგენილი იყო მარანი, როგორც ქართველთა საკრალური სივრცე; ასევე, ქვევრი და მასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებების ფოტო ინსტალაცია დიმიტრი ერმაკოვის ფოტო-კოლექციიდან.

სექტემბრის ბოლოს „ღვინის ქალაქში“ ქართული სუფრის პრეზენტაციაც გაიმართა. საღამოზე დასწრება ნებისმიერ 100 მსურველს შეეძლო, ვინც ბილეთს დროულად შეიძენდა. სტუმრები ქართული სუფრის თავისებურებებს, ესთეტიკასა და მნიშვნელობას გაეცნენ, დააგემოვნეს ქართული კერძები, რომლებიც ქართველმა პროფესიონალმა შეფ-მზარეულმა მოამზადა. ქართულ სუფრას მწერალი ზურაბ ქარუმიძე უძღვებოდა.

გამოფენის ფარგლებში მუზეუმში სამეცნიერო სემინარი გაიმართა, სადაც ცნობილმა მკვლევარმა, პატრიკ მაკგოვერნმა მეცნიერთა ჯგუფთან ერთად 4 წლიანი კვლევის შედეგები წარადგინა. კვლევა ქართული ვაზისა და ღვინის კულტურას ეხება და ის კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ საქართველო ღვინის კულტურის უძველესი ქვეყანაა. მაკგოვერნი ბიომოლეკულური არქეოლოგიის ყველაზე აღიარებული სპეციალისტია, რომელიც ამჟამად პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორია და ერთ-ერთ ლაბორატორიას ხელმძღვანელობს. ქართული ღვინის ისტორიით ის ჯერ კიდევ 2000-იანი წლების დასაწყისში დაინტერესდა. 2004 წელს კი მან ცნობილი ნიგნი „Ancient Wine“ The Search For The Origins of Viniculture“ გამოაქვეყნა, სადაც საქართველოში მოგზაურობას და ღვინის წარმომავლობის კვლევას მთელი თავი მიუძღვნა.

დღეისდღეობით, მსოფლიოს მასშტაბით თუკი რამე მნიშვნელოვანი იმართება ღვინის თემაზე, გარკვეულწილად ყველაფერი ბორდოს უკავშირდება, ამიტომაც ის ფაქტი, რომ ბორდოს „ღვინის ქალაქში“ პირველ საპატიო სტუმრად საქართველო წარმოდგენილი იყო როგორც ღვინის სამშობლო, მსოფლიო აღიარების ტოლფასია. ბორდოში „საქართველო - მეღვინეობის აკვანი“ ოთხი თვის განმავლობაში 80,000-მდე დამთვალიერებელმა მოინახულა.

მისი გამოძენვა ყველგან ხელით სატრიალებელ მორგვზე იწყება. მექვევრე ოსტატი ერთდროულად 10-დან 20-მდე ქვევრის კეთებას შეუდგება და რიგრიგობით ერთი ქვევრიდან მეორეზე გადადის. ქვევრი ერთჯერად არ შენდება, მორგვზე მხოლოდ ქვევრის ძირი შენდება, ძირის შემორობის შემდეგ მისი შენება „სკამზე“, ქვევრის ძირის დასადგამზე გრძელდება. თანდათანობით განსაზღვრულ სიმაღლეზე ამოყვანილი ქვევრი უკვე მინაზე იდგმება, სადაც მისი შენება მთავრდება.

გამომშრალი ქვევრის გამოსაწვავად საქართველოს ყველა მხარეში ოთხკუთხიან და ერ-

თსართულიან ქურას ხმარობენ. ქურაში გამოსაწვავად ქვევრის ჩადგმას სპეციალური ღვედებით შეიარაღებული კაცები ასრულებენ. საშუალო ქურაში გამოსაწვავად დაახლოებით 6 ქვევრი და 20-მდე ქოცო ეტევა. სითხეჟონვადობის თავიდან ასაცილებლად გაცხელებულ ქვევრს შიგნიდან სანთელს ან ცხიმს უსვამდნენ, ხოლო ქვევრის მეტი გამძლეობის მიზნით გარედან ქვიშისა და კირის ხსნარის სქელი ფენით ფარავდნენ. საქართველოში დამზადებულ ქვევრთა მოცულობა სხვადასხვაა. მცირე მოცულობის - 10-12 ლიტრიან ქვევრს „ქოცოს“ უწოდებენ, ხოლო დიდი მოცულობისას (1000-5000 ლიტრის ტევადობის) – ჭურს.

საქართველოში ქვევრში ღვინის დაყენება 8 ათასი წლის წინ დაიწყო და ამ ტრადიციას დღემდე ინარჩუნებენ. ქვევრის ღვინის დაყენების ქართულ ტრადიციულ მეთოდს 2013 წელს იუნესკოს (UNESCO) არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა, რაც ამ მეთოდის უნიკალურობაზე მიუთითებს და გზავნილია მთელი მსოფლიოსთვის, რომ ღვინო უძველესი ქართული კულტურის შემადგენელი ნაწილია. ეს აღიარება მნიშვნელოვანია ქვევრის ღვინის ცნობადობის ამაღლებისთვის და ხელს შეუწყობს ქართული ღვინის მსოფლიო პოპულარიზაციას.

ქვევრი ღვინის დასაყენებელი და შესანახი უნიკალური თიხის ჭურჭელია. საქართველოში აღმოჩენილი ქვევრის ტიპის უძველესი ჭურჭელი განეკუთვნება ძვ. წ. VI-V ათასწლეულებს. დღეს არსებული ქართული ქვევრის ფორმა ძვ. წ. III-II ათასწლეულში ჩამოყალიბდა. ამ პერიოდამდე, ძირითადად, პატარა ქვევრები იყო გავრცელებული, რომლებიც სიმაღლეში 1-1,5 მეტრს არ აღემატებოდა და ჰქონდათ ბრტყელი ძირი და განიერი მუცელი. ამჟამად ყველაზე ფართოდ გავრცელებულია კვერცხისებური ფორმის ქვევრები.

ქვევრის ტევადობა რამდენიმე ასეული ლიტრიდან იწყება და რამდენიმე ტონას აღწევს. განსაკუთრებით დიდი ზომის ქვევრებით კახეთი გამოირჩევა, სადაც შესაძლოა 6-8 ათასი ლიტრის ტევადობის ქვევრების ნახვაც. ყველაზე გავრცელებულია 1-2-ტონიანი ქვევრები.

ქვევრის ღვინო ზოგადად გულისხმობს ყურძნის ტკბილის გარკვეული რაოდენობის ჭაჭასთან დადუღებას, დაღვინებასა და შემდგომ დავარგებას. პირველი და მნიშვნელოვანი წესი ქვევრში ღვინის დაყენებისას არის ქვევრში ღვინის დაყოვნება თავისივე ჭაჭაზე როგორც ალკოჰოლური დუღილის, ისე მის შემდგომ პერიოდშიც.

ღვინის დაყენების ტექნოლოგია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში განსხვავებულია. მაგალითად, კახეთში ალკოჰოლურ დუღილში მონაწილეობს ჭაჭის მთლიანი რაოდენობა, ღვინის დაყენების იმერული წესი კი გულისხმობს საწინააღმდეგო ქვევრებში ჩასხმულ ტკბილზე არა ჭაჭის

მთლიანი რაოდენობის, არამედ მაქსიმუმ ერთი მესამედის დამატებას.

თავისივე ჭაჭაზე ღვინის დასაყოვნებელი პერიოდის განსასაზღვრად დიდი მნიშვნელობა აქვს ყურძნის ჯიშს, ალკოჰოლური დუღილის ხანგრძლივობას, გარემო პირობებს და სხვ. საშუალოდ წითელი ღვინო ქვევრებში მხოლოდ ალკოჰოლური დუღილის პერიოდში ჩერდება, ეს შეიძლება იყოს 7-10 დღე, მაქსიმუმ 2 კვირა. თეთრი ყურძნის შემთხვევაში ღვინოს ჭაჭაზე გაზაფხულამდე ტოვებენ. ჭაჭაზე დიდი ხნით დაყოვნებული ღვინო იქნეს მუქ ჩალისფერ, ოქროსფერ ან ჩაისფერ შეფერილობას, გამჭვირვალეა და კრიალა, ხასიათდება ხილის ტონებით და ტანინების ზომიერი შემცველობით, არის ბუნებრივად სტაბილური.

ქვევრისთვის საჭირო თიხა-კირქვას და მცირე რაოდენობით ძვირფას ლითონებს – ოქროს, ვერცხლსა და სპილენძს შეიცავს. კირი, რომელიც ღვინის მჟავასთან რეაქციაში შედის, ერთი მხრივ, ამაგრებს ქვევრის კედლებს, მეორე მხრივ, ბუნებრივი ანტისეპტიკის როლს ასრულებს, რაც მეღვინეობაში, სადაც 400-მდე სახის ბაქტერიაა ცნობილი, მეტად მნიშვნელოვანია. ქვევრის დამზადებას საშუალოდ 3 თვე სჭირდება. ძირითადი დრო მის ამოშენებასა და გაშრობაზე მიდის. ქვევრების ამოშენების შემდეგ მათ საგანგებო დუღილში ათავსებენ, სადაც გამოწვის ურთულესი ეტაპი იწყება.

მინაში ჩაფლულ ქვევრში ტემპერატურა არ იცვლება და ის მუდმივად ღვინის დუღილისათვის საჭირო 13°-15° გრადუსს ინარჩუნებს. მასში ბუნებრივად და ქრონოლოგიურად მიმდინარეობს ის ქიმიური პროცესები, რომლებსაც ქარხნულ წარმოებაში სპეციალური დანადგარები და დანამატები სჭირდება. სანამ ღვინო დადუღდება, მას ხშირი დარევა სჭირდება, დღეში 4-5-ჯერ. დუღილის დასასრულს ყურძნის ნიჰნები, ჭაჭა და კლერტი დაძირვას იწყებს და ქვევრის ფსკერზე გროვდება. წნევის ზემოქმედებით ნიჰნას ლეკი გადაეფარება, რის შედეგადაც ნიჰნა და ღვინო ერთმანეთისგან განცალკევდება.

საქართველოს მეღვინეობის ერთ-ერთ უმთავრეს რეგიონში – კახეთში ქვევრები მარანშია ჩაფლული, დასავლეთ საქართველოში კი ღვინოს ჰერმეტიკულად დახურულ ჭურებში (ქვევრი) ღია ცის ქვეშ ინახავენ.

საქართველოში აგრეთვე არსებობს ქვევრის ღვინის გამორჩეული სახეობა – მონასტრის, ე. წ. „ზედაშის“ ღვინო. ესაა წითელი ღვინო და გამოიყენებენ საეკლესიო რიტუალების დროს. ზედაშის ღვინის დაყენება არ განსხვავდება ჩვეულებრივი ქვევრის ღვინის დაყენებისგან. ძირითადი განსხვავება არის არა ღვინის ტექნოლოგია, არამედ შინაარსობრივი და დანიშნულებითი მხარე. საზედაშე ღვინოს სჭირდება არა ფილტრაცია ან სხვა პრეპარატებით გაჯერება, არამედ ჭაჭიდან

დროული მოხსნა და გადაღების სწორი დროის შერჩევა.

საქართველოში ქვევრის ღვინოს ბევრი ღვინის კომპანია აწარმოებს. ქვევრის ღვინის წარმოებით, საქართველოს გარდა, ბოლო დროს სხვა ქვეყნებშიც დაინტერესდნენ. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში ექსპორტზე სულ უფრო მეტი ქართული ქვევრის ღვინო გადის, და მათ

შორის ისეთ ტრადიციულ ღვინის ქვეყნებში, როგორცაა იტალია და საფრანგეთი.

საქართველოში განსაკუთრებით ცნობილია შემდეგი ყურძნის ჯიშები რქანითელი; მწვანე კახური; ხიხვი; ქისი; ჩინური; გორული მწვანე; ცოლიკოური; ციცქა; საკმიელა; საფერავი; თავკვერი; ოცხანური საფერი; ალექსანდროული; მუჯურეთული; უსახელაური; ოჯალეში; ჩხავერი.

ზოგიერთი მნიშვნელოვანი სიახლე ქართული ღვინის შესახებ

ქართული ღვინის ცნობადობის ამაღლებისა და ექსპორტის გაზრდის მიზნით, კატალოგი ასოციაცია "ქართული ღვინო"-მ შექმნა. როგორც ასოციაციაში განმარტავენ ონლაინ კატალოგი www.geowinery.com არის ასოციაცია „ქართული ღვინო“-ს მორიგი ინიციატიური პროდუქტი, რომელიც 2017 წლის ივნისიდან ამუშავდება.

კატალოგის პირველადი დანიშნულებაა, მომხმარებლებს მიაწოდოს დეტალური ინფორმაცია ღვინის დახასიათებაზე, ყურძნის ჯიშებზე, მწარმოებელ კომპანიაზე და იმ სიახლეებზე, რომელიც მეღვინეობა-მევენახეობის დარგის წარმომადგენლებისთვის არის საინტერესო. ასოციაციის ცნობით ამჟამად კატალოგში 200-მდე ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების პროდუქციაა თავმოყრილი. სამომავლოდ კი ჩამონათვალი გაიზრდება. ონლაინ კატალოგის გვერდიდან მომხმარებელი ღვინის ტურიზმის ონლაინ პლატფორმაზე georgianwine.travel შეძლებს გადასვლას.

ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების საერთაშორისო გამოფენის WinExpoGeorgia 2017-ის ფარგლებში, 9-10 ივნისს ღვინის მე-9 საერთაშორისო კონკურსი - 9th International Wine Award 2017- გაიმართა. კონკურსზე როგორც მსხვილი კომპანიების, ისე მცირე და საოჯახო მარნების, ჯამში 43 კომპანიის, 164 სხვადასხვა სახის ღვინო იყო წარდგენილი.

10 ივნისს, საზეიმო ცერემონიაზე 6 კატეგორიაში გამარჯვებული ღვინოები გამოავლინეს და ოქროს (26 მედალი), ვერცხლის (36), ბრინჯაოს (84) მედლები და საერთაშორისო დიპლომები გადასცეს. წლის საუკეთესო ღვინოებად ღვინის კომპანია შუმის „საფერავი გეორგიკა 2013“ (წითელი მშრალი) და კომპანია ქვევრის ღვინის მარანის „ქვევრის მწვანე 2016“ (ქვევრის თეთრი მშრალი) აღიარეს.

წელს პირველად, საუკეთესო ღვინოებს სპეციალური პრიზი ე.წ „ტროფი“ (TROPHY) და ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ დაწესებული სახელობითი მედლები გადაეცათ:

საუკეთესო თეთრი მშრალი ღვინო - ივანე მუხრან-ბატონის სახელობის ოქროს მედალი – მწვანე (2015) - კომპანია “ბატონო”;

საუკეთესო წითელი მშრალი ღვინო - ალექსანდრე ჭავჭავაძის სახელობის ოქროს მედალი;

საფერავი გეორგიკა (2013) - ღვინის კომპანია „შუმი“;

საუკეთესო თეთრი ნახევრად ტკბილი ღვინო - დიმიტრი ყიფიანის სახელობის ოქროს მედალი – ტოლიბაში (2016) - კომპანია Wine Products of Spirits;

საუკეთესო თეთრი ქვევრის ღვინო - ზაქარია ჯორჯაძის სახელობის ოქროს მედალი – ქვევრის მწვანე (2016) - კომპანია ქვევრის ღვინის მარანი;

საუკეთესო წითელი ქვევრის ღვინო - ზაქარია ჯორჯაძის სახელობის ოქროს მედალი, საფერავი (2015) - კომპანია “ბატონო”;

კონკურსის ჟიურის წევრები იყვნენ: ჟიურის თავმჯდომარე, ღვინის მაგისტრი - ტიმ ატკინი (Mr. Tim Atkin MW - ბრიტანეთი), ღვინის მაგისტრი - კენიჩი ოჰაში (Kenichi Ohashi MW - იაპონია), ოსტატი სომელიე - ისა ბალი (Isa Bal MS – თურქეთი), ღვინის ექსპერტი - სარა ებოტი (Sarah Ebot - დიდი ბრიტანეთი), ენოლოგი - მიხეილ მესხი (საქართველო) და ენოლოგი - გოგი დალაქიშვილი (საქართველო).

როგორც ჟიურის თავმჯდომარემ, ბრიტანელმა ღვინის მაგისტრმა ტიმ ატკინმა აღნიშნა, ქართული ღვინო, მისი შესაძლებლობა და პოტენციალი უსაზღვრო და ამოუწურავია. მისი თქმით, ყოველწლიურად იზრდება კონკურსში მონაწილე ახალი კომპანიების რიცხვი, რაც მისასაღმებელია და იმის დასტურია, რომ დარგი სწრაფად ვითარდება.

წელს გამოფენაში 11 ქვეყანა - საქართველო, სომხეთი, ავსტრია, ბელგია, კვიპროსი, გერმანია, უნგრეთი, იტალია, რუსეთი, თურქეთი და უკრაინა მონაწილეობდა.

ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების ექსპორტის 2017 წლის 9 თვის მონაცემებით, საქართველოდან უცხოეთში 52.7 მილიონი ბოთლი (0,75 ლ) ღვინო გავიდა. ღვინის ეროვნული სააგენტოს ცნობით, ღვინის ექსპორტი გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 63%-ით გაიზარდა.

იანვარ-სექტემბერში 45 ქვეყანაში ექსპორტირებული ღვინის ღირებულებამ 116 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც გასული წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს 55%-ით აღემატება.

როგორც სააგენტოში აცხადებენ, ჩვენგან ღვინის შემტანი ქვეყნების პირველ ხუთეულშია რუსეთი, ჩინეთი, უკრაინა, ყაზახეთი და პოლონეთი. ექსპორტის მატება აღსანიშნავია შემდეგ ქვეყნებში: ჩინეთი - 44%, რუსეთი - 95%, უკრაინა - 54%, პოლონეთი - 14%, ლატვია - 36%, ბელარუსი - 34%, აშშ - 81%, გერმანია - 28%, ისრაელი - 305%, მონღოლეთი - 182%, საფრანგეთი - 321%, აზერბაიჯანი 102%.

ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ამავე პერიოდში 22 ქვეყანაში ექსპორტზე 11 354 403 ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი გავიდა.

„სულ ექსპორტირებულია 25 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ბრენდი - მატება გასუ-

ვიზიტი კახეთში

ღვინო საქართველოსთვის ერთგვარი სავიზიტო ბარათია და გვინდა უცხოელ მეგობრებს ქართული კულტურა წარვუდგინოთ. ამ ტრადიციას ნამდვილად არ ვივინყებთ, ამიტომაც 4 თებერვალს სტუდენტური ცენტრი „იდეა“ კახეთში, კერძოდ კი კარდენახში კაკო ხარაშვილის მარანს ესტუმრა.

კაკო ხარაშვილმა საუკუნეების წინ დაარსებული მარანი აღადგინა, რომელიც კოლმეურნეობის შექმნის პერიოდში გაუქმნდა და ამ წყობის დაშლის შემდეგაც უფუნქციოდ იყო მიტოვებული და გაძარცვული. კაკო ხარაშვილმა და მისმა მეუღლემ მედეამ გადანყვიტეს აღედგინათ ეს მარანი თავდაპირველი სახით, შეენარჩუნებინათ მისი გარემო და ტრადიცია შემოენახათ მომავალი თაობებისთვის. ამ იდეის ხორცშესხმას ბევრი შრომა, წლები და ძალისხმევა დასჭირდა, მაგრამ დღეს საქართველოს ამ ულამაზეს მხარეში ხარაშვილებს საოჯახო ბიზნესი აქვთ - „ნაღდი მარანი“. კომპანიის დამფუძნებელი მედეა ხარაშვილი სიახარულით გვიყვება ისტორიას და გვაცნობს იქ არსებულ ღვინის შენახვის ტექნოლოგიებს. როგორც ადგილობრივები ყვებიან, ამ ადგილას მარანი დიდი ხნის წინ ერთმა შეძლებულმა გლეხმა დაარსა, რომელსაც არც ოჯახი ჰყავდა და არც შთამომავლები, ერთადერთი ადამიანი, ვისაც მან ყველაფერი დაუტოვა, იყო ობოლი, უსახლკარო, მათხოვარი, რომელსაც სოფლელები ბლანჯოს ეძახდნენ. დღესაც მარანი ინარჩუნებს საუკუნეების წინანდელ კულტურას, ღვინოს ინახვენ

მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოში - მომავალი

საქართველოს არსებობის სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა ნიადაგურ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით წლების მანძილზე დაიხვეწა ადგილობრივი ასორტიმენტი, რომელიც მდიდრდებოდა ახალი სელექციური უხვმოსავლიანი და მაღალი ხარისხის პროდუქციის მომცემი ჯიშებით. ამით საფუძველი ჩაეყარა მსოფლიო დონის არა მარტო მევენახეობის არამედ ქართული

ლი წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 84%-ს აღწევს. 18 ქვეყანაში ექსპორტირებულია 147 ათასი ბოთლი (0.5 ლ) ჭაჭა, ექსპორტის ზრდამ 131% შეადგინა. ჭაჭის ექსპორტით მიღებული შემოსავლები 439.3 ათას აშშ დოლარს შეადგენს. ზრდამ გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 83%-ს მიაღწია“, - აცხადებენ ღვინის ეროვნულ სააგენტოში.

მათივე ცნობით, ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ღვინომასალისა და საბრენდე სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებული შემოსავლები საანგარიშო პერიოდში 194 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. ზრდა 2016 წლის ამავე პერიოდთან შედარებით 54%-ია.

ქვეყნებში და მუხის კასრებში, რომლის ვარგისიანობაც 6 წელია.

კახეთის ღვინოებს შორის გამორჩეულია წარაფი, რომელიც მხოლოდ კარდენახში მოდის. ყურძნის ჯიშში ხიხვა 4-ჯერ იყო მსოფლიო გამოფენაზე და ოთხივეჯერ ოქრო აქვს მოგებული. რაც შეეხება ტექნოლოგიებს, კახური ღვინო უნდა იყოს 4-5 თვე ჭაჭაზე-კლერტოზე, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა 2 თვეც გააჩერონ ჭაჭაზე. ყველაზე ძველი ღვინო, რომელიც ამ მარანში ინახება 1994 წლის შემდეგ მეღვინეს ისევ ჭაჭაზე აქვს შენახული. ფენოლური ნაერთები ღვინოში დაშვებულია 300 მილიგრამამდე, დანმენდისთვის არ იყენებენ რაიმე განსაკუთრებულ ტექნოლოგიას, რაც ადგილობრივი ყურძნის განსაკუთრებულობით აიხსნება. სიცივისგან დამუშავებული ღვინო ყველაზე კარგია, როდესაც ღვინოს ქვევრიდან იღებენ, ფილტრაციას უკეთებენ და ისევ ქვევრში აბრუნებენ. შუშის ბოთლების გარდა იყენებენ ტრადიციულ თიხის ბოთლებს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ქარხანა ყურძენს არ იბარებს, საკუთარი ვენახის მოსავალი საკმარისია ღვინის სარეალიზაციოდ. ქარხანა წელიწადში 300 ტონამდე ღვინოს აწარმოებს და წარმოება ყოველწლიურად იზრდება. „ნაღდი მარანი“ ღვინო ქართული ბაზრის გარდა იყიდება ავსტრალიის, გერმანიის და პოლონეთის ბაზარზე. „ნაღდი მარანი“ 6 სრულ განაკვეთზე დასაქმებული თანამსრომელი ჰყავს. ვაზის გასხვლისა და კრეფის დროს კი ისინი დამხმარე მუშებს ქირაობენ.

ღვინის მრეწველობის განვითარებას. თუ 1990 წლამდე რქანითელის ჯიშის ვაზის უპირატესი განვითარება იყო განპირობებული ადრინდელი შრომის საკავშირო დანაწილებით, საბაზრო ეკონომიკის პირობებში რქანითელთან შედარებით ბევრად გაიზარდა ისეთი ჯიშები, რომლებიც იძლევიან ნითელ, ვარდისფერ და შამპანურის ღვინომასალებს. ეს გამოწვეულია იმით, რომ სა-

ქართველო ჩართულია შრომის საერთაშორისო დანაწილებაში და ამ ბაზარზე დასახლებული სახის პროდუქციაზე მოთხოვნა დიდია.

საქართველოს მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობები საუკეთესო გარემოს ქმნის მევენახეობის განვითარებისთვის, რომლის თავისებურებათა მიხედვით ქვეყნის ტერიტორია ორ მაკროზონად (18 მიკროზონა, 7500 ჰა. მუშაობა მთავრდება დამატებით ორ ობიექტზე კახეთში – ხაშში და ლეჩხუმში – უსახელოური. როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, პერსპექტივაში მიკროზონების რაოდენობა 30-ს გადააჭარბებს) იყოფა: აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოდ. მევენახეობის თითოეული რაიონი გამოირჩევა თავისი დამახასიათებელი ვაზის ჯიშებით, რომლებიც საუკეთესოდ არის შეგუებული ამ რაიონების მიკროკლიმატს და მევენახეობის ტრადიციებს. კლიმატური და სხვა მახასიათებლებით გამოყოფილი მევენახეობა-მეღვინეობის ზონები საშუალებას იძლევა წარმოებულ იქნეს მრავალი სახის, დანიშნულების და ხარისხის ღვინოები.

არსებობს ღვინის და ღვინომასალების საექსპორტოდ გატანის შესაძლებლობებიც. დიდი მოთხოვნილებაა ქართულ სამარკო შამპანურზეც და კონიაკზეც (ბრენდზე). მასასადამე, მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

მევენახეობა-მეღვინეობის სფეროს აღორძინება და მსოფლიო სტანდარტებით საუკეთესო ღვინოების წარმოება მხოლოდ სახელმწიფოსა და კერძო სექტორის ერთობლივი საქმიანობით იქნება შესაძლებელი. ამ პირობებში ძირითადი გზა უნდა იყოს მევენახეობის ახალ ტექნოლოგიურ დონეზე აყვანა. პროდუქციის წარმოების გადიდება უნდა მოხდეს ტექნიკის, ტექნოლოგიების და წარმოების ორგანიზაციის თანმიმდევრული სრულყოფით, მეცნიერების მიღწევების და მონივრე მეთოდების დანერგვის გზით და სხვა. ვენახების აღდგენა-გაშენების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი უნდა იყოს ქვეყნის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

ცხადია, დღეისათვის და პერსპექტივაშიც მთლიანად საქართველოს ეკონომიკისათვის ვენახის შემცირება მიუღებელია. ამიტომ ამ დარგების აღორძინება საშინაო ბაზრის დაცვისა და საექსპორტო ბაზრების გამოვლენის საფუძველზე უნდა მოხდეს. ამასთანავე, მევენახეობა-მეღვინეობაში ყურძნის გადამამუშავებელი პრივატიზებული საწარმოებისათვის პირველ რიგში აუცილებელია ახალი საკრედიტო ურთიერთობის ამოქმედება, ადგილობრივი წარმოების არსებული რესურსების მაქსიმალურად გამოყენება, სამეურნეო გარიგებების სამართლებრივი მოწესრიგება ყურძნის შესყიდვაზე და პროდუქციის

რეალიზაციაზე, შესაბამისი პირობების შექმნა ინვესტიციების მოზიდვაზე, ახალი გზების ძიება მარკეტინგული სამსახურის პრიორიტეტულად განვითარება და სხვა. განსაკუთრებული როლის შესრულება შეუძლია, აგრეთვე, მევენახეობა-მეღვინეობაში ერთობლივი საწარმოების შექმნას უცხოელ პარტნიორებთან, რომლებიც ხელს შეუწყობენ როგორც ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, ასევე პროდუქციის რეალიზაციას.

საქართველოდან ღვინო ოდითგანვე გაჰქონდათ ევროპის, შუა აზიისა და სხვა ქვეყნებში. XVII საუკუნეში (1672 წ.) ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი, რომელიც ეწვია საქართველოს, ასე წერდა: „მეფეს გამოეგზავნა ჩემთვის ორი ღვინით სავსე საღვინე... იმ ღვინოზე უკეთესი ღვინო არ შეიძლება“.

სადღეისოდ საქართველოში წარმოებული ყურძნიდან დაახლოებით 30-40 ათასი ტონა გადამამუშავდება ღვინის მწარმოებელი კომპანიების მიერ, 15 ათასი ტონა გამოიყენება სუფრის ყურძნად, ხოლო დანარჩენი 100 ათასი ტონა გადამამუშავდება კერძო პირების მიერ საოჯახო ღვინოების დასამზადებლად. ყურძნის გადამამუშავებით მიღებული 50-80 მილიონი ლიტრი მოიხმარება საქართველოში (www.geostat.ge).

2017 წლის იანვარ-ივნისში საქართველოდან მსოფლიოს 44 ქვეყანაში ექსპორტირებულია 31,5 მლნ ბოთლი ღვინო, რაც 59%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მონაცემებს. ამ პერიოდში ექსპორტირებულია 70,5 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ღვინო, რაც 51%-ით აღემატება გასული წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს.

ექსპორტის მატება აღსანიშნავია შემდეგ ქვეყნებში: ჩინეთი – 104% (3842412), რუსეთი – 89% (19313343), უკრაინა – 30% (2983000), პოლონეთი – 13% (1212704), ბელარუსი – 43% (660674), ლატვია – 19% (685508), აშშ – 43% (176274), გერმანია 20% (200440), საფრანგეთი – 457% (95530), ისრაელი – 150% (105710), აზერბაიჯანი – 241% (87402) და სხვა (www.geostat.ge).

ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეულია: რუსეთი – 19313343, ჩინეთი – 3842412, უკრაინა – 2983000, პოლონეთი – 1212704 და ყაზახეთი – 1163827 ბოთლი.

ამასთან, მსოფლიოს 17 ქვეყანაში ექსპორტირებულია 6 858 734 ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი, რაც 85%-ით აღემატება 2016 წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს. სულ ექსპორტირებულია 16 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ბრენდი – მატება გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 88%-ს აღწევს.

მთლიანობაში ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ღვინო-მასალის, ჩამოსასხმელი ბრენდისა და საბრენდე სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებული

შემოსავლები საანგარიშო პერიოდში 122,14 მლნ აშშ დოლარს შეადგენს – ზრდამ 2016 წლის ამავე პერიოდთან შედარებით 56% შეადგინა”.

„ჩვენებური ღვინო მართალი ღვინოა“, – ბრძანებდა ქართველი საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე. „ღვინის კეთებას ჩვენი მრავალი ათასის წლების ისტორია აქვს და, მასასადამე, არის რა მიზეზი, რომლის ძალითაც ჩვენი ერი თვისებურ ღვინის კეთებას ჰრჩეობს და ევროპულს უფროსს, ერიდება დღესაც... ჩვენებური ღვინის კეთება მარტო იმაზეა მიქცეული, რომ ყურძნის წვენს არა რა შეერიოს და ღვინოს თავისი ბუნებური შეურეველი თვისება ჰქონდეს“.

ქართული ღვინის უმთავრესი ღირსება „ბუნებრიობაა“, მხოლოდ „ნატურალობაა“, ამიტომ განსაკუთრებული სერიოზულობითაა საჭირო ბრძოლა ღვინის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ. მევენახეობა-მეღვინეობის ეროვნული ტრადიციების დაცვისათვის ბრძოლა უშუალოდ უკავშირდება ფალსიფიკირებული ღვინოების მავნეობის გამოვლენასა და ამგვარი ღვინოების დაყენების უარყოფის კამპანიას.

საერთოდ, ქართული მეღვინეობის წინაშე ამჟამად მდგარი ამოცანების შესაბამისად უნდა გაიზარდოს ვენახებში საშუალო და შედარებით დაბალმოსავლიანი უნიკალური ვაზის ჯიშების: საფერავის, მწვანეს, ხიხვის, ალექსანდროულის, უსახელოურის, კრახუნას, ოჯალეშის, ჩხავერის, პინოს, ალიგოტეს და სხვათა ხვედრითი წილი - ამჟამად არსებული 3-4%-დან 20-25%-მდე.

ქართული ღვინის შედარებით მსხვილი კომპანიები: "თბილღვინო", "თელავის ღვინის მარანი", "თელიანი ველი", "ბადაგონი" და სხვებიც უკვე სერიოზულად ფიქრობენ ნაკლებად ცნობილი ყურძნის ჯიშების პოპულარიზაციაზე და მათი გეგმები, რა თქმა უნდა, უპირველესად გაყიდვების გაზრდის მომავალ პერსპექტივებზეა გათვლილი. ყველა აღიარებს, რომ ქართული ღვინის მომავალი ერთ, ან თუნდაც ორი დასახელების

დასკვნები და რეკომენდაციები

მიზანშეწონილია, რომ ხარისხოვანი მეღვინეობის ზონის ღვინის ქარხნებში მოენყოს სამარკო და საექსპორტო ღვინოების დასამზადებელი საამქროები, რაც შედარებით მცირე ინვესტიციებთან იქნება დაკავშირებული.

საჭიროა მევენახეობა-მეღვინეობაში მცირე და საშუალო ბიზნესის ყოველმხრივ სტიმულირება, მენარმეობის აღორძინება, ფერმერული და მეურნეობრიობის სხვა ორგანიზაციული ფორმების განვითარება, ადგილობრივი და უცხოელი ფირმების გამოცდილების შესწავლა, რაც ხელს შეუწყობს პროდუქციის კონკურენტუნარიანობისა და საექსპორტო პოტენციალის ამაღლებას.

მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებისათვის მოსალოდნელი შედეგების შეფასება რთუ-

ღვინოზე ვერ იქნება დამოკიდებული. ქართული ღვინის ბიზნესის მომავალი სწორედ მრავალფეროვნებაშია და თუკი ხარისხიც გაუმჯობესდება, ქართულ კომპანიებს როგორც შიდა, ასევე მსოფლიო ბაზარზე, თავიანთი ნიშა გაუჩნდებათ.

მთავრობა გარანტიას უნდა აძლევდეს მევენახეებს, რომ მათ მიერ წარმოებულ ყურძნის მთლიანად ან მის ნაწილს მაინც შეისყიდის საბაზრო - შეთანხმებული ფასებით, გამოუყოფს მათ შეღავათიან კრედიტებს, აუნაზღაურებს სტიქიური უბედურებით გამოწვეულ ზარალს, შეუმციურებს საგადასახადო განაკვეთებს, მინიმუმადე დაიყვანს რისკის ფაქტორს და სხვა. ასევე, სახელმწიფომ პროტექციონისტული პოლიტიკა უნდა გაატაროს, ხელი შეუწყოს ღვინის ექსპორტიორებს ღვინისა და ღვინომასალებიდან დამზადებული სხვა პროდუქტების საზღვარაგრეთის ქვეყნების ბაზარზე გატანაში, რაც ვალუტის შემოტანის, ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო გახდება.

მხოლოდ ქმედითი სახელმწიფო რეგულირებითა და კონტროლის განხორციელებით არის შესაძლებელი კონკურენტუნარიანი, მაღალხარისხოვანი ღვინის წარმოება, ფალსიფიკირებული და უხარისხო პროდუქტისაგან სამომხმარებლო ბაზრის დაცვა, მევენახეობა-მეღვინეობის, როგორც ეროვნული ეკონომიკის პრიორიტეტული, დარგის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე განვითარება (მთავრობის როლის გააქტიურება უნდა გამოიხატოს მევენახეობა-მეღვინეობის დარგის სახელმწიფო მხარდაჭერის მიზნობრივი პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში). მითუმეტეს, რომ ღვინის მწარმოებელ აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის საქართველო წარმოადგენს ქვეყანას, რომელსაც გააჩნია ღვინის წარმოების საუკეთესო პირობები (ნიადაგი, კლიმატი, ყურძნის ჯიშები, ტრადიციები და ა.შ.) და კანონიერი უფლება ღვინის მსოფლიო ბაზარზე აღიარებისათვის.

ლია, რადგან წარმოებაში ჩართულია როგორც შრომითი, მიწის, მატერიალური და ფინანსური რესურსები, ასევე ბუნებრივი ფაქტორები. წარმოების პროცესებზე მოქმედებს, როგორც საბაზრო, ისე ბუნებრივი გარემო. კერძო საკუთრებასთან ერთად წარმოების მასტიმულირებელი როლი იჯარამ უნდა შეასრულოს.

ღვინისა და ღვინის პროდუქტების ზრდის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია სახელმწიფო რეგულირების შემდეგი მექანიზმის ამოქმედება:

- მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარება დამოკიდებულია ბაზარზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის თანაფარდობაზე. ამასთან ეს დარგი სულ უფრო მეტად კაპიტალტევადი ხდება, რადგან იზრდება სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღების დონე

და მიწის ფასი. სწორედ ამიტომ მევენახეობის სანედლეულო რესურსებთან ერთად განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს სხვა ადგილობრივი რესურსების მაქსიმალურად გამოყენებას, კერძოდ შინამრეწველობის განვითარებას და მის შეთანხმებას მევენახეობასთან;

- მევენახეობის განვითარებას საქართველოში სერიოზულად უშლის ხელს მაღალხარისხოვანი და წმინდა ჯიშის ნამყენი ნერგის წარმოების დაბალი დონე, ვფიქრობ, უმნიშვნელოვანესია მისი განვითარება;
- საჭიროა, ჩამოყალიბდეს წესები, რომლებიც თავიდან აგვაცილებენ უსამართლო კონკურენციას ფალსიფიცირებულ ღვინოებთან;

რენციას ფალსიფიცირებულ ღვინოებთან;

- საჭიროა განხორციელდეს ეტიკეტის სრულყოფის პროგრამა, რათა ქართული ღვინოები დაცული იყოს მოსავლის, ჯიშის, ყურძნის წყაროს და გეოგრაფიული მდებარეობის მინიშნების თვალსაზრისით;
- მიწის, კლიმატისა და ამინდის პირობების მიხედვით სხვა თანაბარ პირობებში განსხვავებული რაოდენობის შრომა იხარჯება და სამეურნეო შედეგებიც სხვადასხვაა. ამიტომ გრძელვადიანი პერიოდისათვის პროგნოზირებული ანალიზი ბუნებრივი ფაქტორების გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. <http://georgianwine.gov.ge/Ge/News/511>
2. <http://vinoge.com/patara-WiqebiT/saqarTvelo-Rvinis-samSoblo-msoflios-mediis-yuradRebis-centrSi>
3. <https://www.theguardian.com/science/2017/nov/13/evidence-of-worlds-earliest-winemaking-uncovered-by-archaeologists?CMP=share-btm-fb>
4. <http://agrokavkaz.ge/agroplus/saqarthvelo-meghvineobis-8000-tsliani-utsqhveta-traditsia.html>
5. <https://sites.google.com/a/iliauni.edu.ge/kartuli-ghvino-ekonomikashi/kartuli-ghvinis-kompaniebi/kartuli-ghvinis-istoria/gamoqenebuli-literatura/embargo-da-misi-shedegebi>
6. <http://evpatori.ge/?do=view-news&news-id=3613>
7. <http://www.vinoge.com/qarTuli-Rvino/qarTuli-Rvinis-momavali-misi-unikalurobaa>
8. <http://enpard.ge/ge/qarthuli-ghvinis-8000-tsliani-tr/>
9. <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c=ekonomik&cl=CL4.2&d=HASH-015188cbd0075ac72dd912a1.4.1>
10. <http://agronews.ge/mevenakheoba-meghvineobis-gamotsvevebi-da-ganvitharebis-perspeqtivebi/>
11. <http://www.ipress.ge/new/43067-The-Wine-Economist-saqartveloze-ghvinis-turizmis-momavali-ghvinis-samshobloshi>
12. <http://georgianwine.gov.ge/Ge/News/511>
13. <http://vinoge.com/patara-WiqebiT/saqarTvelo-Rvinis-samSoblo-msoflios-mediis-yuradRebis-centrSi>
14. <https://www.theguardian.com/science/2017/nov/13/evidence-of-worlds-earliest-winemaking-uncovered-by-archaeologists?CMP=share-btm-fb>
15. <http://agrokavkaz.ge/agroplus/saqarthvelo-meghvineobis-8000-tsliani-utsqhveta-traditsia.html>
16. <https://sites.google.com/a/iliauni.edu.ge/kartuli-ghvino-ekonomikashi/kartuli-ghvinis-kompaniebi/kartuli-ghvinis-istoria/gamoqenebuli-literatura/embargo-da-misi-shedegebi>
17. <http://evpatori.ge/?do=view-news&news-id=3613>
18. <http://www.winetravelstories.com/2016/04/key-statistics-on-wine-industry-in.html>
19. <http://en.vinoge.com/news/georgian-wine-export-stats-and-major-tendencies>
20. <http://georgianwine.gov.ge/Ge/KvevriWine>

Teimuraz Chubinidze,
Student Center “idea” TSU

Mate Shvangiradze,
Aleksandre Kubaneishvili,
Students TSU

Wine and Viticulture in Georgia: Past, Present, Future

Annotation: Georgia is one of the oldest wine regions in the world. The fertile valleys and protective slopes of the Transcaucasia were home to grapevine cultivation and neolithic wine production (Georgian: ღვინო, VINO) for at least 8,000 years. Due to the many millennia of wine in Georgian history and its prominent economic role, the traditions of wine are considered entwined with and inseparable from the national identity. Among the best-known Georgian wine regions are Kakheti (further divided into the micro-regions of Telavi and Kvareli), Kartli, Imereti, Racha-Lechkhumi and Kvemo Svaneti, Adjara and Abkhazia. UNESCO added the ancient traditional Georgian wine-making method using the Kvevri clay jars to the UNESCO Intangible Cultural Heritage Lists.

Key words: wine, pitcher, cellar, grape varieties, UNESCO, ancient wine, legend about wine, economic data, past experience, export, import, wine production

გიორგი შიხაშვილი

თსუ ასოცირებული პროფესორი,
ცენტრი „იდეას“ დირექტორი

საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: საერთაშორისო აკადემიური სემინარი ნეგევის ბენ-გურიონის უნივერსიტეტში

(ისრაელი, ქალაქები ბეერ შევა და ეილატი, 2018 წლის 10-15 მარტი)

სამეცნიერო ინფორმაცია საერთაშორისო აკადემიური სემინარის შესახებ

ცენტრი „იდეას“ გრძელვადიანი გეგმის მიხედვით მიმდინარეობს სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო-სატრენინგო სამუშაოები და შესაბამისი პროექტების/ღონისძიებების განხორციელება რამდენიმე პროგრამის საფუძველზე.

ცენტრის ერთ-ერთი წამყვანი კვლევითი პროგრამაა „ისრაელის ეკონომიკა და ბიზნესი“, რომელიც ხორციელდება ცენტრთან არსებული ისრაელის ეკონომიკისა და ბიზნესის კვლევის სექტორში. ამ პროგრამის ფარგლებში დაიგეგმა და განხორციელდა ცენტრის წევრების მონაწილეობა ისრაელის ბენ-გურიონის უნივერსიტეტის (ბგუ) მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო აკადემიურ სემინარში.

ნეგევის (ისრაელის სამხრეთი რეგიონი) ბენ-გურიონის უნივერსიტეტის ძირითადი ნაწილი განლაგებულია ქალაქ ბეერ შევაში. ბგუ არის ისრაელის ერთ-ერთი წამყვანი სასწავლო და კვლევითი უნივერსიტეტი და ლიდერობს მსოფლიოს უნივერსიტეტებს შორის მეცნიერების სხვადასხვა სფეროში. უნივერსიტეტში სწავლობს 20 000-ზე მეტი სტუდენტი. უნივერსიტეტის ერთ-ერთი მონაწილე სამეცნიერო და სასწავლო სტრუქტურული ერთეულია ბიზნესისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი.

2018 წლის იანვრის ბოლოს ძალაში შევიდა ურთიერთგაგების მემორანდუმი თსუ-სა და ბგუ-ს შორის, რომლის ფარგლებში დაიგეგმა და 10-15 მარტს ჩატარდა საერთაშორისო აკადემიური სემინარი ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალურ საკითხებზე.

სემინარის ინიციატორი და მთავარი ორგანიზატორი იყო ბგუ-ის ბიზნესისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი, რომლის სპეციალური მონვევის საფუძველზე ისრაელში გაემგზავრა თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორთა და სტუდენტთა დელეგაცია.

თანაორგანიზატორობის ფუნქცია შეასრულეს თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტმა და სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრმა „იდეამ“.

11 მარტს ქართული დელეგაცია ესტუმრა სარწყავი და სასათბურე სისტემების მწარმოებელ საერთაშორისო კომპანია „ნეტაფიმის“ სათავო ოფისს, სადაც კომპანიის აღმასრულებელმა დირექტორმა გააკეთა საინტერესო მოხსენება კომპანიის მუშაობის შესახებ. შეხვედრაზე გამოით-

ქვა მოსაზრებები სოფლის მეურნეობაში წვეთოვანი სარწყავი სისტემის მნიშვნელობისა და საქართველოში მისი წარმატებით დანერგვის შესახებ.

იმავე დღეს ქართული დელეგაციის წარმომადგენლები გაემგზავრნენ იერუსალიმში, სადაც მოილოცეს ქრისტეს აღდგომის ტაძარი.

12 მარტს მოვინახულეთ ბგუ-ის სამეცნიერო, სასწავლო და ადმინისტრაციული კორპუსები. გაიმართა შეხვედრა უნივერსიტეტის საერთაშორისო აკადემიური ურთიერთობების ოფისის დირექტორთან სტავი ბარამსა და ბიზნესისა და მენეჯმენტის

ფაკულტეტის დეკანთან, პროფესორ ოდედლოვენგარტთან. გაგვაცნეს უნივერსიტეტის

სტრუქტურა, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების სამეცნიერო და სასწავლო მუშაობის ძირითად მიმართულებები. მნიშვნელოვანი იყო ბგუ-ის მხრიდან მიღებული შემოთავაზებები სასწავლო-სამეცნიერო მიმართულებით მომავალი თანამშრომლობის თაობაზე.

13 მარტს, სემინარის პროგრამის თანახმად, თსუ-ის დელეგაცია 2 ნაწილად გაიყო. ბგუ-ის ბიზნესისა და მენეჯმენტის ფაკულტეტზე გამართულ მრგვალ მაგიდაზე მოხსენებებით გამოვიდნენ პროფ. თ. ბერიძე („გარდამავალი ეკონომიკის ხარისხობრივი და რაოდენობრივი განსაზღვრა – კვლევის მეთოდოლოგიური პრინციპები“) და პროფ. დ. ნარმანია („საქართველო-ისრაელის რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობა: განვითარების ადმინისტრირება“). დისკუსიაში მონაწილეობდნენ ჩვენი დელეგაციის წევრები: პროფესორები ე. მექვაბიშვილი, რ. გველესიანი, ე. ხარაიშვილი და ბგუ-ის პროფესორები: ჰ. ბარ-გერა, რ. ბარ-ელი, შ. ჰარტალი, ი. ტურბინერი, ი. შავიტი, ჰ. კათზი, მ. მალული.

თსუ-ის დელეგაციის მეორე ნაწილი (პროფ. ი. ხელაშვილი, ასოცირებული პროფ. გ. შიხაშვილი, ა. მიქაბერიძე და სტუდენტები: მ. მჭედლიშვილი, მ. ქვრივიშვილი, ნ. თოდუა, ს. სახვაძე, თ. ჩუბინიძე, მ. შვანგირაძე, ა. ყუბანიშვილი) გაემგზავრა ქალაქ ეილატში, სადაც დაათვალიერეს ბგუ-ის სასტუმროებისა და ტურიზმის დეპარტამენტის კამპუსი და დაესწრნენ დოქტორ ი. ბელჰასენის ლექციას ეილატში ტურიზმის განვითარების შესახებ. დისკუსიაში მონაწილეობდნენ დეპარტამენტის აკადემიური დირექტორი, პროფესორი ი. ფორია (ისრაელი) და ჩვენი დელეგაციის წევრები

14 მარტს გაიმართა საჯარო პოლიტიკის და ტურიზმის დეპარტამენტების კოლოკვიუმები, რომლებზეც მოხსენებებით გამოვიდნენ პროფ. ე. ხარაიშვილი („სოფლის მეურნეობის განვითარების შედარებითი ანალიზი საქართველოსა და ისრაელში“), პროფ. ე. მექვაბიშვილი („საქართველოს სოფლის მეურნეობის საექსპორტო პოტენციალი: თანამედროვეობა და პერსპექტივები“) და პროფ. ი. ხელაშვილი („მდგრადი ტურიზმის განვითარება საქართველოში: პოტენციალი და პრობლემები“). კოლოკვიუმებს ესწრებოდნენ და დისკუსიებში მონაწილეობდნენ ბგუ-ის პროფესორები (ფ. იუვალი, ა. შანი, ი. ფორია) და თსუ-ის დელეგაციის წევრები.

იმავე დღეს გაიმართა ბგუ-ისა და თსუ-ის სტუდენტების შეხვედრა და მოხსენებების წარდგენა (მოდერატორი – ასოცირებული პროფ. გ. შიხაშვილი). მოხსენებებით გამოვიდნენ სტუდენტური გუნდები: 1) მ. მჭედლიშვილი, მ. ქვრივიშვილი („ისრაელის ეკონომიკისა და ბიზნესის კვლევა სტუდენტურ ცენტრ „იდეაში“); 2) ნ. თოდუა, ს. სახვაძე („ისრაელის ეკონომიკური სასწავლებელი“); 3) თ. ჩუბინიძე, მ. შვანგირაძე, ა. ყუბანიშვილი („მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოში – წარსული, აწმყო, მომავალი“). დისკუსიაში მონაწილეობდნენ ბგუ-ისა და თსუ-ის პროფესორები და სტუდენტები. იმსჯელეს ცენტრ „იდეას“ მიერ განხორციელებულ პროექტებსა და სამომავლო გეგმებზე. გამოითქვა მოსაზრებები ბგუ-ში ანალოგიური სტუდენტური ცენტრის ჩამოყალიბებისა და მომავალი თანამშრომლობის შესახებ.

15 მარტს ქართული დელეგაცია გაცნო მკვდარი ზღვის ქიმიური ქარხნისა და ქალაქ ჰურას სოციალური სანარმოს მუშაობას, აგრეთვე ბედუინთა თემის ცხოვრებას.

მთლიანობაში, ბენ-გურიონის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მენეჯმენტის ფაკულტეტზე 2018 წლის 10-15 მარტს ჩატარებული აკადემიური სემინარი იყო მეტად საინტერესო, შემოქმედებითი და წარმატებული. მოხდა მნიშვნელოვანი სამეცნიერო-სასწავლო გამოცდილების გაზიარება, დაისახა სამომავლო ურთიერთობების გეგმები, რაც უთუოდ ნაადგება ორი უნივერსიტეტის ნაყოფიერ თანამშრომლობას.

ისტორიის გახსენება

FROM OUR HISTORY

სტუდენტური ცენტრი „იდეას“ წევრთა გუნდური მოხსენებები
III საერთაშორისო სტუდენტურ სამეცნიერო-პრაქტიკულ
კონფერენციაზე “ტრადიციული და ახალი ტექნოლოგიების
ორგანიზაცია და მართვა”

(თბილისი, თსუ, ISET, 2016 წლის 17-18 მაისი)



სამეცნიერო კვლევებისა და მაღალტექნოლოგიური განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა საქართველოსა და ისრაელში

შესავალი

წარმოდგენილი თემის მიზანია, მკითხველს გააცნოს, თუ რა როლს ასრულებს სახელმწიფო მაღალი ტექნოლოგიების განვითარებაში. გავიგოთ, თუ როგორ ეხმარება ხელისუფლების გადაწყვეტილებები სამეცნიერო კვლევას მაღალი შედეგების მიღწევაში. ამასთანავე, მოვახდენთ შედარებას ისრაელის მაგალითზე.

ნაშრომის მიზანია, მოახდინოს არსებულ დარგში სახელმწიფოს მიერ განხორციელებული სხვადასხვა აქტივობების როლის და მნიშვნელობის განსაზღვრა. მმეცნიერების განვითარებისათვის საქართველოში შექმნილია: "საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო" (GITA); სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“; განათლების სამინისტრო ასევე ჩართულია პროგრამაში „ჭორიზონტი 2020“; ასევე შეიქმნა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი.

აღნიშნული სექტორი საქართველოსთვის მიმზიდველია იმდენად, რამდენადაც საკმაოდ დიდი პოტენციალი აქვს მაღალი ტექნოლოგიების დარგს ეკონომიკის განვითარებისათვის.

მეორე ნაწილი ეთმობა მაღალი ტექნოლოგიების სფეროში ისრაელის გამოცდილების და სახელმწიფოს როლის განხილვას. ისრაელის მიერ სასტარტო ეტაპზე განხორციელდა პროექტები, რომელთა მეშვეობითაც მან დაიკავა მონინავე ადგილი ქვეყნებს შორის ინოვაციური ტექნოლოგიების სფეროში. ეს პროგრამებია: სტანდარტული კვლევებისა და განვითარების პროგრამების მხარდაჭერა; პროგრამა „მაგნიტი“; პროგრამა „ინკუბატორები“ და საერთაშორისო თანამშრომლობა.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებულ და მის მიერ მხარდაჭერილ პროექტებს ნამდვილად აქვს დიდი და პოზიტიური შედეგი, თუმცა განვითარებადი ქვეყნისთვის საკამირსი არაა ის ფინანსური მხარდაჭერა, რასაც საქართველოს მთავრობა ამ დარგისათვის გამოყოფს.

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა

ქვეყნის წინსვლის ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობა სამეცნიერო კვლევებისა და მაღალი ტექნოლოგიების განვითარებაა. დღესდღეობით იმ სახელმწიფოებში, სადაც ტექნოლოგიური მიღწევები მაღალ დონეზეა, ეკონომიკური მდგომარეობა საკმაოდ კარგი აქვთ. საქართველოში მაღალი ტექნოლოგიების კვლევა სანყის სტადიაზეა. სახელმწიფოს ჩარევის გარეშე მაღალი ტექნოლოგიების განვითარება შეუძლებელია, ვინაიდან

კერძო სექტორს არ აქვს იმის ფინანსური სახსრები, რომ დააფინანსოს კვლევები. ამ ვითარებაში საქართველოც არ არის გამონაკლისი. უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ პერიოდში შეინიშნება ნინსვლა მეცნიერების და კვლევების განვითარების კუთხით.

ჩვენი მიზანია, მოვახდინოთ მაღალი ტექნოლოგიების დარგში სახელმწიფოს მიერ განხორციელებული სხვადასხვა აქტივობების მიერ შესრულებული როლის იდენტიფიცირება და შეფასება განვითარებადი საქართველოსა და განვითარებული ისრაელის მაგალითზე. ასევე, მიღებული შედეგების საფუძველზე მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების შეთავაზება დაინტერესებული სუბიექტებისათვის.

საქართველოში კვლევებისა და მეცნიერების განვითარებისათვის სახელმწიფოს მხრიდან გამოყოფილია საბიუჯეტო სახსრები, ამასთანავე არსებობს სხვადასხვა ფონდები და ორგანიზაციები, რომლებიც აფინანსებენ მაღალი ტექნოლოგიების პროექტებს. ბოლო წლების განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობს საუბრები ახალი ტექნოლოგიური უნივერსიტეტის შექმნის შესახებ. შეიქმნა "საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო" (GITA); სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“; განათლების სამინისტრო ასევე ჩართულია პროგრამაში "ჰორიზონტი 2020". ასევე, შეიქმნა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი.

სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო შეიქმნა 2014 წელს. სააგენტოს მიზანია საქართველოში ინოვაციური ეკოსისტემის ფორმირება, სხვადასხვა სექტორებში ინოვაციების და ტექნოლოგიების გამოყენების სტიმულირება, ინოვაციური მენარმეობის, კვლევების და გამოგონებების კომერციალიზაციის ხელშეწყობა. სააგენტო ხელს უწყობს კვლევების შედეგების კომერციალიზაციის, IT ბიზნესის, დისტანციური დასაქმების, ქართული პროგრამული უზრუნველყოფის შექმნას და დანერგვას. სააგენტო განახორციელებს ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის განვითარებას. სააგენტოს მუშაობის პროცესში მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა ექსპორტზე ორიენტირებული IT ინდუსტრიის ფორმირებას, ასევე ინოვაციური Start-up-ების და ტექნოლოგიური კომპანიების გაჩენის ხელშეწყობას, ტექნოლოგიების და ინოვაციების გამოყენების ეფექტურობის ზრდას. სააგენტო განახორციელებს ინოვაციების და ტექნოლოგიების კომერციალიზაციისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის ფორმირებას, მათ შორის ტექნოლოგიური პარკების, ინოვაციების ცენტრების, აქსელერატორების, ინოვაციების ლაბორატორიების შექმნას.

სააგენტო უზრუნველყოფს ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანების მიღწევაში საკუთარი წვლილის შეტანას, ინოვაციების და ტექნოლოგიური

განვითარების საფუძველზე ეკონომიკური კეთილდღეობის ამაღლებას, შემდეგი აქტივობებით:

ინოვაციური ეკოსისტემის შექმნა;

ცოდნისა და ინოვაციების კომერციალიზაციის მხარდაჭერა;

ინოვაციური ინფრასტრუქტურის შექმნა, მათ შორის: ტექნოლოგიური პარკები, ინკუბატორები, აქსელერატორები, ინოვაციების ლაბორატორიები და მენარმეობის ლაბორატორიები;

აქტიური თანამშრომლობის დამყარება ბიზნესსა და მეცნიერებას შორის.

სააგენტოს მთავარ პროგრამულ მიმართულებებს წარმოადგენს: მეცნიერება, ინჟინერია, განათლება, ინფრასტრუქტურული და საინფორმაციო ტექნოლოგიები. სამეცნიერო მიმართულებების განვითარება ქვეყანაში ინოვაციური და მაღალგანვითარებული ეკოსისტემის ჩამოყალიბების საწინდარია. სააგენტო ორიენტირებულია სამეცნიერო სფეროს განვითარების ხელშეწყობისკენ, ინოვაციური პროდუქტებისა და კვლევების წარმოების გზით.

ზრდადი მოთხოვნა საინფორმაციო ტექნოლოგიებში განპირობებულია ბაზარზე არსებული დიდი შესაძლებლობებით, რომელიც ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია. სააგენტო აქტიურად უჭერს მხარს ექსპორტზე ორიენტირებული IT სფეროს ჩამოყალიბებას. საინფორმაციო ტექნოლოგიები წარმოადგენს გასაღებს მსოფლიოს ციფრული სამყაროს განვითარებაში.

ქვეყანაში ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარება მისცემს მოტივირებულ, შედეგზე ორიენტირებულ ადამიანებს წვდომას სხვადასხვა თანამედროვე ტექნიკასთან თუ ტექნოლოგიებთან. გამომგონებლებს ექნებათ საშუალება გამოცადონ ესა თუ ის თეორია და შექმნან გამოგონების პროტოტიპები. აქსელერატორების დაარსება ხელს შეუწყობს სტარტაფებს 3-4 თვის განმავლობაში მისცენ საკუთარ პროდუქტს საბაზრო ფორმა. სტარტაფების მხარდაჭერა აუცილებელია ბიზნესის გარემოს განსავითარებლად, რაც ემსახურება ეკონომიკის განვითარებას ქვეყანაში. სტარტაფების ფორმირება ქვეყანაში ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების პროცესში გადამწყვეტ როლს თამაშობს. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი ქვეყანაში ცოდნისა და ინოვაციებზე დამყარებული ეკონომიკის შექმნაა. სწორედ ამიტომ, სააგენტო ატარებს სხვადასხვა სახის ტრენინგებსა და სწავლებებს პრიორიტეტული მიმართულებებით. იგი თანამშრომლობს მრავალ ქვეყანასთან თუ საერთაშორისო ორგანიზაციასთან საუკეთესო პრაქტიკების ქვეყანაში დანერგვის მიზნით.

სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“ ისტორია სათავეს XX საუკუნის 60-იანი წლებიდან იღებს, 90-იანი წლების დასაწყისიდან კი კვლევითი ცენტ-

რი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაუქვემდებარდა.

დღევანდელი სახით სსსტც "დელტა,, 2010 წელს ჩამოყალიბდა, როდესაც ცენტრს ექვსი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და თბილისის საავიაციო ქარხანა დაექვემდებარა. "დელტა" აწარმოებს სამეცნიერო კვლევებს მაღალი ტექნოლოგიური უახლესი სამხედრო იარაღის შესაქმნელად. მისი პროდუქცია საკმაოდ მრავალრიცხოვანი ასორტიმენტითაა წარმოდგენილი. გარდა იმისა, რომ აღნიშნული ცენტრი ქვეყნის სამხედრო ძლიერების სიმბოლოა, მას, ამასთანავე უდიდესი დატვირთვა აქვს ეკონომიკის კუთხითაც. ვინაიდან სამხედრო პროდუქცია საკმაოდ ძვირადღირებულია, ქვეყანას დიდი ეკონომიკური ეფექტის მიღება შეუძლია მისი წარმოებით და პირველი შედეგები ამ კუთხით უკვე გვაქვს.

სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი შეიქმნა 2010 წელს, მისი მთავარი მიზანია მეცნიერების დაფინანსებისათვის განკუთვნილი სახსრების რაციონალური ხარჯვა. ფონდის პრიორიტეტებს წარმოადგენს:

- სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა;
- სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარება;
- ახალგაზრდა მეცნიერთა ხელშეწყობა;
- სამეცნიერო კვლევებში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება;

ისრაელის სახელმწიფო პოლიტიკა

ისრაელის მაღალტექნოლოგიური სექტორი უკანასკნელი წლების განმავლობაში წარმატების თვალსაჩინო მაგალითი გახდა, რაც აღიარებულია, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. მეტიც, იგი იკავებს მონინავე ადგილს მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოებს შორის იმ სარგებლით, რომელსაც იღებს ეკონომიკა ინოვაციებისაგან. ამასთანავე, ისრაელი არის ერთ-ერთი იმ იშვიათი ქვეყნებიდან, რომელთაც შეიძლება დაიკვეთონ „სილიკონის ველის“ ტიპის ტექნოლოგიური ცენტრით.

ეჭვგარეშეა, რომ ტექნოლოგიური სექტორის მსგავსი სწრაფი წარმატება და განვითარება, დიდწილად განაპირობა მთავრობის სწორმა პოლიტიკამ. სახელმწიფო ბიუჯეტიდან წლიდან წლამდე უფრო და უფრო მეტი თანხობრივი მხარდაჭერა ხდებოდა იმ ღონისძიებებისა და პროექტებისა, რომლებსაც ახორციელებდა მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროში არსებული მთავარი მეცნიერის ოფისი (OCS). თუმცა, წარმატების მიღწევას დასჭირდა გარკვეული პერიოდი და ამ ხნის განმავლობაში არაერთხელ გადაისინჯა სახელმწიფო პოლიტიკა. მეტიც, 1990-იან წლებში, არსებული პრობლემების გამო ხელისუფლება იძულებული გახდა შეემცილებინა ტექნოლოგიური სექტორის დაფინანსება, მაგრამ

- მეცნიერების პოპულარიზაცია.

ჰორიზონტი 2020 არის ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის უმსხვილესი პროგრამა დაახლოებით 80 მილიარდი ევროს ბიუჯეტით, რომელიც 7 წლის განმავლობაში (2014-2020) გრანტების სახით მოხმარდება სამეცნიერო თუ კვლევით აღმოჩენებს, გამოგონებებსა თუ ინოვაციებს და საუკეთესო იდეებს. პროგრამის მისიაა ხელი შეუწყოს პროგრესულ მეცნიერებას, უპასუხოს საზოგადოებრივ და ინდუსტრიულ გამოწვევებს.

ჰორიზონტი 2020 წარმოადგენს ფინანსურ ინსტრუმენტს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ევროპის კონკურენტუნარიანობა მსოფლიოს მასშტაბით. ამაში მოიაზრება ეკონომიური ზრდა და ახალი სამსახურების შექმნა. სწორედ ამ მიზეზით, ჰორიზონტი 2020-ს გააჩნია პოლიტიკური მხარდაჭერა ევროპის ლიდერების და ევროკავშირის პარლამენტის წევრების მხრიდან. ევროპის ლიდერები თანხმდებიან, რომ კვლევებისა და ინოვაციების მხარდაჭერა არის ინვესტიცია საერთო ევროპული მომავლისათვის.

ჰორიზონტი 2020 პროგრამის ამოცანებია: უზრუნველყოს მსოფლიო-კლასის მეცნიერების განვითარება, მოუხსნას ბარიერები ინოვაციას და შექმნას ინოვაციებისათვის ხელსაყრელი გარემო საჯარო და კერძო სექტორების თანამშრომლობის გზით.

მთავრობამ მალევე გააცნობიერა, რომ თანამედროვე ეკონომიკურ გამოწვევებთან გამკლავება მაღალტექნოლოგიური სექტორის განვითარების პირობებში პრაქტიკულად შეუძლებელი იყო.

ტექნოლოგიური კვლევების ინტენსიურობის ზრდას საფუძველი 1968 წელს ჩაეყარა, როდესაც პროფესორმა კაჩალსკიმ წარმოადგინა წინადადება მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს ბაზაზე შექმნილიყო მთავარი მეცნიერის ოფისი (OCS), რომელსაც ექნებოდა უფლება იმ კერძო ფირმების სუბსიდირებისა, რომლებიც ახორციელებდნენ კვლევებს ტექნოლოგიურ სექტორში. სწორედ ამ გადაწყვეტილების შემდეგ, მკვეთრად გაიზარდა განხორციელებული კვლევებისა და პროგრამების რიცხვი აღნიშნულ სექტორში. 1969 წლიდან 1987 წლამდე, ყოველწლიურად 14%-ით იზრდებოდა კვლევა-განვითარებაზე დახარჯული ფულადი რესურსების ოდენობა. შედეგად, მაღალტექნოლოგიური სექტორის პროდუქციის ექსპორტი, რომელიც 1969 წელს 422 მლნ. აშშ დოლარს შეადგენდა, 1987 წელს 3 მლრდ. 316 მლნ. აშშ დოლარამდე გაიზარდა.

განვითარების შემდგომი გარანტი გახდა კანონი „სამრეწველო კვლევებისა და განვითარების წახალისების“ შესახებ, რომელიც 1985 წელს

მიიღეს. ეს არის კანონმდებლობის უმთავრესი ნაწილი, რომელმაც განსაზღვრა მთავრობის სამოქმედო პოლიტიკის პარამეტრები. აღნიშნული კანონის შემოღების მიზანი იყო განვითარებულიყო მეცნიერებაზე ორიენტირებული, საექსპორტო ინდუსტრიები, რომელიც ხელს შეუწყობდა დასაქმებას და არეგულირებდა ქვეყნის საგადაამხდლო ბალანსს.

„სამრეწველო კვლევებისა და განვითარების წახალისების“ შესახებ კანონის უმთავრესი პუნქტი არის ფინანსური წახალისების პროგრამა. კომპანიები, არ აქვს მნიშვნელობა, იქნება ეს მსხვილი კორპორაციები თუ მცირე ბიზნესის წარმომადგენლები, იღებენ შესაბამის თანხებს, რათა შექმნან ინოვაციური, ექსპორტზე ორიენტირებული პროდუქცია. მთავარი მეცნიერის ოფისის გამოყოფილი ფინანსური სახსრების 50% მოქმედ კომპანიებზე მოდიოდა, ხოლო დაახლოებით 40% დამწყები ბიზნესის წარმომადგენლებზე.

მთავარი მეცნიერის ოფისი ერთდროულად რამდენიმე პროგრამას ახორციელებს, რამაც მნიშვნელოვანი, ფასდაუდებელი ზეგავლენა მოახდინა ისრაელის მაღალტექნოლოგიური სექტორის განვითარებაზე.²

ქვემოთ მოცემულია ის წამყვანი პროგრამები, რომლებსაც ახორციელებს ისრაელის მთავარი მეცნიერის ოფისი. ესენია:

- სტანდარტული კვლევებისა და განვითარების პროგრამების მხარდაჭერა;
- პროგრამა „მაგნიტი“;
- პროგრამა „ინკუბატორები“;
- საერთაშორისო თანამშრომლობა.

განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე:

სტანდარტული კვლევებისა და განვითარების პროგრამების მხარდაჭერა – ეს არის უდიდესი პროგრამა და მისი ადმინისტრირება წარმოადგენს მთავარი მეცნიერის ოფისის ძირითად საქმიანობას. მისი არსი შემდეგში მდგომარეობს: ფირმები წარადგენენ კვლევებისა და განვითარებისათვის გრანტზე განაცხადს, რომელსაც შემდეგში განიხილავს კვლევის კომიტეტი. სტატისტიკურად, ფირმების 70% განაცხადზე დადებით პასუხს ღებულობს და შედეგად, განმცხადებელი იღებს კვლევისათვის საჭირო თანხის 50%-ს.

კვლევის კომიტეტი ვალდებულია განსაზღვროს გრანტის გაცემისათვის აუცილებელი პირობები. მასში შედიან როგორც ხელისუფლების კვალიფიციური წარმომადგენლები, ასევე ჩვეულებრივი მოქალაქეები. ამასთანავე, აპლიკაციებს კომიტეტში არშემავალი დარგის ექსპერტები და რეკომენდატორები განიხილავენ.

გამოყოფილი გრანტების 50% მოდის პრო-

ექტებზე, რომლებიც ქმნიან ახალ ნოუ-ჰაუსს, ან სისტემას, რომელიც შემდგომში გახდება გარანტი ახალი პროდუქტის შექმნის ან მნიშვნელოვანწილად გააუმჯობესებს არსებულს. 30%-ით ფინანსდება პროექტები, რომელთა მიზანია სამოქალაქო პროდუქციის გაუმჯობესება, ხოლო დარჩენილი 20% ხმარდება სამხედრო პროდუქციის გაუმჯობესებას.

პროგრამა „მაგნიტი“ 1990-იან წლებში ნათელი გახდა ის ფაქტი, რომ სამრეწველო ლანდშაფტი ისრაელში ძალიან ფრაგმენტული იყო და ქვეყნის სამრეწველო კომპანიების უმეტესობას არ გააჩნდა საჭირო ფინანსები, რათა დაეფარა ახალი ტექნოლოგიის შექმნისთვის საჭირო ხარჯები და ამის გამო მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდნენ სხვა მონინავე ქვეყნების კომპანიებს. მეტიც, ისრაელში გაიზარდა მსოფლიო დონის კვლევითი ინსტიტუტების რიცხვი, მაგრამ მათი საქმიანობა არ პასუხობდა თანამედროვე გამოწვევებს. მსგავს გაერთიანებებს ჰქონდათ ხანგრძლივი მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან (ხშირ შემთხვევაში 3-5 წელი) და ფინანსდებოდა მათი კვლევებზე დახარჯული თანხის 66%-ი, ყოველგვარი შემდგომი გამოსყიდვის პირობის გარეშე.

1998 წლის ბოლოს, სულ 18 ასეთი გაერთიანება არსებობდა, რომელთა ნაერთი ბიუჯეტი 60 მლნ. აშშ დოლარს შეადგენდა. სწორედ აღნიშნულმა ჯგუფმა შექმნა ტექნოლოგიების ფართო სპექტრი კომუნიკაციებში, მიკროელექტრონიკაში, ბიოტექნოლოგიასა და ენერგეტიკაში.

ინკუბატორების პროგრამა – ტექნოლოგიური ინკუბატორები არის დამხმარე ორგანიზაციები, რომლებიც ახალბედა მენარმეებს აძლევენ შესაძლებლობებს განავითარონ საკუთარი ინოვაციური ტექნოლოგიური იდეები და შემდგომში მოახდინონ მათი კომერციალიზაცია. აღნიშნული პროგრამა 1990-იანი წლების დასაწყისში შეიქმნა, როდესაც პიკს მიაღწია მიგრანტთა რიცხვმა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან. ბევრი მიგრანტი იყო მეცნიერი და გამოცდილი პროფესიონალი, რომლებიც ისრაელში ფასდაუდებელი ადამიანური კაპიტალით ჩავიდნენ და გააჩნდათ უამრავი იდეა ინოვაციური პროდუქტების შექმნის შესახებ, თუმცა, მათ ჰქონდათ ენობრივი ბარიერი, რაც საქმეს ართულებდა. რა თქმა უნდა, აღნიშნული პროგრამა საწყის ეტაპზე ძალიან სარისკოა, მაგრამ იმ პერიოდში ისრაელში დამწყები ბიზნესმენებისათვის ფინანსების სხვა წყარო უბრალოდ არ არსებობდა.

თითოეული ინკუბატორი ისეა შექმნილი, რომ გაუმკლავდეს 10-15 პროექტს შემდეგ სფეროებში: განსაზღვრონ იდეის ტექნოლოგიური და მარკეტინგული ვარგისიანობა, შეადგინონ კვლევებისა და განვითარების გეგმა, გაზარდონ კაპიტალი და მოამზადონ იგი მარკეტინგული ღონისძიებების, სამდივნოს დებულების, ადმინისტრაციული

² წყარო: <http://www.tau.ac.il/~manuel/pdfs/R%26D%20Policy%20Israel.pdf>

მომსახურების, შესყიდვების, საბუღალტრო და იურიდიული კონსულტაციისათვის. იმისათვის, რომ პროექტი შემდგომში დაფინანსდეს, იდეამ საექსპორტო პოტენციალი უნდა დააკმაყოფილოს. თითოეული პროექტის წლიური ბიუჯეტი 150 000 აშშ. დოლარს შეადგენს.

1991 წლიდან 1998 წლის დასასრულამდე, ინკუბატორებმა დაახლოებით 700-მდე პროექტი მოამზადეს. მათი წარმატების კოეფიციენტი კი, 50% იყო. პროექტები სფეროების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა: ელექტრონიკა 27%, პროგრამული უზრუნველყოფა 20%, სამედიცინო აპარატურა 17%, ქიმია 27%, სხვადასხვა 9%. ამჟამად, ინკუბატორებში 900-მდე პროფესიონალი დასაქმებული და უმეტესობას უკვე აღარ სჭირდება სახელმწიფოს მხრიდან დახმარება.

საერთაშორისო თანამშრომლობა – მართალია, ისრაელის კომპანიები ქმნიდნენ მაღალტექ-


ნოლოგიურ პროდუქციას, თუმცა მათ ჰქონდათ მარკეტინგთან დაკავშირებული პრობლემები საზღვარგარეთ, რაც ძირითადად განპირობებული იყო სამიზნე ბაზრების სიშორითა და თავად ქვეყნის ტერიტორიული ზომით. შედეგად, ნამყვან უცხოურ კომპანიებთან თანამშრომლობა წარმატების მისაღწევად აუცილებელი იყო. სწორედ ამიტომ, ისრაელის მთავრობამ რამდენიმე ქვეყნის ხელისუფლებასთან ხელი მოაწერა ორმხრივ შეთანხმებას კვლევებისა და განვითარების შესახებ. აღნიშნულმა, ხელი შეუწყო ისრაელის კომპანიებისა და სხვა ქვეყნების ფირმების ერთობლივი პროგრამების განხორციელებას და არაერთი ღირებული პროდუქციის შექმნას.

მსგავსი ტიპის ორმხრივი შეთანხმებები ისრაელის მიერ გაფორმებულია ამერიკის შეერთებულ შტატებთან, კანადასთან, საფრანგეთთან, ნიდერლანდებთან და ესპანეთთან.

ისრაელის მაღალტექნოლოგიური პროდუქციის ექსპორტი

გრაფიკი 1.3

როგორც ზემოთ ნაჩვენები კვლევიდან ჩანს,



მოტანილი გრაფიკი 1. ნათელი დადასტურებაა იმ ფაქტისა, რომ უკვე რამდენიმე წელიწადია იზრდება ისრაელის მაღალტექნოლოგიური პროდუქციის ექსპორტი. მან უმაღლეს ნიშნულს გასულ, 2014 წელს მიაღწია და 9 მლრდ. 635 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.⁴

რა თქმა უნდა, ისეთი მცირე ფართობის მქონე ქვეყნისათვის, როგორც ისრაელია, ეს უდიდესი წარმატებაა და როგორც ექსპერტები აცხადებენ, უახლოეს მომავალში მათი მაღალტექნოლოგიური პროდუქციის ექსპორტის მაჩვენებელს შემცირება არ ემუქრება. წარმატება, რომელსაც ასეთმა პატარა ქვეყანამ მიაღწია უმოკლეს დროში, დიდწილად სწორედ გამართული სახელმწიფო პოლიტიკის შედეგია.

³ wyaro: http://www.theglobaleconomy.com/Israel/High_tech_exports/

⁴ wyaro: <https://ec.europa.eu/jrc/sites/default/files/events/20140120-tto-circle/jrc-20140120-tto-circle-zetelny.pdf>

ისრაელში სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებულმა ინტერვენციულმა პროგრამებმა თავისი პოზიტიური როლი ითამაშა მაღალტექნოლოგიური სფეროს განვითარებაში. საქართველოში ამ მიმართულებით პოზიტიური ნაბიჯები იდგმება, რაც იმედის საფუძველს გვაძლევს. ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო დიდ როლს შეასრულებს ტექნოლოგიების განვითარებაში. ინოვაციური პროდუქტების შექმნა, რომელიც ორიენტირებული იქნება საგარეო ბაზრებზე, გაზრდის ექსპორტის მოცულობას, რაც, თავის მხრივ, აისახება ქვეყნის მთლიანი შიგა პროდუქტის მოცულობის გაზრდაში, ასევე გაიზრდება ქვეყანაში შემოსული უცხოური ფულადი სახრები, ეს კი ეროვნული ვალუტის გამყარებას შეუწყობს ხელს. საქართველოში გატარებული სწორი პოლიტიკის შედეგად შესაძლებელი იქნება ქვეყანამ გამოიყენოს ის პოტენციალი რაც მეცნიერებას და მაღალტექნოლოგიური პროდუქციის

შექმნას აქვს. ეს ჩვენი ეკონომიკის გაძლიერების ერთ-ერთი საფუძველი იქნება.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია ის შედეგი, რაც ისრაელმა მიიღო ინოვაციური და მაღალტექნოლოგიური პროდუქციის წარმოების შედეგად. ამის გათვალისწინებით, საქართველოს ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა გაზარდოს ის საბიუჯეტო დაფინანსება, რასაც მეცნიერების და კვლევის განვითარებას ახმარს. ასევე, აუცილებელია მეტი დაფინანსება ჰქონდეს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს, რათა შეძლოს ქმედითი ნაბიჯების გადადგმა და

მეტი ინოვაციური იდეა დააფინანსოს, რაც საშუალებას მისცემს დამწყებ მეცნიერ-გამომგონებლებს ფრთები შეასხან თავიანთ იდეებს, შექმნან სრულიად ახალი პროდუქტი. ამასთანავე, აუცილებელია ქვეყანაში შეიქმნას ახალი ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, რომელიც აღჭურვილი იქნება უახლესი ტექნოლოგიებით, მონვეულები იქნებიან საერთაშორისო დონის სპეციალისტები. ხსენებული აქტივობების გატარების შედეგად საქართველოში მეტად განვითარდება მაღალი ტექნოლოგიების სფერო და ამის საფუძველზე ეკონომიკის წინსვლაც გარდაუვალი იქნება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სისტემის სტრატეგიული მიმართულებები. სტრატეგია 2014 – 2015 წწ
2. უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში 2013 წ
3. Itay Zetelny - The Israeli Hi-Tech Industry (2014)
4. Manuel Trajtenberg - R & D Policy in Israel: An Overview and Reassessment (2013)
5. <http://www.mes.gov.ge/>
6. <http://gita.gov.ge/ge/>
7. <http://horizon2020.ge/>
8. <http://delta.gov.ge/history/>
9. <http://www.rustaveli.org.ge/index.php?module=text&link-id=2>
10. <http://www.theglobaleconomy.com/Israel/High-tech-exports/>

NESTAN ABRAMISHVILI, TARIEL ZARANDIA,
IRAKLI SVANIDZE, LEVAN TEPNADZE

Scientific Research and High-tech Development Policy in Georgia and Israel

One of the main preconditions for the progress of a country, is the development of scientific and high-tech research. Nowadays, countries with a high-level technological achievements have an attractive economic situation.

In Georgia, scientific and high-tech research is in the initial stage. For this reason, government interference in developing this sector is massively important, because private sector does not have the financial resources to fund the studies. On the other hand, intervention programs implemented by the government of Israel played a positive role in developing high-tech sector. Therefore, sharing the experience of Israel will be very helpful and a step forward for developing this sector in Georgia.

ტრადიციული და თანამედროვე სამოსელის წარმოების ტექნოლოგიები საქართველოსა და ისრაელში

ჩვენ გამოვიკვლიეთ ტრადიციული და თანამედროვე სამოსელი და მათი წარმოების ტექნოლოგიები საქართველოსა და ისრაელში. ტრადიციული ქართული ტანსაცმლის შექმნა ამ ქვეყნის ბუნებისა და ცხოვრების წესის გავლენით. ქართული ნაციონალური ტანსაცმელი ქართული ყოფის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია. ჩვენი ქვეყნის რთული ისტორიული მდგომარეობის მიუხედავად მან მაინც შეძლო, განვითარებულიყო საუკუნეების განმავლობაში ტრადიციულობისა და ინდივიდუალურობის დაკარგვის გარეშე.

ყველა ქართველი მამაკაცი ერთდროულად იყო მეომარი, ფერმერი და მწყემსი, ქალები კი იყვნენ (და არიან) დიასახლისები. შესაბამისად, კაცების ტანსაცმელი შედარებით თბილი და მოხერხებული იყო, ქალების კი უფრო მოკრძალებული, მაგრამ ძალიან მოხდენილი და ლამაზი. დღესდღეობით, განვითარებასთან ერთად, ეს წესები ასეთი მკაცრი აღარ არის, მაგრამ ეროვნული სამოსელი მაინც ასახავს ქართულ ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს.

ისრაელის კულტურა წარმოუდგენელი იქნებოდა მისი ტრადიციული სამოსელის გარეშე. თითოეული მხარე გამოირჩეოდა სამოსელის განსხვავებული ფერით. ისრაელის ტრადიციული ტანსაცმლის გამოირჩევა იმითაც, რომ იგი ინფორმაციას გვაძლევს მისი მფლობელის შესახებ. მაგალითად, ტანსაცმლის ფერისა და ფორმის მიხედვით შეგვიძლია დავადგინოთ გოგო გასათხოვარია თუ დაქორწინებული.

ქართული ეროვნული ტანსაცმელი მატერიალური კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლია. მიუხედავად ჩვენი ქვეყნის ურთულესი ისტორიული პირობებისა, მან თავისი განვითარების მრავალსაუკუნოვანი გზის მანძილზე შეძლო საკუთარი ტრადიციების, მხატვრული ინდივიდუალობისა და ქართული ხასიათის შენარჩუნება. ტანსაცმელი, როგორც ყოფის სხვა ნივთიერი კომპონენტები, საქართველოს სხვადასხვა ეთნიკურ კუთხეში მთასა და ბარში ადგილობრივი პირობების მიხედვით ვითარდებოდა.

ქართული ეროვნული კოსტიუმების შესწავლა ყოველთვის იწვევდა მკვლევართა ინტერესს. განსაკუთრებით აქტუალურია ის დღეს, როდესაც მნიშვნელოვნად გაიზარდა მსოფლიო საზოგადოების ინტერესი ჩვენი ქვეყნისადმი, მისი ისტორიისა და კულტურისადმი. ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების პირობებში მნიშვნელოვანია ეროვნული ტრადიციების წარმოჩენა საზოგადოების წინაშე.

ტანსაცმლის წარმოებას საქართველოში უძველესი ისტორია აქვს. პირველ ცნობებს მონათმფლობელური საქართველოს სამოსის შესახებ ძველი ბერძენი მოგზაურები ქსენოფონტე და სტრაბონი გვანვდიან. ქართული ტანსაცმლის შესახებ საყურადღებო ინფორმაციას გვაძლევს

საეკლესიო მოხატულობები, ფრესკები და ბარელიეფები, რომლებზედაც ჯუბით შემოსული ქართველი მეფეები და ერისმთავრები არიან გამოსახულნი, რაც იმის მანიშნებელია, რომ საქართველოში აქტიურად იკრებოდა ქართული სამოსი და ხშირად ის მეზობელი ქვეყნის გავლენას განიცდიდა. ჩვენი წინაპრები ძალზედ კარგად ფლობდნენ ჭრა-კერვის ხელოვნებას. მიუხედავად მათ მიერ გამოყენებული მეტად მოკრძალებული სამუშაო იარაღებისა, იქმნებოდა მაღალი გემოვნების, რთული ტექნოლოგიით დამუშავებული სპარსული, ინდური, ფრანგული, ინგლისური და რუსული ქსოვილებისაგან დამზადებული სამოსი. აღნიშნულიდან ჩანს, რომ ფეოდალური საზოგადოების ზედა ფენები იზიარებდნენ და ეჩვეოდნენ ძლიერი მეზობლების მმართველი წრეების ჩაცმულობას და განსაკუთრებულ შემთხვევებში არაქართულად იყვნენ გამოწყობილი.

XIX ს-ის ბოლოსათვის ტანსაცმლის ძირითად მასალად ფაბრიკული ქსოვილების გამოყენებამ გარკვეული ზეგავლენა მოახდინა საქართველოს ცალკეული კუთხეების ჩაცმულობის ტრადიციულ ფორმებზე. თუ ადრე ტანსაცმლის მასალად გამოიყენებოდა შალის, აბრეშუმის, სელისა და ბამბის შინ ნაქსოვი ქსოვილები, ახლა რუსეთუსა და ევროპის ქვეყნებიდან უხვად შემოდიოდა სხვადასხვა მანუფაქტურა, რამაც დააქინა შინამრეწველობის გზით ქსოვილის დამზადების ხელობა და XX ს-ის ცოცხალ ეთნოგრაფიულ ყოფაში დღემდე შემონახულია საქსოვი დაზგებიც, რომელთა საშუალებითაც მზადდებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სელის, კანაფის, ბამბის, შალის, აბრეშუმისა და სხვა ქსოვილები. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გავრცელებული ბეჭსაშევრიანი საქსოვებით შალებსა და ფარდაგ-ხალიჩებს ქსოვდნენ.

ცხოვრების განსხვავებული წესებისა და მკაცრი კლიმატური პირობებიდან გამომდინარე განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა საქართველოს მთიანი რეგიონის ტანსაცმელი მაშინ, როცა ბარის მოსახლეობა ძირითადად ერთნაირ ტანსაცმელს ატარებდა და განსხვავება მხოლოდ მცირე დეტალებში შეიმჩნეოდა. ამის ძირითადი მიზეზი იყო ის, რომ მთაში ჯერ კიდევ ჩვენ წელთაღრიცხვამდე გავრცელებული იყო თექის წარმოება. ის საკმაოდ რთულ ტექნოლოგიურ დამუშავების ეტაპებს გადიოდა: მატყლს წინასწარ რეცხავდნენ, აშრობდნენ და ჩეჩავდნენ, შემდგომ იგვეგებოდა ორნამენტები და ხდებოდა მისთვის სხვადასხვა ფორმის მიცემა.

რაც შეეხება საქართველოში ტანსაცმლის მასიურ წარმოებას, იგი სათავეს საბჭოთა კავშირიდან იღებს. ამ ინდუსტრიამ საქართველოში კრახი განიცადა საბჭოთა კავშირის დანგრევისას. მომდევნო წლებში ქართველმა მენარმეებმა განაახლეს ტანსაცმლის წარმოება (CMT) – ფორმით (იმპორტირებას უკეთებდნენ ნედლეულს და კე-

რავდნენ ადგილობრივად) ძირითადად ადგილობრივი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად (ძირითადად ინარმოებოდა უნიფორმები), ოთხმა თურქულმა კომპანიამ ასევე გახსნა ქარხნები აჭარაში, რათა გამოეყენებინათ იაფი ადგილობრივი მუშახელის უპირატესობა.

მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთ ქართულ საწარმოს წარმატებით გააქვს ექსპორტზე ევროპაში თავისი ნაწარმი, ძირითადი ქართველი ტანსაცმლის მწარმოებლები ადგილობრივ ბაზარზე არიან ორიენტირებულნი, თუმცა ადგილობრივი მოსახლეობის რაოდენობიდან და ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლიდან გამომდინარე ზრდის პერსპექტივა ადგილობრივ ბაზარზე შეზღუდულია ექსპორტის გარეშე. ადგილობრივ საწარმოებს აქვთ გამოუყენებელი სიმძლავრეები, საიდან გამომდინარეც, მათ მფლობელებს აქვთ სურვილი გაიტანონ პროდუქცია ექსპორტზე, თავიანთი შემოსავლების გაზრდის მიზნით, თუმცა დღესდღეობით მათ არ აქვთ შესაბამისი კომპეტენცია, გამოცდილება და სამოქმედო გეგმა.

ექსპერტების აზრით ტანსაცმლის წარმოება ქვეყნის ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგია და მისი გასავითარებელი გეგმის ძირითად ნაწილს წარმოადგენს საექსპორტო ბაზრები, რომლებსაც აქვთ პოტენციური გახდნენ ქართული ნაწარმის მყიდველები. საქართველოში მთლიანობაში 200-მდე სამკერვალო ფაბრიკა არსებობს, რომელთა 95% მცირე და მიკრო საწარმოებია – მაგალითად, ატელიეების ტიპის მცირე წარმოებები. თბილისში მდებარეობს 15-მდე მსხვილი - თითო საწარმოში დასაქმებულია 100-დან 500-მდე ადგილობრივი მოსახლე და საშუალო - თითო საწარმოში დასაქმებულია 40-დან 100-მდე ადგილობრივი მოსახლე. მათი 90% ქართული ინვესტიციებით არის შექმნილი და ძირითადად ტანსაცმელს სამი ტიპის სეგმენტისთვის აწარმოებენ. Y

ყველაზე მსხვილი სახელმწიფო ორგანიზაციების და კერძო სექტორის სეგმენტია: მათთვის ძირითადად სასტუმროების, რესტორნების, სანავის ინპორტიორების, პოლიციის, ჯარის, ადგილობრივ სამომხმარებლო ბაზარზე საქართველოში შეკერილი ტანსაცმლის ძირითადი გაყიდვის არხი ლილოს და ვაგზის ბაზრობებია. საქართველოში დამზადებული საერთაშორისო ბრენდები ძირითადად ექსპორტზე გადის. თუმცა ბოლო დროს მათი ნაწილი ადგილობრივ ბაზარზეც გამოჩნდა, მათ შორის, სპეციალურ მაღაზიებსა და დიდ სუპერმარკეტებში.

პოტენციური საექსპორტო პროდუქტები განვიხილოთ ერთ-ერთი უცხოური სტატისტიკური ორგანიზაციის, SI-ის მიერ ჩატარებული კვლევის მონაცემებით, რომელიც მიმართული იყო საქართველოში საექსპორტო შესაძლებლობის მქონე წარმოებული ტანსაცმლის კატეგორიებზე, რო-

გორებიცაა: ქურთუკები, შალის ან შალის მსგავსი ნაწარმი, პალტოები, დათბილული ჟაკეტები, პიჯაკები და სხვა პროდუქცია. აღსანიშნავია, რომ ტანსაცმლის სულ ქვედა ანუ იაფი კატეგორია ამ კვლევიდან ამოღებული იქნა, რადგან ხასიათდება დაბალი მარჟებით და მაღალი კონკურენციით.

საქართველოს მოსახლეობის რაოდენობიდან გამომდინარე (3,73 მლნ) ადგილობრივი მოთხოვნა ტექსტილსა და ტანსაცმელზე საკამოდ შეზღუდულია, თუმცა საქართველო წარმოადგენს საქსპორტო ბაზას ისეთ მსხვილ ბაზრებზე როგორცაა უკრაინა, ყაზახეთი, ისრაელი, ბელორუსი, აშშ, ევროპა.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველო წარმოადგენს საუკეთესო პლატფორმას მაღალი ზრდის მქონდე ბაზრებზე შესაღწევად, შესაბამისად, ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, ექსპერტების ვარაუდით პოტენციურ ინვესტირებს შეეძლება მიიღონ შიდა უკუგების კოეფიციენტი 30%-ზე მეტი, თუ გააკეთებენ ინვესტირებას საქართველოს ტანსაცმლის წარმოებში. პარტნიორებისგან მონოდებული ტექსტილი და სხვა ნედლეულის შემოტანა საქართველოში ხორციელდება დროებითი შემოტანის რეჟიმით და შესაბამისად არ ხდება მისი იმპორტისა და დამატებითი ღირებულების გადასახადებით დაბეგვრა. ანალოგიურად არ ხდება წუნდებული პროდუქციის დაბეგვრა, რადგან მისი გაგზავნა ხორციელდება შემკვეთის საწყობში შემდგომი გადამუშავებისთვის მისივე ხარჯით.

ქვემოთ მოყვანილია მაგალითი, რომელიც ცდილობს გააანალიზოს და შეაფასოს საქართველოში წარმატებული, მაღალი ტექნოლოგიებით და მანქანა-დანადგარებით აღჭურვილი

და ექსპორტზე ორიენტირებული სამკერვალო საწარმოს შექმნის შესაძლებლობები, იდენტიფიცირდეს ის შედარებითი კონკურენტული უპირატესობები, რაც შეიძლება გააჩნდეთ ქართულ სამკერვალო კომპანიებს მსოფლიო ბაზარზე დასამკვიდრებლად. მოცემულ კვლევაში ხაზი უნდა გაესვას იმ ძირითად ფაქტორებს, რაც განაპირობებს მოცემულ სფეროში ბიზნეს ერთეულის წარმატებას. ყოველივე ზემოთ აღნიშნული განხილული იქნება კონკრეტული კომპანიის ბიზნეს გეგმის მაგალითზე.

საწარმოს აღწერა – საწარმო სრულად აღჭურვილი იქნება მაღალი ხარისხის ტექნიკით. პროდუქციის საწარმოებლად კომპანია გამოიყენებს თანამედროვე მანქანა-დანადგარებს. საწარმოო პროცესები მაქსიმალურად ორიენტირებული იქნება წარმოების დროის შემცირებაზე და დაზოგადებული პროდუქციის მაღალ ხარისხზე. თავდაპირველად შეიქმნება 4 საწარმოო ხაზი. თითოეულ ბაზაზე იქნება 140 ცალი საქსპორტო პროდუქტი. საწარმოს გახსნისთანავე დაიწყება მიღებული პერსონალის ორკვირიანი გადამზადება. საწარმოს შესაქმნელად საჭირო იქნება დაახლოებით 2500 კვ.მ. ორ სართულიანი შენობა. რაც შეეხება ხელფასებს, საკამოდ დაბალია ინდუსტრიისთვის, რაც ამ კომპანიის ერთ-ერთ უმთავრეს კონკურენტულ უპირატესობას წარმოადგენს გლობალურ ბაზარზე.

მმოცემული პროექტი გათვლილია 11 000 ერთეული ქურთუკის წარმოებაზე, თითოეული მოდელის წარმოების პროცესი განსხვავებულია და დამოკიდებულია მის დიზაინზე, თუმცა ქარხნის მომსახურების ხარჯები უცვლელია და შესაბამისად წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებაზეც იდენტურია და დამოკიდებულია მხოლოდ წარმადობაზე.

ცხრილი. 1. საწარმოს ხარჯები

| ხარჯის კატეგორია | ხარჯი ევრო |
|------------------------------|------------|
| საწარმოო ხელფასი | 45 760 |
| პირდაპირი კომუნალური ხარჯები | 3 200 |
| ზედნადები ხელფასები | 2 070 |
| სულ ხარჯი | 51 030 |

ცხრ. 2. წარმოების მოცულობა და რეალიზაციის ხარჯები

| წარმადობა | 8 000 | 9 000 | 10 000 | 11 000 |
|--------------------------|-------|-------|--------|--------|
| თვითღირებულება (ევრო) | 6,4 | 5,7 | 5,3 | 4,6 |
| სარეალიზაციო ფასი (ევრო) | 10 | 10 | 10 | 10 |
| მარჟა (ევრო) | 3,62 | 4,33 | 4,90 | 5,36 |
| მარჟა % | 36% | 43% | 49% | 54% |

როდესაც თანამედროვე სამოსელზე ვსაუბრობთ, შეუძლებელია არ შევეხოთ ე.წ “მეორადი” ტანსაცმლის თემას. თითქმის ორი ათეული

წლის წინ საქართველოში ჰუმანიტარული სახით შემოსული ევროპული, მეორადი ტანსაცმელი ადგილობრივ ბაზარზე შემოსავლის ერთ-ერთ

სარფიან წყაროდ იქცა. ევროპული ბრენდების, ჭრელი და ხარისხიანი, მაგრამ მეორადი ტანსაცმელი ადგილობრივ მოსახლეობაში დიდი პოპულარობით გავრცელდა. მით უმეტეს, რომ იმ პერიოდში ტანსაცმლის ქართული ბაზარი ევროპული ბრენდების მალაზიებით არ იყო განებივრებული. ერთ-ერთი ქვეყანა, საიდანაც საქართველოში მსგავსი სახის “ჰუმანიტარული დამხარება” ჩამოდის, დიდი ბრიტანეთია. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ადგილობრივი საწარმოების მატებასთან ერთად “მეორად” ტანსაცმელზე მოთხოვნა უფრო და უფრო მცირდება.

ისრაელი მსოფლიოს ერთადერთი ებრაული სახელმწიფოა. იგი სამშობლოდ ითვლება სხვა ეთნიკური ჯგუფებისთვისაც, მათ შორის უმრავლესობას არაბები და მრავალრიცხოვანი რელიგიური ჯგუფები (მაჰმადიანები, ქრისტიანები, დრუზები, სამარიტელები და სხვ.) წარმოადგენენ. არაბული კულტურა წარმოუდგენელი იქნებოდა მისი ტრადიციული ტანსაცმლის გარეშე, ტრადიციული სამოსი ანტიკური პერიოდის ნაწილია და ათასობით წელს ითვლის. მამაკაცები ატარებდნენ მოკლე ნაქარგ ქურთუკებს, შეხსნილი საყელოთი, წითელ ფეხსაცმელს და მომცრო ყვითელ თექის ქუდს მჭიდრო თავსაბურავით, ქალები კი მოძრაობდნენ გამორჩეული ტანსაცმლის (კაბით).

თითოეული არეალისთვის დამახასიათებელი იყო განსხვავებული ჩაცმის ფერი, მაგალითად, რამალში უპირატესობა ენიჭებოდა მუქ წითელს. გარდა ამისა, ყოველი ადგილისთვის სახასიათო იყო განსხვავებული ჩაცმის სტილი და სწორედ ეს დეტალი გვაძლევდა მათი ხასიათის შეფასების საფუძველს. მაგალითად, მთაში მოსახლე ქალები ნაკლებად მოქარგულ ტანსაცმელს ატარებდნენ, რადგან ისინი ძირითადად დაკავებული იყვნენ სოფლის მეურნეობის საქმეებითა და არ ჰქონდათ იმდენი დრო რომ მოექარგათ თავიანთი კაბები, განსხვავებით სხვა არეალის მოსახლეობისგან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. <https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98>
2. <http://www.bpn.ge/biznesi/9365-saidan-khvdeba-saqarthveloshi-meoradi-tansacmeli.html>
3. <http://www.tabula.ge/ge/story/58541-damzadebulia-saqartveloshi>
4. <http://www.economy.ge/uploads/gidg/samkervalo-sacarmo-1.pdf>
5. <http://israelife2012.blogspot.com/2012/11/israelis-traditional-clothes.html>
6. <http://doc.atsu.edu/geo/sadoqtoro%20disertacia/Disertacia-iCharkviani.pdf>
7. <http://www.economy.ge/uploads/gidg/samkervalo-sacarmo-1.pdf>
8. <http://www.dzglebi.ge/statiebi/etnografia/qartuli-nacionaluri-samosi.html>

ისრაელის ტრადიციული ტანსაცმლის საშუალებით შეგვიძლია ბევრი რამ გავიგოთ მისი მესაკუთრის შესახებ, მაგალითად გათხოვილია თუ არა ქალბატონი, რომელიც ატარებს ამ კაბას. ისრაელის სამხრეთით მდებარე ქალაქ ბეერ-შავაში, პატარძლები შემოსილი იყვნენ წითელ საქორწინე კაბებში, ქვრივები – ლურჯში, ხოლო თუ ქალი მეორედ თხოვდებოდა, მისი კაბა უნდა ყოფილიყო წითელი ყვავილებით მოქარგული. ტანსაცმლის თანხვედრით შეგვიძლია დაგვედგინა, ადგილობრივი იყო პირი თუ სხვა რეგიონიდან ჩამოსული. ქალთა კაბა მოგვითხრობს ისტორიასაც, მაგალითად, იერუსალიმში მკერდის მხარეს გამოსახულია ქანაანელების დროინდელი სიმბოლიკა, ხოლო ზურგის ნაწილში ჯვაროსნული ლაშქრობის პერიოდის აღნიშვნები, ასევე ვხვდებით ისლამურ დეტალებსაც. იერუსალიმის კაბა “გვესაუბრება” გარკვეული გრძობების შესახებაც, მაგალითად, მწუხარება აისახება მუქი ფერებით, ხოლო სიხარული ნათელით.

მთლიანობაში, ტანსაცმელი ეროვნული კულტურის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილია, რომელიც იქმნება ეროვნული ხასიათის, ცხოვრების წესისა და ბიოგეოგრაფიული გარემოპირობების საფუძველზე, ამიტომაც ტანსაცმლის ესა თუ ის ფორმა, მისი ძირითადი სახე, მხოლოდ გარკვეული ეთნოსისთვისაა დამახასიათებელი.

ქართული და ისრაელის ეროვნული ტანსაცმელი საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა და ამვე დროს სერიოზულ ცვლილებებს განიცდიდა, როგორც თავისი ბუნებრივი განვითარების საფუძველზე, ისე მეზობელ ხალხებთან ურთიერთობის შედეგად. მიუხედავად იმისა, რომ დროთა განმავლობაში მათი ხმარებიდან ამოღება და ევროპული სტილის ტანსაცმელით ჩანაცვლება მოხდა, საქართველო და ისრაელი კვლავ რჩებიან ქვეყნებად, სადაც ტრადიციული სამოსელი ბევრს გვეუბნება მათი ისტორიის და წარსულის შესახებ.

DAVIT BASILAIA, TATIA BIBILASHVILI, NIKOLOZ DVALISHVILI,
NIA TODUA, TEIMURAZ CHUBINIDZE

Technologies of Producing Traditional and Modern Clothing in Georgia and Israel

The traditional costumes in Georgia were formed by the influence of nature and way of life in this country. Georgian National clothes is one of the most important monuments. Despite the difficult historical conditions of our country, it was able to have its own development in the centuries with old traditions and artistic individuality. Every man was a warrior, a farmer and a shepherd at the same time and every woman was (and still is) a housewife. That's why national men costumes tend to be comfortable and warm, and women costumes in Georgia tend to be hooded and modest, but very beautiful and feminine.

Nowadays these rules are not so strict, but national clothing still displays Georgian traditions and laws. Israel culture would be unthinkable without its traditional clothing. Each area was different from the characteristic color of the dress. Traditional dress can tell a lot about the person who wear it, for example, if the girl is single or married. Both of the cultures have their own style and tell us a lot about their traditions.

მზის ენერგეტიკის ორგანიზაცია ისრაელსა და საქართველოში

მრეწველობის და ტექნიკის განვითარებით გამოწვეულმა ატმოსფეროს დაბინძურებამ, XXI საუკუნის დასაწყისში, კაცობრიობის წინაშე წარმოშვა გარემოს დაცვის უმნიშვნელოვანესი პრობლემები. ამ პრობლემების არსი მიმართულია გარემოს ხარისხობრივი მაჩვენებლების შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისაკენ, ადამიანის ჯანმრთელობის და საზოგადოების განვითარების უზრუნველყოფისკენ, ბუნებრივ რესურსებზე კონტროლის, მათი დაცვის, რეგულირებისა და რაციონალური გამოყენების პირობების უზრუნველყოფის მეშვეობით.

რესურსების რაციონალური გამოყენება და ეკოსისტემის დაცვა თანამედროვეობის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა, თუმცა გადაწყვეტა შესაძლებელია საყოფაცხოვრებო-კომუნალური, სამრეწველო და სოფლის მეურნეობის ენერგომომარაგების სისტემებში ახალი ტექნოლოგიების, გამოყენებით. აქედან გამომდინარე, საქართველოს რესურსების კომპლექსის ეფექტური განვითარებისა და ქვეყნის საიმედო ენერგოუზრუნველყოფის გზების ძიება, მათ შორის ალტერნატიული მეთოდების გამოყენების ეფექტურობის შესწავლა, მეტად აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს, რაც საქართველოს ენერგეტიკული დამოუკიდებლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. ნაშრომში გაანალიზებულია მსოფლიოში ენერჯის არატრადიციული მეთოდის გამოყენების პერსპექტივები და ინოვაციური ტექნოლოგიები, რომელთა გამოყენებაც აქტიურად მიმდინარეობს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. შესწავლილია საქართველოს არსებული მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები.

შესავალი

ენერჯის წარმოება ტრადიციული მეთოდებით, მასზე მზარდი მოთხოვნის გათვალისწინებით, დამლუპველად მოქმედებს დედამიწის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე. თბოელექტროსადგურები, გამოყოფენ ნახშირორჟანგს კოლოსალური რაოდენობით, რომელიც ინვევს სათბურის ეფექტს, რაც არის გლობალური დათბობის მიზეზი. გამოყოფილი აზოტისა და გოგირდის ოქსიდების რაოდენობა დიდია ძვირადღირებული გამწმენდი მონობილობების მუშაობის შემთხვევაშიც კი. ატმოსფეროში არსებულ წყალთან ოქსიდების ურთიერთქმედების შედეგად, წარმოიქმნება მჟავური წვიმები, რაც ინვევს: ტყეების გადაშენებას, თევზის მარაგების შემცირებას, მიწის ნაყოფიერების შემცირებას. მჟავე წყალში მძიმე მეტალებისა და მათი ნაერთების კონცენტრაცია მაღალია, რომელიც შემდგომში ხვდება სასმელ წყალში. კვიდე უფრო საშიში და არამდგრადია ატომური ელექტროსადგურები, რომლებიც გამოყოფენ დღეში დაახლოებით 26ტ რადიოაქტიურ ნარჩენებს, ასევე ავარიის შემთხვევაში, ატომური ელექტროსადგური წარმოადგენს საფრთხეს მთელი კაცობრიობისათვის.

ტრადიციული ენერგეტიკის მეორე დიდ პრობლემას წარმოადგენს, ნიალისეული რესურსების შეზღუდული მარაგები. მაგალითად, მეცნიე-

რთა გამოკვლევებით ურანის მარაგებს კაცობრიობა ამოწურავს 50 წლის განმავლობაში. ენერგეტიკულ რესურსებზე მზარდი მოხმარების პირობებში ახლო მომავალში მოსალოდნელია ენერგეტიკული კრიზისი, ამიტომ საჭიროა ალტერნატიული ენერჯის წყაროების მოძიება და მათი სრულყოფა.

დღეისათვის მზის ენერგეტიკას გააჩნია ყველაზე ფართო პერსპექტივები. მზე წარმოადგე-

მზის ენერგეტიკის პოტენციალი

ადამიანი უძველესი დროიდან ცდილობდა გამოეყენებინა მზის ენერჯია. ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვით მე-3 საუკუნეში, რომაელების მიერ ბერძენთა ერთ-ერთი უმდიდრესი ქალაქის სირაკუზის ალების მცდელობისას, არქიმედემ მტრის ხომალდების გასანადგურებლად გამოიყენა სარკეთა სისტემა, რის მეშვეობითაც შეძლო მათი ერთ-ერთი ხომალდის დაწვა, მზის ენერჯის ფოკუსირების გზით. ასევე ძველი ეგვიპტელები იყენებდნენ სარკეთა რთულ სისტემებს თავიანთი შენობების გასანათებლად, სპარსელები ათობდნენ წყალს მზის ენერჯის საშუალებით და სხვა.

პირველი სრულფასოვანი მზის ბატარეის პროტოტიპი 1883 წელს შექმნა ანრი ბეკერელმა. მისი ეფექტურობა მხოლოდ 1% შეადგენდა. დღეისათვის მათი ეფექტურობა საგრძობლად გაიზარდა და მერყეობს 20-40%-ის ფარგლებში. მართალია ყველაზე დიდი პოპულარობა აინშტაინის ფარდობითობის თეორიამ მოუტანა, მაგრამ ნობელის პრემია 1905 წელს მან მიიღო ფოტოეფექტის თეორიისათვის, რომელიც წარმოადგენს თანამედროვე მზის ბატარეის მუშაობის მექანიზმის პრინციპს.

მოკლედ განვიხილოთ ეს პრინციპი: მზის ელემენტში ენერჯის გარდაქმნა მიმდინარეობს ფოტოვოლტალური ეფექტის შედეგად, ნახევარგამტარებზე მზის გამოსხივების ზემოქმედების პროცესში. თავისი აგებულებით, მზის ელემენტი ნააგავს “ბუტერბროდს”, რომელიც შედგება ორი ნახევარგამტარი ფირფიტისაგან. გარე ფირფიტა შეიცავს ელექტრონების სიჭარბეს, ხოლო შიდა – ელექტრონების სიმცირეს. გარე ფირფიტაზე

ტექნოლოგია

მზის ენერჯია, რომელიც აღწევს დედამიწამდე ყოველი 40 წუთის განმავლობაში, საკმარისია იმისათვის, რომ დააკმაყოფილოს ყველა ენერგეტიკული მოთხოვნილება ერთი წლის განმავლობაში. ყოველ საათში დედამიწა იღებს 100 000 000 000 000 კვ/სთ ენერჯიას.

მზის ენერჯიას იყენებენ: განათების, სითბოს, ცხელი წყლის, ელექტროობის და გაგრილების უზრუნველსაყოფად; სახლების, ბიზნესის და ინდუსტრიული დანიშნულების ადგილებისათვის. მზის ენერჯიით სარგებლობის მრავალი ტექ-

ნს ეკოლოგიურად სუფთა ენერჯის ამოწურავს წყაროს, რომელიც კვებავს სიცოცხლეს დედამიწაზე. მზის ენერჯის რაოდენობა, რომელსაც იღებს დედამიწა ერთი კვირის განმავლობაში აღემატება: ნავთობის, გაზის, ქვანახშირისა და ურანის მარაგებში არსებული ენერჯის რაოდენობას ერთად. ამიტომ ამ დარგის განვითარების შემთხვევაში კაცობრიობა მიაღწევს ტექნოლოგიური განვითარების სრულიად ახალ საფეხურს.

ფოტონის მოხვედრის შედეგად, გამოდევნილი ელექტრონი მიემართება შიდა ფირფიტისაკენ, რაც წარმოქმნის ელექტროენერჯიას.

დღეისათვის კაცობრიობა მოიხმარს მხოლოდ 1/10 000 ნაწილს იმ ენერჯიისა, რომელსაც მზე ასხივებს დედამიწაზე. თუ ოდესმე შევძლებთ ამ ენერჯის 1% ათვისებასაც კი, კაცობრიობა მრავალი საუკუნის განმავლობაში არ დადგება ენერგეტიკული მომარაგების პრობლემების წინაშე. ეკოლოგიურად სუფთა და ამოწურავი მზის ენერჯია – არის დედამიწის ეკოლოგიური მდგრადობისა და ენერგეტიკის მომავალი.

თანამედროვე კოსმოსური მიღწევაა, მაგალითად სხვადასხვა ტიპის აპარატები, რომლებიც ენერჯიას იღებენ მზის ბატარეების საშუალებით. ასევე კოსმოსში არსებული ვაკუუმის თვისებების გათვალისწინებით, მეცნიერები მზის ენერგეტიკის განვითარების შორეულ პერსპექტივებს კოსმოსში მოიაზრებენ. ამიტომ, მიდის ბევრ ამბიციურ და სკეპტიკოსების აზრით, ფანტასტიკურ პროექტებზე მუშაობა. ძირითადი ცენტრებია: იაპონია, ამერიკა და ჩინეთი.

ერთ-ერთი პროექტია “ენერგეტიკული სენდვიჩი”, რომელიც წარმოადგენს “სენდვიჩის” მოდულების ერთობლიობას – მზის ბატარეების ისეთ ტიპს, რომელიც გარდაქმნის მზის სხივებს რადიოტალღებად. “სენდვიჩის” ერთი მხარე იღებს მზის ენერჯიას ფოტოელექტრონული პანელის საშუალებით, ცენტრში მოთავსებული დანადგარი გარდაქმნის ელექტროენერჯიას რადიოტალღებად, ხოლო მეორე მხარეს არსებული ანტენა აგზავნის მას დედამიწაზე, სადაც ხდება მისი მიღება და ისევ ელექტროენერჯიად გარდაქმნა.

ნოლოგია არსებობს, მათ შორის არის ფოტოელექტრონული სისტემები, რომლებიც ელექტროენერჯიას პირდაპირ მზის სინათლიდან აწარმოებენ, ამ დროს ხდება მზის ოპტიკურ დიაპაზონში ელექტრომაგნიტური გამოსხივების დაჭერა და მისი ელექტროენერჯიად გადრეკმნა.

არსებობს თერმოდინამიკური სისტემა, რომელიც იყოფა ორ ჯგუფად: თერმული დანადგარები არაკონცენტრირებულ მზის სხივებზე და თერმული დანადგარები კონცენტრირებული მზის სხივებზე. არაკონცენტრირებული მზის სხივების და-

ნადგარები ძირითადად საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის გამოიყენება. მათგან ყველაზე გავრცელებულია მზის ბრტყელი და ვაკუუმ-მილებიანი კოლექტორები. ბრტყელი კოლექტორები გარემოს ზეგავლენისაგან საიზოლაციო ღრუბლითაა დაცული, ამიტომ მისი მაღალეფექტიანობა მუშა ზედაპირზე დაცემული სხივების დახრის კუთხისა და რაოდენობის გარდა ატმოსფეროს ტემპერატურაზეცაა დამოკიდებული. ვაკუუმმილებიანი კოლექტორების ძირითადი პრინციპი კი ერთია, იგი წარმოადგენს ჰერმეტიკულად დახურულ მინის

ამპულებს, რომელშიც კოლექტორის მუშა ზედაპირია მოთავსებული.

კონცენტრირებული მზის სხივების თერმული დანადგარები ძირითადად ენერგოგენერაციისათვის გამოიყენება. მათ შორის ყველაზე გავრცელებულია სარკიანი ვაკუუმ-მილებიანი კოლექტორი, რომლის უკანა კედელზე მოთავსებულია ამრეკლი ზედაპირი – სარკე, რომლის მეშვეობითაც შეკრებილი მზის სხივები ეცემა მუშა ზედაპირის უკანა კედელს.

საერთაშორისო პრაქტიკა

გერმანიის მაგალითი

გერმანია ბოლო წლებში მასიურად იყენებს ალტერნატიული ენერჯის წყაროებს, მათ შორის ფართოდ გავრცელებულია მზის ენერგეტიკაც. გერმანიაში 1კვ/სთ-ის ღირებულება 29 ცენტია, ჩვეულებრივი ოჯახი წლიურად მოიხმარს საშუალოდ 3500 კვ/სთ ელექტროენერჯიას ანუ მათ სჭირდებათ დაახლოებით 1015 ევრო, ელექტროენერჯის ხარჯების გადასახდელად. ერთი ოჯახის მაგალითს თუ განვიხილავთ, მზის ენერჯის მოხმარების პირობებში, მათ მოუწევთ სახელმწიფოსგან წელიწადში მხოლოდ 875 კვ/სთ ელექტროენერჯის შესყიდვა, რაც დაახლოებით 254 ევროს უდრის. ანუ ოჯახი, რომელიც გერმანიის მასშტაბით მზის ენერჯიას აქტიურად მოიხმარს, ზოგავს ელექტროენერჯის 75%, ამ შემთხვევაში 760 ევროს.

იაპონიის მაგალითი

იაპონიაში ააშენეს ყველაზე ეკოლოგიური ქალაქი მსოფლიოში, ფუჯისავა. იქ არსებული ყველა

სახლი იყენებს მზის ენერჯიას, წყლის ხარჯი შემცირებულია 30%-ით, ხოლო საზოგადოებრივ ტრანსპორტად იყენებენ ელექტრომობილებს და ველოსიპედებს. ოქალაქის მოსახლეობა შეადგენს 3000 ადამიანს. პროექტის საერთო ღირებულებაა 500 მლნ აშშ დოლარი, მაგრამ დიდი ბიუჯეტის მიუხედავად ეს ინოვაციური, ეკოლოგიური ქალაქი ჯერ მხოლოდ დასაწყისია, რადგან კომპანია მიზნად ისახავს ფუჯისავას მოდელის მასობრივ გავრცელებას, რომელიც გულისხმობს ქალაქის ავტონომიურ და მყარ განვითარებას 100 წლის განმავლობაში.

ისრაელის მაგალითი

2015 წლის ივლისში, უდაბნო ნეგევში, ქალაქ ბერ-შევაში დაიწყო პროექტი “ასჰალიმ”. ეს არის ესპანეთისა და ისრაელის საერთო პროექტი, რომლის ბიუჯეტი შეადგენს 1 მლრდ აშშ დოლარს. ის გულისხმობს მსოფლიოში უდიდესი მზის ელექტროსადგურის აშენებას, რომელიც მოამარაგებს 69 000 სახლს ეკოლოგიურად სუფთა ენერჯიით.

სტატისტიკა და მწარმოებლები

მსოფლიოს უმსხვილესი ფოტოელემენტების მწარმოებლებია:

1. Yingli.
2. Trina Solar.
3. Sharp Solar.
4. Canadian Solar.
5. Jinko Solar

ცხრილი 1. ფოტოელემენტების ეფექტიანობა ტიპების მიხედვით

| ტიპი | ეფექტიანობის კოეფიციენტი |
|---------------------------------------|--------------------------|
| კაჟბადის | |
| Si (კრისტალური) | 24,7 |
| Si (პოლიკრისტალური) | 20,3 |
| III-V | |
| GaAs (კრისტალური) | 25,1 |
| GaAs (თხელაპკიანი) | 24,5 |
| ხალკოგენიდების საფუძველზე დამზადებული | |

| | |
|---------------------|------|
| CIGS (ფოტოელემენტი) | 19,9 |
| CIGS (სუბმოდული) | 16,6 |
| მრავალფენიანი | |
| GaInP/GaAs/Ge | 32,0 |
| GaInP/GaAs | 30,3 |

აღსანიშნავია, რომ მიმდინარეობს აქტიური მუშაობა ახალი თაობის ფოტოელემენტებზე, რომლებშიც ინტეგრირებული იქნება ნანოტექნოლოგიები, მათი ეფექტიანობა 85% მიაღწევს, ასევე

კომპანია Sharp Solar-ში შეიქმნა ახალი თაობის ფოტოელემენტები, რომელთა ეფექტიანობა 45%-ია, თუმცა ჯერ-ჯერობით მათი მასიური წარმოება არ მიმდინარეობს.

მზის ენერგეტიკა საქართველოში

საქართველოში მზის ნათების ხანგრძლივობის საკმაოდ მაღალი წლიური მაჩვენებელია. იგი ძირითადად დამოკიდებულია ღრუბლიანობაზე, რომელიც საქართველოში ზომიერია. მზის ნათების საშუალო წლიური ხანგრძლივობა 250-280 დღემდე მერყეობს და დაახლოებით 1360 სთ-დან 2500 სთ-მდე იცვლება. ეს მაჩვენებელი მაღალია შირაქის ველსა და გარდაბნის ვაკეზე, ხოლო დაბალი – აჭარის მიდამოებსა და კავკასიონის მაღალ მთიანეთშია.

საქართველოს ტერიტორიის გეოგრაფიული მდებარეობა, უფრო სწორად, მისი განედური განფენილობა უმნიშვნელოა (დაახლოებით 2,5 გრადუსი), რაც ვერ განაპირობებს მზის რადიაციის სერიოზულ ცვლილებას მის ჩრდილო და სამხრეთ ნაწილებს შორის. ამის გამო რადიაციის განაწილება ძირითადად დამოკიდებულია ღრუბლიანობაზე, ჰაერის სიმკვრივესა და გამჭვირვალობაზე.

ღრუბლიანობა საქართველოს ტერიტორიაზე არათანაბარი განაწილებით ხასიათდება. იგი გაცილებით მეტია დასავლეთ საქართველოში, რაც გამოწვეულია შავი ზღვის სიახლოვეთა და ნალექების დიდი რაოდენობით. ამიტომ ჯამური რადიაციის მინიმალური მაჩვენებლით ხასიათდება კოლხეთის დაბლობის სამხრეთი ნაწილი. საქართველოში მზის რადიაციას კარგად გამოხატული სეზონურობა ახასიათებს. ზაფხულში დღის მაქსიმალური ხანგრძლივობა და მზის სხივების დაცემის დიდი კუთხე შესაბამისად განაპირობებს ჯამური რადიაციის დიდ მაჩვენებელს, ზამთარში კი უმნიშვნელოს. საქართველოს ტერიტორიაზე მზის წლიური ჯამური გამოსხივება კვადრატულ მეტრზე 1250 – 1800 კვ/სთ-მდე მერყეობს, რაც დაახლოებით 120 ლიტრი დიზელი სანავის ან 130 კუბური მეტრი ბუნებრივი აირის ტოლფასია.

დღესდღეობით მზის ენერჯის გამოყენება საქართველოში ძირითადად სოფლის მეურნეობაში ხდება და იგი ეფექტიან შედეგს იძლევა. მზის ფოტოელექტრო სისტემები ეფექტურად გამოიყენება მდინარეებიდან, არხებიდან, ჭაბურღილებიდან სითხეების ამოსაქაჩად და დანიშნულებისამებრ გადასაწოდებლად. ამ მოწყობილობის გამოყენება განსაკუთრებით ეფექტიანია ისეთ ადგილებში სადაც არ არის გაყვანილი არხები და

მოსახლეობას ხელით უნევს ამ საქმის შესრულება. კახეთში აქტიურად დაიწყო ელექტროლობების გამოყენება, რაც მეცხოველეობაში წინაღობის ფუნქციას ასრულებს. იგი მცირე სიმძლავრის მტკივნეული დენის მოქმედებით აფრთხობს მის შემხებს, იქნება ეს ადამიანი, შინაური თუ მტაცებელი ცხოველი. თუმცა სამომავლო პერსპექტივაში იგეგმება ალტერნატიული ენერჯის სხვა დარგებშიც აქტიური გამოყენება. მაგალითად:

მზის ენერჯია მონასტრებში

საქართველოს საპატრიარქოს ოცდახუთზე მეტ მოქმედ მონასტერსა და სკიტში დამონტაჟდა ოცდაათამდე მზის მიკროელექტრო სისტემები. საერთო ჯამური სიმძლავრით 3000 ვტ. ეს მონასტრებია: ზარზმა, მარტყოფი, დავით გარეჯი, სამთავრო, შიო მღვიმე, ფოკა, უძლოური, სნო, გერგეთი, უბისი, ქოზიფა, მუხუნეთი, ქარმელი, ბანა, წყაროსთავი, კოდმანი, ბეთანია, ულუმბო, ფითარეთი, მარტვილი, კახი, ავლევი, დოდოს რქა. თითოეული სისტემის სიმძლავრეა 25-200 ვტ-მდე. ისინი გამოიყენება ტაძრების, სატრაპეზოების და სენაკების განათებისათვის.

მზის ენერჯია მაღალმთიან სოფლებში

ფშავ-ხევსურეთის და თუშეთის ოცდათხუთმეტამდე სოფელში: არდოტი, ანდაქი, არჭილო, ბახაო, ჭიმაღა, ხახაბო, გიორგნმინდა, ხონე, ზეისტეჩო, უკანახო, მათურა, ინო, ჭიჩო, ახადი, ვაკის სოფელი, ხოშარა, ჩალახევი, ელიაგზა, დიკლო, შენაქო, დართლო, კვავლო, დანო, ჭეშო, ფარსმა, ბოჭორნა და სხვებში 80-მდე კომლს დაუმონტაჟდა მზის მიკროელექტრო სისტემები. თითოეული სადგურის სიმძლავრე არის 40-120 ვტ-მდე. სადგურების საერთო ჯამური სიმძლავრე არის 4000 ვტ.

პროექტი "ბიოფერმა ახმეტა"

პროექტი "ბიოფერმა ახმეტა" წარმოადგენს უდანახარჯო მცირე სასათბურე მეურნეობის მოწყობის საშუალებას ნებისმიერი სოფლად მცხოვრები ოჯახისათვის მათივე ეზოს ფარგლებში. ვინაიდან სათბურის ძირითადი ხარჯები მის გათბობაზე მოდის, ამიტომ ამ ხარჯების დაზოგვა ხდება ბუნებრივად განახლებადი ენერჯიების მეშვეობით,

როგორცაა ქარის, მზის და ბიო-მასის ენერჯი-ბი. სწორედ ამ ენერჯიების გამოყენებით მიიღწე-ვა ნატურალური პროდუქტის მიღება.

დღეისათვის საქართველოში არსებული გა-ნახლებადი ენერჯიის წყაროების პოტენციალი ნაკლებად არის გამოყენებული. მეტი ინვესტი-

დასკვნა

როგორც ზემოაღნიშნულ თემაში განვიხილეთ, ენერჯიის წარმოება ტრადიციული მეთოდებით, მასზე მზარდი მოთხოვნის გათვალისწინებით, დამლუპველად მოქმედებს დედამიწის ეკოლო-გიურ მდგომარეობაზე, ასევე დიდ პრობლემას წარმოადგენს წიაღისეული რესურსების შეზღუ-დული მარაგები. ენერჯიის ალტერნატიული წყა-როები, კი ამ პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ სა-უკეთესო საშუალებას წარმოადგენს.

როგორც აღვნიშნეთ, მზის ენერჯეტიკას ამ კუთხით ყველაზე ფართო პერსპექტივები გაა-ჩნია. გამომდინარე იქედან, რომ დღეისათვის კაცობრიობა მზის ენერჯიის მხოლოდ 1/10 000 ნაწილს მოიხმარს, ამ გამოსხივების 1%-ის ათვი-სებაც კი მრავალი საუკუნის განმავლობაში მო-ამარაგებს კაცობრიობას ეკოლოგიურად სუფთა ენერჯით. საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ განახლებად ენერჯიის წყაროებზე მოთხო-ვნა ყოველდღიურად იზრდება. ჩვენი პროგნო-ზით მომდევნო წლების განმავლობაში ამ სფე-როში ტრილიონობით დოლარის ინვესტირება განხორციელდება, რაც საფუძვლიანად შეცვლის ელექტროენერჯიის მიღების გზებს.

მზის სხივების გამოყენებით მოპოვებულ ენ-ერჯიაზე ფასები შემცირებას განაგრძობს და ეს პროცესი გაგრძელდება მანამ, სანამ იგი უიაფეს

ციების მოზიდვით შესაძლებელია განახლებადი ენერჯიის წყაროებით წარმოებული ელექტროე-ნერჯიის გამოყენება რეგიონალური მასშტაბის სათბური გაზების ემისიის შემცირებისათვის და რაც მნიშვნელოვან ფონს შეუქმნის საქართვე-ლოს კიოტოს ოქმით განსაზღვრული გარემოსდა-ცვითი პროექტების დანერგვაში.

ნიშნულს არ მიაღწევს, რათა განვითარებადი ქვე-ყნების ბაზრებზე ადვილად დაიმკვიდროს ადგი-ლი. ასევე მოსალოდნელია ფოტოელექტრონული მზის სადგურების ღირებულების შემცირება, მი-უხედავად იმისა, რომ წიაღისეულზე ფასები დღი-თიდღე იზრდება.

დაბალი ფასები მზის ენერჯიას, ბაზარზე თითქმის უკონკურენტოს გახდის. ენერჯიის მო-პოვების ასეთი მარტივი და რაც მთავარია იაფი გზები საშუალებას მოგვცემს ელექტროენერჯიის მიღების ტრადიციული და უკვე მოძველებული გზები შეიცვალოს. განახლებადი ენერჯიის გამო-ყენებაზე გადასვლა აქტიურად მიმდინარეობს, თუმცა არც ისე სწრაფად, რომ გლობალური დათ-ბობის საფრთხე გაანეიტრალოს.

დაახლოებით 8 ტრილიონი დოლარის ინ-ვესტირება იგეგმება განახლებადი ენერჯიის პროექტებში. თუმცა, რაიმე სახის დამატებითი პოლიტიკის გატარების გარეშე, ენერჯოსადგუ-რებისაგან გამომუშავებული ნარჩენებით გამო-წვეული გლობალური დაბინძურება კვლავაც გა-გრძელდება და 2040 წლისათვის ის იქნება 13%-ით მეტი ვიდრე დღეს არის. ასეთი დაბინძურების მასშტაბები მნიშვნელოვნად გააუარესებს დედა-მიწის ეკოლოგიურ გარემოს, ამიტომ ამის შესაჩე-რებლად საჭიროა უფრო აქტიური მოქმედებები და ყოველი ქვეყნის ჩართულობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. <http://www.iaad.ge/files/pdf/alternatiuli%20energiis%20gamoyeneba%20soflis%20meurneobaSi.pdf>
2. <http://energynews.ge/tag/mzis-energia/>
3. <http://bpi.ge/index.php/akhali-revoluciuri-mzis-teqnologiebi-nebismier-shushis-panels-mzis-pane-lad-gadaaqcevs/>
4. <http://ecotec.ge/%E1%83%9B%E1%83%96%E1%83%94.php>
5. <http://www.ideahub.ge/solar-energy/>
6. <http://de.statista.com/statistik/daten/studie/172681/umfrage/verteilung-der-neu-installierten-leis-tung-der-solaranlagen-nach-laendern/>
7. <http://www.energy.gov.ge/investor.php?id=pages=21&lang=geo>
8. <http://www.ideahub.ge/solar-energy/>
9. <http://www.solarplaza.com/channels/archive/11293/top-10-worlds-best-performing-pv-stocks-in/>
10. <http://www.sonnenbatterie.de>
11. <http://www.solaranlage-info.de/arten-von-solaranlagen/>
12. <http://www.solarbat.info/istoria-razvitia-solnechnoi-energetiki>
13. <http://365-tv.ru/index.php/stati/istoriya-tv/203-evolyutsiya-solnechnoj-batarei-ot-arkhmeda-do-nashikh-dnej>

14. <https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A1%D0%BE%D0%BB%D0%BD%D0%B5%D1%87%D0%BD%D0%B0%D1%8F-%D0%B1%D0%B0%D1%82%D0%B0%D1%80%D0%B5%D1%8F>
15. <http://hi-news.ru/space/solnechnaya-energiya-iz-kosmosa-energetika-budushhego.html>

SABA BERIASHVILI, MARIAM MCHEDLIDZE,
TONY DZNELADZE, YULIA JANASHVILI

Solar Energy Organization in Israel and Georgia

Nowadays, industrial and technological development causes pollution, which is the most important ecological problem of the humanity. We should solve this problem by improving efficiency of the new ecological technologies, but it needs the huge investments.

Rational use of resources and the health of the ecosystem is one of the most active problem, however it can be solved by integration the new energy saving techniques in industry, agriculture and utility systems. Therefore, a reliable energy supply and the development of resources for effective ways is the main reasons for country energy independence so every government is interested in developing alternative energy sources.

Today the solar energy has the biggest potential to change traditional ways of using energy and in our work we will try to show how the society will solve the problems connected with deficient in energy and the pollution.

ისრაელის მიერ საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და მათი გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე

ნაშრომში განხილულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (პუი) მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკისთვის. ამჟამად ინვესტიციები ეკონომიკურ ლიტერატურაში ერთ-ერთი ხშირად გამოყენებული კატეგორიაა, როგორც მაკრო, ისე მიკრო დონეზე. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები კი, ეს არის უცხო ქვეყნის აქტივების შექმნა მათი კონტროლის განხორციელების მიზნით. მათ ადგილი აქვთ მაშინ, როცა ფირმა აბანდებს ფულს უცხოეთში პროდუქტის ან მომსახურების სანარმოებლად და გასაყიდად. ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოს და ისრაელის სახელმწიფოს მაგალითები. მათი მიღწევები და პოტენციური ინვესტიციების მოზიდვის მხრივ, ისრაელის სახელმწიფოს ქმედებები საკუთარი სახელმწიფოსათვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად და მათ მიერ განხორციელებული ინვესტიციები საქართველოში.

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებამ და მსოფლიო რუკაზე ადგილის დასამკვიდრებლად ბრძოლამ, ბევრი წარმატებაც და წარუმატებლობაც მოუტანა ქვეყანას. ეკონომიკური განვითარება თანამედროვე სამყაროში შეუძლებელია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის გარეშე, საქართველო პარალელურად ცდილობს დაიკავოს მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში თავისი ადგილი. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად ქვეყანამ უკვე განახორციელა ბევრი საინტერესო პროექტი, როგორებიცაა საკანონმდებლო ინიციატივები, უსაფრთხო და მშვიდი გარემოს შექმნა ბიზნესისათვის, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და სხვ.

საქართველოს კანონმდებლობაში უმნიშვნელოვანესია კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“. ამ კანონის მიზანია ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობა ინვესტიციების დაბანდებისა და სამეწარმეო საქმიანობისთვის აუცილებელი პროცედურების გაუმჯობესებითა და დამატებითი სამართლებრივი რეჟიმის შექმნით. იგი ვრცელდება ნებისმიერ უცხოურ და ადგილობრივ ინვესტიციაზე, რომელსაც დააბანდებენ და გამოიყენებენ საქართველოს ტერიტორიაზე. ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერას უზრუნველყოფს საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო, რომელიც არის სახელმწიფოს წარმომადგენელი ინვესტორებთან ურთიერთობაში. სააგენტოს საქმიანობის კონტროლს ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. სააგენტო უწევს ინვესტორს მომსახურებას საინვესტიციო საქმიანობისათვის საჭირო ყველა ლიცენზიის, ნებართვის აღებაში ან სხვა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებაში. ეს მომსახურება ფასიანია (გამონაკლისს წარმოადგენს განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიცია) და მომხმარებლის საფასურს განსაზღვრავს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.

საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წლიდან წლამდე იზრდება, თუმცა უნდა აღინშნოს მრავალი გარემოება, რომლებმაც ხელი შეუშალეს ინვესტიციების მოზიდვას ბოლო წლების მანძილზე. როგორც მოგვეხსენება, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები არის ის ძირეული

ინსტრუმენტი, შესაძლებელია ეკონომიკური ზრდის მიღწევა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ხელს უწყობს მოსახლეობის ცხოვრების დონის გაზრდას, დადებით გავლენას ახდენს სამუშაო ადგილებსა და ფასების დონეზე. პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით ქვეყანაში იქმნება დამატებითი სამუშაო ადგილები, იზრდება წარმოება, ბაზარზე ჩნდება მრავალფეროვანი პროდუქტი თუ მომსახურება, იზრდება კონკურენცია, ეს კი თავის მხრივ არეგულირებს ბაზარზე ფასების დონეს და მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომს ხდის მომსახურებას თუ პროდუქტს. გასათვალისწინებელია, რომ მიმღები ქვეყნის მიზანია, რაც შეიძლება მეტი სარგებელი მიიღოს ინვესტიციების მეშვეობით შექმნილი ღირებულებიდან. თუმცა, სარგებლის მიღება განსაზღვრული დონით დამოკიდებულია მიმღები ქვეყნის სახელმწიფო პოლიტიკასა და ინვესტორების

სტრატეგიაზე. რაც უფრო მცირეა კავშირი ინვესტორსა და ადგილობრივ ეკონომიკას შორის, მით რთულდება იმის გარკვევა კონკრეტულად რა სჭირდება მიმღებ ქვეყანას პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვით. ამგვარად, პუი-ს აქვს შესალებლობა გაზარდოს მიმღები ქვეყნის კონკურენტუნარიანობა, მაგრამ, მისი გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე განსხვავებულია და დამოკიდებულია არა მხოლოდ პუი-ის მოტივაციებზე, არამედ მიმღები ქვეყნის მახასიათებლებზე.

რიგი კვლევების მიხედვით შესაძლებელია მოვახდინოთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლასიფიცირება, თავად ინვესტიციების მიზნიდან გამომდინარე.

გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის მიხედვით, უცხოური ინვესტიციების კლასიფიცირება ეკონომიკური ფაქტორების მიხედვით შემდეგია:

| რესურს მაძიებელი | გასაღების ბაზრის მაძიებელი | ფექტურობის მაძიებელი |
|---------------------------------|----------------------------|--|
| დაუმუშავებელი რესურსები | ბაზრის ზომა | შრომის დანახარჯები წარმოების პროცესში |
| ფიზიკური ინფრასტრუქტურა | ბაზრის ზრდის მაჩვენებელი | შრომითი რესურსების კვალიფიკაციის საერთო დონე |
| წარმოების შემავსებელი ფაქტორები | რეგიონალური ინტეგრაცია | სავაჭრო პოლიტიკა |

საქართველოსა და ისრაელს შორის ეკონომიკური ურთიერთობები დაიწყო დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პირდაპირი ვაჭრობის, ასევე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება საქართველოში ისრაელიდან წლიდან წლამდე იზრდებოდა. აშკარაა ისიც, რომ ისრაელი არ ყოფილა იმ ქვეყნების მონიწივე პოზიციებზე, რომლიდანაც ვიღებდით ყველაზე დიდი პირდაპირი უცხოური ინვესტიციებს. აღსანიშნავია ის რომ, ისრაელი მსოფლიოში გამოირჩევა ეკონომიკური სტაბილურობით და საინფორმაციო სისტემებისა და ულტრათანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ეკონომიკის ყველა სფეროში. ამიტომაც საქართველოსათვის უმნიშველოვანესია თანამედროვე წარმოებების შექმნა ახალი ტექნოლოგიების დანერგვითა და ინფორმაციული სისტემების განვითარებით. არ არის გასაკვირი, რომ ისრაელი არის მსოფლიოში მონიწივე ქვეყანა, სოფლის მეურნეობით, როდესაც ქვეყანას ძალიან ცოტა ბუნებრივი რესურსები გააჩნია. ისრაელი არის ქვეყანა, რომელმაც მსოფლიოში პირველად, ინოვაციები დანერგა სოფლის მეურნეობაში და ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით შეძლო მიეღო მაღალი რენტაბელურობის სოფლის მეურნეობა, რაც პრაქტიკაში სხვა თანამედროვე ქვეყნებმაც კი ვერ განახორციელეს.


ბოლო წლების მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისრაელსა და საქართველოს შორის ეკონომიკური თანამშრომლობა ახალ ფაზაში გადადის და მეტი ინტერესები ჩნდება

ორივე მხარისათვის. ქვეყნის მთავრობის ხელშეწყობით გაიმართა ისრაელ-საქართველო ბიზნეს-პალატის შეხვედრა, სადაც ბიზნეს-პალატის ხელმძღვანელმა განაცხადა რომ, საქართველოს აქვს პოტენციალი ყოველწლიურად ისრაელიდან 250 მილიონის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია მოიზიდოს. ისრაელის კომპანიების მთავარი დაინტერესების სფეროებია, უძრავი ქონება, სოფლის მეურნეობა და ფინანსური ინსტიტუტები. სტატისტიკის მიხედვით, 2014 წელს ისრაელიდან პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა საქართველოში შეადგინა 16 მლნ აშშ დოლარი, 2015 წელს კი ინვესტიციების მოცულობა 30 მილიონამდეა გაზრდილი. ამასთანავე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ სოფლის მეურნეობის სფეროში განხორციელებულმა არაპირდაპირმა ინვესტიციებმა საქართველოში საკმაოდ პოზიტიური შედეგები მოიტანა და განავითარა სასათბურე მეურნეობები. მნიშვნელოვანია ორ ქვეყანას შორის სავაჭრო პოტენციალის ზრდის ტენდენციაც, როდესაც 2012-2013 წლებში ორმხრივი ვაჭრობის მონაცემები 82 მლნ აშშ დოლარიდან 129 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა. უმსხვილესი სამი ინვესტორი ქვეყნის წილმა მთლიან პირდაპირ უცხოური ინვესტიციებში 2014 წლის დაზუსტებული მონაცემების მიხედვით, 52 პროცენტი შეადგინა. ქვეყნების პროცენტულ სტრუქტურას განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით გვიჩვენებს სექტორული დიაგრამა, რომლის მიხედვით პირველ ადგილზე ნიდერლანდები იმყოფება 21 პროცენტით, მეორეზე - აზერ-

ბაიჯანი 19 პროცენტით, ხოლო მესამეზე - ჩინეთი 12 პროცენტით.

რაც დაემატა ვალუტის გაუფასურებას, ესენია: რეგიონში არამდგრადი გარემო, რომელიც ასევე

უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების წილი 2014 წელს



ცხადია, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციებს გარდა ეკონომიკის ზრდის ტემპზე ქვეყანაში მოქმედებს როგორც გარე, ისე შიდა ფაქტორები. ყველასათვის ცნობილია, რომ 2014 წელს დაიწყო და დღესაც გრძელდება საქართველოს ეროვნული ვალუტის გაუფასურება, რამაც დიდი გავლენა მოახდინა ინვესტიციების განხორციელებაზე. არსებობს მთელი რიგი პრობლემებისა,

აისახება საქართველოზე, საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორებთან მდგომარეობის შეცვლა, ექსპორტის შემცირება და სხვა მრავალი ფაქტორი. მნიშვნელოვანია წინა წლების მონაცემების გაანალიზება, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წლების მიხედვით, რაც საშუალებას მოგვცემს უფრო ნათლად დავინახოთ საერთო შედეგი. (ცხრილი #1)

ცხრილი #1

| პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში ეკონომიკის სექტორების მიხედვით | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 |
|--|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|
| სულ | 814.496 | 1.117.224 | 911.564 | 941.902 | 1.758,422 |
| სოფლის მეურნეობა, თევზჭერა | 8,631.9 | 14,907.6 | 16,119.3 | 11,857.4 | 12,290.3 |
| სამთომომპოვებითი მრეწველობა | 53,435.9 | 40,219.6 | 4,862.2 | 43,704.9 | 42,781.5 |
| დამამუშავებელი მრეწველობა | 175,334.5 | 120,339.7 | 167,906.5 | 99,765.1 | 205,417.4 |
| ენერჯეტიკა | 21,877.9 | 203,951.6 | 179,402.6 | 244,745.1 | 189,945.0 |
| მშენებლობა | 4,705.9 | 48,112.2 | 41,839.2 | 49,847.5 | 316,588.1 |
| სასტუმროები და რესტორნები | 17,121.8 | 22,705.6 | 17,652.3 | -13,360.1 | 124,851.8 |
| ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა | 215,116.2 | 126,517.2 | 72,828.9 | 140,104.4 | 433,654.7 |
| ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება | 1,182.4 | 16,827.0 | 17,550.8 | 720.0 | -9,507.6 |
| უძრავი ქონება 1 | 119,253.0 | 224,776.3 | 52,805.6 | 42,294.6 | 138,654.8 |
| საფინანსო სექტორი 2 | 107,406.4 | 167,701.8 | 162,552.2 | 166,386.3 | 115,322.6 |
| დანარჩენი სექტორები 3 | 90,430.7 | 131,185.5 | 178,044.8 | 155,837.4 | 188,424.2 |

დასკვნა

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა საქართველოსათვის, როგორც განვითარებადი სახელმწიფოსათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ამიტომაც ქვეყნის სტრატეგია უნდა იყოს ინვესტირებისათვის თავისუფალი საბაზრო სისტემების შექმნა, ბიუროკრატიული ბარიერების შექმნის გარეშე და მათი წახალისება, როგორც საკანონმდებლო ისე საინვესტიციო პოლიტიკის მეშვეობით. ისრაელი არის სახელმწიფო, რომელმაც შეძლო ურთულესი გეოპოლიტიკურ სიტუაციაში შეექმნა გამართული და თანამედროვე სტანდარტების ეკონომიკური სისტემა, რომელიც სტაბილურობითა და განვითარების მაღალი დონით გამოირჩევა, ამიტომ საქართველომ უნდა გამოიყენოს ებრაელი ხალხის გამოცდილება და მათ მერ განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების მეშვეობით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (პირდაპირი უცხოური ინვესტიციები).2014
2. სახელმწიფო სამსახურის „საქართველოს ეკონომიკური მიმოხილვა 2015“
3. <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=2>
4. <http://www.iset-pi.ge/index.php/ka/>
5. <http://www.economy.ge/ge/economic-sectors/foreign-direct-investments>
6. <https://idfi.ge/ge/georgia-2020-and-foreign-direct-investments>
7. <https://matsne.gov.ge/>
8. <http://gfsis.org/media/download/EJSEF/Tamar-Dadiani.pdf>
9. <http://www.business-magazine.ge/ge/12/library/243/>გლობალიზაცია-პირდაპირი-უცხოური-ინვესტიციები

TORNIKE BERIDZE, SHOTA GABADADZE,
JULIETTA OQROMCHEDLISHVILI, VAKHTANG CHARAIA

Israel's Foreign Direct Investments in Georgia and their Impact on the Economy

The study is about the meaning of direct investments in the country's economy. Currently investment in the economic literature is one of the frequently used category, both macro and micro levels.

Direct foreign investments is purchase of foreign assets in the implementation of their control. They occur when a firm is investing money abroad in the production and sale of the product or service. The factors depended on direct investments.

The paper presents the examples of Republic of Georgia and State of Israel. Their achievements and potential to attract investment, the State of Israel in their own state in attracting direct foreign investments and investments in Georgia.

ენერგოსისტემების განვითარება საქართველოსა და ისრაელში

რეზიუმე: თემა ეხება საქართველოსა და ისრაელის ენერგოსისტემებს და მათ განვითარებას. ჩვენ ძირითადად განვიხილავთ ელექტროენერგეტიკის მიმართულებას. ელექტროენერგეტიკის ძირითადი ელემენტია ელექტროსადგური. საქართველოში უპირატესობა ენიჭება ჰიდროენერგეტიკის განვითარებას. ამ სექტორში ელექტროენერგია ინარმოება ჰიდროელექტროსადგურებზე. საქართველოს მთავრობის პრიორიტეტულ მიზანს სწორედ ჰიდროენერგეტიკის განვითარება წარმოადგენს. ელექტროენერგიის წარმოება საქართველოში 1887 წელს დაიწყო. ჩვენს ქვეყანაში არის შესაბამისი პირობები ენერგეტიკის სფეროს განვითარებისათვის, დიდი და მცირე ჰესების მშენებლობისათვის, მაგრამ რამდენად სასიკეთოა მსგავსი პროექტები გარემოსა და კლიმატისათვის, ეს სადავო საკითხია. საქართველოს ასევე დიდი პოტენციალი აქვს ენერგიის სხვა წყაროების გასაგვითარებლად. ქვეყანაში ქარის სადგურებისათვის გამოსადეგი ადგილები არსებობს. მზის ენერგიის საშუალებით ჩვენ შეგვიძლია დავზოგოთ დეფიციტური ბუნებრივი რესურსები, შევამციროთ მავნე ნივთიერებების გამოყოფა და გარემოს დაბინძურება. საქართველოსთვის განსაკუთრებით საინტერესოა ცხელი ბუნებრივი წყლები. მათი მეშვეობით ენერგიას მსოფლიოს 20-ზე მეტი ქვეყანა იღებს. რაც შეეხება ისრაელს, აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მზის ენერგიის გამოყენებას. მზის ენერგიას სახლის სახურავებზე დამონტაჟებული ბატარეებიდან იღებენ. მსოფლიოში ყველაზე დიდი მზის ბატარია სწორედ ისრაელშია. ისრაელი ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ელექტროენერგიის განვითარებას. იგი გამოიმუშავებს ჭარბ ელექტროენერგიას და, შესაბამისად, არ ყიდულობს მას სხვა ქვეყნებიდან.

შესავალი

ენერგეტიკა ადამიანის სამეურნეო-ეკონომიკური საქმიანობის ის სფეროა, რომლის დანიშნულებაცაა ენერგიის პირველადი წყაროების გადამუშავება და ისეთი წყაროების/პროდუქტის მიღება, როგორცაა, მაგალითად, ელექტროენერგია ან თბოენერგია. ენერგეტიკულ სისტემებს განეკუთვნებიან: ელექტროენერგეტიკული, ნავთობისა და გაზის, ნახშირის მრეწველობის, ბირთვული ენერგეტიკა და სხვა. საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეებს შორის პირველ ადგილზე დგას წყალი და წყალთან დაკავშირებული რესურსი – ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი (მდინარეები, ტბები, წყალსაცავები, მყინვარები, მიწისქვეშა წყლები, ჭაობები) ქვეყნის მთლიანი ფართის გათვალისწინებით მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზეა. ელექტროენერგიის წარმოება საქართველოში 1887 წელს დაიწყო.

საქართველოს ელექტროენერგეტიკა

ჩვენ ძირითადად განვიხილავთ ელექტროენერგეტიკის მიმართულებას, რომლის დანიშნულებაცაა ელექტროსადგურებზე ელექტროენერგიის წარმოება და ელექტროგადამცემი ხაზების საშუალებით მისი მომხმარებ-

ლისათვის მიწოდება. ელექტროენერგეტიკის ძირითადი ელემენტია ელექტროსადგური. ელექტროსადგურების კლასიფიკაცია ხდება იმის მიხედვით, თუ რა სახის პირველადი რესურსი გამოიყენება და რა სახის გარდამქმნელებით ხორციელდება პირველადი რესურსის გადამუშავება მეორად რესურსად. ცხადია, ქვეყანაში იმ რესურსს ენიჭება უპირატესობა რა სახეობის პირველადი რესურსითაცაა მდიდარი ეს ქვეყანა. სწორედ ამიტომ საქართველოში უპირატესობა ენიჭება ჰიდროენერგეტიკის განვითარებას. ამ სექტორში ელექტროენერგია იწარმოება ჰიდროელექტროსადგურებზე (ჰესი), რომლებიც ამისათვის წყლის ნაკადის ენერჯის გამოიყენებენ. ჰესების მშენებლობით წყდება წყლის რესურსების კომპლექსურად გამოყენების საკითხი, თუმცა ხანდახან მათი გარემოზე ზემოქმედება ძალზე მნიშვნელოვანია და საჭიროებს სპეციალური, ძვირადღირებული ღონისძიებების განხორციელებას.

საქართველოს სახელმწიფოებრივი ენერგეტიკული პოლიტიკის შესაბამისად, ენერგეტიკის სამინისტროს პრიორიტეტია განახლებადი და ალტერნატიული ენერჯის წყაროების უპირატესი ათვისებისა და ენერგეტიკის სფეროში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა, ასევე, სხვადასხვა პროექტებისა და პროგრამების შემუშავებისას ბუნების დაცვის უზრუნველყოფა და ეკოლოგიური ასპექტების მაქსიმალური გათვალისწინება. ქვეყანაში არსებული ალექტროენერჯის მაღალი გამომუშავების პოტენციალისა და რეგიონში მზარდი მოთხოვნის გამო, განისაზღვრა ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები:

- მეზობელი სახელმწიფოების ენერგეტიკულ სისტემებთან დამაკავშირებელი ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია;
- ახალი ელექტროგადამცემი ხაზების და ქვესადგურების მშენებლობა;
- ახლადმშენებული და არსებული ჰესების მიერ გამომუშავებული ჭარბი ელექტროენერჯის ექსპორტზე გატანა.

ენერგეტიკული სექტორის მარეგულირებელი ორგანო არის საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია, კომისიის საქმიანობის დაფინანსების ძირითადი წყაროა ლიცენზიანტების, იმპორტიორების, მიმწოდებლებისა და ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის მიერ გადახდილი რეგულირების საფასური. მმარეგულირებელი კომისია გასცემს ნარმოების შესაბამის ლიცენზიებს, ასევე ამტკიცებს ტარიფების მეთოდოლოგიას. აღსანიშნავია, რომ 13 მგვტ-ზე მცირე ელექტროსადგურებს ნარმოების ლიცენზია არ ესაჭიროებათ. საქართველოში 13 ნარმოების ლიცენზიანტი და 25 მცირე სიმძლავრის ჰესი ფუნქციონირებს. აქედან მხოლოდ შპს

“ენგურჰესი” და შპს “ვარდნილჰესი” რჩება სახელმწიფო საკუთრებაში.

მომხმარებლების ელექტროენერჯით უზრუნველყოფას სამი გამანაწილებელი კომპანია ახორციელებს: სს “თელასი” ამარაგებს თბილისსა და მის მიმდებარე ტერიტორიას, სს “კახეთის ენერგოდისტრიბუცია” – კახეთის რეგიონს, ხოლო სს “ენერგო-პრო ჯორჯია” – ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიას. სს “საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა” არის ერთადერთი დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტი. ის პასუხისმგებელია საქართველოს ენერგოსისტემის ოპერატიულ მართვაზე. ელექტროენერჯის ექსპორტის და საქართველოს ჰიდროპოტენციალის ათვისების ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფომ მიიღო გადაწყვეტილება, გააძლიეროს ტრანსსასაზღვრო მაღალი ძაბვის გადამცემი სისტემა. ამ მიზნით 2010 წელს დაიწყო 500/400 კვ მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის (შავი ზღვის ეგზ) მშენებლობა თურქეთ-საქართველოს შორის, რომლის მთლიანმა ღირებულებამ შეადგინა 260 მლნ ევრო. გარდა ამისა, იგეგმება 500 კვ ხაზის მშენებლობა აზერბაიჯანთან და 400 კვ ხაზის მშენებლობა სომხეთთან. ზემოაღნიშნული პროექტების დასრულების შემდეგ საქართველო რეგიონის უმნიშვნელოვანესი ელექტროენერგეტიკული კვანძი გახდება. სადღეისოდ საქართველოს ენერგეტიკული ბალანსი შემდეგნაირია:

- ჰიდროელექტროსადგურები – 9 მლრდ. 378 მლნ კვტ. საათი;
- თბოელექტროსადგურები – 996 მლნ კვტ. საათი;
- იმპორტი ზამთრის თვეებში – 227 მლნ კვტ. საათი.

სამაგიეროდ, ზაფხულის თვეებში საქართველოს გააქვს ექსპორტზე გარკვეული რაოდენობის ელექტროენერგია. დიდი და საშუალო თბო და ჰიდროელექტროენერგეტიკის მონაცემების გათვლებით, დღეს საქართველოში 3300 მეგავატზე მეტი დადგმული სიმძლავრეა, აქედან, ჰიდროებზე მოდის დაახლოებით 2700 მეგავატი, ხოლო 600 მეგავატი – თბოელექტროსადგურებზე. ქართული ენერგეტიკის სიმძლავრეებს ემატება უკვე მშენებარე შუახვეჰესი, რომელიც 178 მეგავატიანია, მშენებლობის პროცესშია სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მდინარე ფარავანზე 85 მეგავატი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური. ჰესის წლიური გამომუშავება 420 მლნ კვტ. საათია. ისიც უნდა ითქვას, რომ არსებული ჰიდროელექტროსადგურების ნაწილი მოითხოვს რეაბილიტაციის სამუშაოებს, რაც ბევრად გაზრდის ელექტროენერჯის ნარმოებას.

საქართველოში, რომელსაც საკმაოდ ბევრი მდინარე გააჩნია, მცირე და საშუალო ჰესების მშენებლობის შესანიშნავი პირობები არსებობს რამდენიმე ათეული მილიარდი კილოვატ/საათი

ელექტროენერჯის პოტენციალით. გიგანტური ჰესების მშენებლობა კი ქვეყნისათვის სიკეთის მომტანი არაა. ბოლო პერიოდში დიდი დისკუსია გამოიწვია ხუდონჰესის მშენებლობის დილემად ქცეულმა თემამ. გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ მონვეული ნიდერლანდელი ექსპერტების დასკვნის მიხედვით ხუდონჰესის მიმართ უნდა მომზადდეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ჩამონათვალი დეტალური აღწერითა და მდგომარეობის მითითებით, რის შემდეგაც უნდა გაკეთდეს მოქმედების გეგმა. ასევე, საჭიროა, რომ განხორციელდეს გეოლოგიური საფრთხეების სრული შეფასება, მათ შორის, სეისმური რისკები, ეროზია, ბუნებრივი ფერდობებისა და კაშხლის ფუნდამენტის სტაბილურობა. დასათვლელია პროექტისგან მოსალოდნელი რისკებისა

საქართველოს ენერგოპოლიტიკა

საქართველოს ენერგოპოლიტიკის საკმაოდ პროგრესული მიზნები გაგებულია როგორც თავისთავად ენერგორესურსების არსებობა და საქართველოს საექსპორტო პოტენციალის განვითარება. საქართველოს მთავრობა ცდილობს, ქვეყანას გაუკეთოს პოზიციონირება, როგორც უახლოეს მომავალში რეგიონში წამყვან ენერგო-ექსპორტიორ ქვეყანას. საექსპორტო ქვეყნად გადაქცევის ერთ-ერთ წინაპირობად ელექტრო-გადამცემი ხაზების მშენებლობაა როგორც თურქეთის, ასევე სომხეთისა და აზერბაიჯანის მიმართულებით. საქართველოს მთავრობის მიერ ჰიდროენერგეტიკის განვითარება პრიორიტეზი-

ენერჯის სხვა წყაროები

მნიშვნელოვანია, რომ ყურადღება გავამახვილოთ განახლებადი ენერჯის სხვა წყაროების შესახებ, რომელთა გამოყენებამაც ტექნოლოგიების დანერგვის წყალობით მსოფლიოში დიდი პერსპექტივები შეიძინა. საქართველოსთვის განსაკუთრებით საინტერესოა თერმული წყლები. ამჟამად გეოთერმული ელექტროსადგურებით ენერჯიას მსოფლიოს 20-ზე მეტი ქვეყანა იღებს. ცხელი ბუნებრივი წყლები, ანუ თერმული წყლები საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიმდიდრეა. მათი უდიდესი ნაწილი აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონასა და კოლხეთის დაბლობის ტერიტორიაზე გვხვდება. საქართველოში არსებული 50 თერმული ჭაბურღილიდან უმეტესობა არამუშა მდგომარეობაშია და ასევე, არც ერთი არაა გამოყენებული ელექტროენერჯის საწარმოებლად. გეოგანტური ჰესების მშენებლობის ნაცვლად, სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ბევრად რენტაბელური იქნება ყველასათვის, თუ ბურღვითი სამუშაოები განხორციელდება 6000-7000 მეტრის სიღრმეზე. მოპოვებული შიგთავსი იძლევა იმის საშუალებას, რომ ყოველ პროდუქტიულ ჭაბურღილზე ვიქონიოთ თბოელექტროსადგური, რომელიც იმუშავებს ორთქლზე და ორგანული

და სარგებლის ბალანსი, გარემოს დეგრადაცია, ფლორისა და ფაუნის განადგურება. ხუდონჰესი სიდიდით მეორე ჰიდროელექტროსადგური იქნება საქართველოში ენგურჰესის შემდეგ, გამომუშავებული ელექტროენერჯის 9% დარჩება საქართველოში, 91%-ის ექსპორტი იგეგმება თურქეთში. გიგანტური ჰესებით გამოწვეულ ეკოლოგიურ ზიანზე ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმ მძიმე გამოცდილებიდან, რომელიც უკვე გავგაჩნია. ლეჩხუმში 1960 წლიდან უკვე ფუნქციონირებს ლაჯანურჰესი, რომელმაც ულამაზეს მელვინეობის მხარეს უმძიმესი პრობლემები შეუქმნა. ცაგერის რაიონის 58 სოფლიდან 57 დამენყრილია, იქ მცხოვრებ 900-ზე მეტ ოჯახს კი უპირობო გადასახლება სჭირდება. მენყერი, ღვარცოფი და წყალდიდობა ლეჩხუმს ყოველწლიურად ანგრევს.

რებულია და ხშირად სხვადასხვა საერთაშორისო ფორუმებზე საქართველოს მთავრობა ჰიდროენერგეტიკის განვითარებას წარადგენს როგორც ქვეყნის განვითარების "სუფთა გზას". ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია საქართველოს მთავრობისათვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს, არ მიმდინარეობს სრულმასშტაბიანი კვლევები, თუ რა ზეგავლენა ექნება კლიმატის ცვლილებას მდინარეთა რეჟიმზე. ასევე, ახალი რეზერვუარების მშენებლობის დაწყებამდე აუცილებელია სათანადო კვლევების ჩატარება უკვე არსებულ კაშხლებზე.

სანვაჯი აღარ გახდება საჭირო. ამ გზით ქვეყნის ენერგეტიკა მომძლავრდება და შეჩერდება ბუნების განადგურება.

აუცილებლად უნდა ვისაუბროთ მზის ენერჯის, როგორც უშრეტი და მყისიერი წყაროს გამოყენებასა და პოტენციალზე. სპეციალისტების გათვლებით, საქართველოში ყოველ კვადრატულ მეტრზე წელიწადში 1300 კვტ.სთ მზის ენერჯია ხვდება, რაც დაახლოებით 120 ლიტრ დიზელის სანვაჯს ანუ 130 კუბ. მეტრ ბუნებრივ აირს უტოლდება. მზის ენერჯის მრავალმხრივი გამოყენება შეიძლება: შენობების გასათბობად და განათებისთვის, ინდუსტრიული და კომერციული დანიშნულებით. მზის ენერჯით ხდება დეფიციტური ბუნებრივი რესურსების დაზოგვა და მავნე CO₂-ის გამოყოფის შემცირება. სადღეისოდ საქართველოს ოცზე მეტ მონასტერში დამონტაჟდა მზის მიკროელექტროსადგური და მათი საშუალებით შესაძლებელი გახდა ტაძრების, სატრაპეზოების განათება. დუშეთის, ახმეტის, გუდაურის რაიონში, მთა-თუშეთის, ხევსურეთისა და ფხოვის მაღალმთიან სოფლებში ორმოცდაათამდე ოჯახს დაუმონტაჟდა 50 კილოვატი სიმძლავრის ინდივიდუალური მოხმარების მზის მიკროელექტროსადგური, რომელიც განათებისა და წყლის გაცხელებ-

ბისტვის გამოიყენება. როგორც ვხედავთ, მზის ენერჯია, როგორც ენერჯიის ალტერნატიული და საიმედო წყარო, ეკონომიკურად და ეკოლოგიურად ერთ-ერთი ყველაზე სარგებლის მომტანია.

ქარის ენერჯეტიკას ბოლო წლებში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მსოფლიოში. საქართველოს გააჩნია ქარის ენერჯიის მნიშვნელოვანი პოტენციალი, რომლის მეშვეობით ელექტროენერჯიის საშუალო წლიური გამომუშავება საორიენტაციოდ 4 მლრდ. კვტ.სთ-ით, ხოლო დადგმული სიმძლავრე 1500 მგვტ-ით არის შეფასებული. შერჩეულია ქარის ელექტროსადგურების განთავსების საუკეთესო ადგილები, რომლებიც

ისრაელის ენერჯეტიკა

ისრაელში ფართოდ გამოიყენება ელექტროენერჯიის მიღების ალტერნატიული წყარო – მზის ენერჯია. მზის ენერჯიის მოპოვების მხრივ ისრაელს პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში. მზის ბატარიები დაყენებულია სახლების სახურავებზე, ამასთან, ცხელი წყლის 90 % მიიღება ამავე ბატარიების გამოყენებით. მზის ბატარიები დამონტაჟებულია სახლის სახურავებზე და ამ გზით მიღებული ჭარბი ელექტროენერჯია მიენოდება საერთო სახელმწიფოებრივ ქსელს, რაშიც სახელმწიფო უხდის მოსახლეობას გარკვეულ ანაზღაურებას. მსოფლიოში ყველაზე დიდი მზის ბატარია დამონტაჟებულია ისრაელში ნეგევის უდაბნოში. ამდენად, ისრაელი არ ყიდულობს ელექტროენერჯიას და გამოიმუშავებს ჭარბ ელექტროენერჯიას.

ისრაელის ენერჯეტიკის სფეროში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სახელმწიფო მონოპოლისტური კომპანია “ისრაელის ელექტროენერჯეტიკული კორპორაცია”, რომლის საკონტროლო პაკეტის 99,85 % ისრაელის მთავრობის ხელშია. ეს არის გაერთიანებული ელექტროენერჯეტიკული კორპორაცია, რომელიც გამოიმუშავებს და ანაწილებს პრაქტიკულად ისრაელის მთელს

დასკვნები და რეკომენდაციები

ენერჯეტიკის სტრატეგიულ დოკუმენტებში მოყვანილი ენერჯეტიკული საფრთხეების შემცირების ღონისძიებები მხოლოდ მცირე ნაწილია იმ შესაძლო ღონისძიებებისა, რასაც შეუძლია ქვეყნის ენერჯეტიკული უსაფრთხოების დონის ამაღლება.

აუცილებელია ქვეყანაში რეგულარულად ტარდებოდეს ენერჯეტიკული უსაფრთხოების კვლევები და მზადდებოდეს შესაბამისი გადაწყვეტილებები. გვარდა ინფრასტრუქტურული პროექტებისა, ენერჯეტიკული უსაფრთხოების დონის საგრძნობი გაზრდა შესაძლებელია ნულოვანი და მცირე ხარჯის ღონისძიებებით, როგორც არის:

საქართველოს თითქმის მთელს ტერიტორიას მოიცავს. ქარის ენერჯიის სასარგებლოდ ყველაზე მეტად სწორედ ის მეტყველებს, რომ ქარის სადგურებისათვის ყველაზე გამოსადეგ ადგილებში ქარი უფრო მძლავრად ზამთარში ქრის, ანუ როცა ჭარბი მოთხოვნა გვაქვს და, შესაბამისად, ელექტროენერჯიის ფასებიც ყველაზე მაღალია. აქედან გამომდინარე, ოპტიმალურად განლაგებულ ქარის სადგურებს უფრო მეტად შეუძლიათ შეავსონ განახლებადი ენერჯიის დეფიციტი და უფრო ეფექტურად დაეხმარონ ქვეყანას იმ გრძელვადიანი მიზნის მიღწევაში, რაც ელექტროენერჯიის იმპორტზე დამოკიდებულების შემცირებას გულისხმობს.

ელექტროენერჯიას. კორპორაცია ჩამოყალიბდა 1923 წლის 29 მარტს. ბოლო წლებში მკვეთრად გაიზარდა კორპორაციის შემოსავლები. 2009 წლის შედეგების მიხედვით საერთო შემოსავალმა შეადგინა 5 მილიარდი დოლარი, საიდანაც წმინდა მოგება იყო 328 მილიონი დოლარი, ხოლო აქტივების ღირებულებამ შეადგინა 21.1 მილიარდი დოლარი. კორპორაციის საკუთრებაში შედის 17 ელექტროსადგური (5 მთავარი თბოელექტროსადგურის ჩათვლით), რომლის საერთო სიმძლავრე შეადგენს 11 664 მეგავატს. 2012 წლისათვის კორპორაციამ განახორციელა ინვესტიციები ახალი ელექტროსადგურების ასაშენებლად, რომელთა სიმძლავრე 1 112 მეგავატით გაიზარდა. ისრაელის მთავრობამ შეიმუშავა გეგმა, რათა გაეფართოვებინა ელექტროენერჯიის რეზერვი და ბაზარზე კონკურენციის ამაღლების მიზნით დამოუკიდებელი მწარმოებლების რაოდენობა გაეზარდა. მთავრობამ ელექტროენერჯეტიკულ კორპორაციას დაავალა კერძო მწარმოებლებთან ერთად აეშენებინა ახალი ელექტროსადგურები. 2010 წლიდან კორპორაციამ ენერჯო მწარმოებლების მეშვეობით ააშენა 3 ახალი ელექტროსადგური. მათი საერთო სიმძლავრე გახლდათ 2.2 გიგავატი.

- ენერჯეტიკული საფრთხეების სისტემური ანალიზი;
- დაგეგმვა და მოსალოდნელი საფრთხეების გათვალისწინება;
- ენერჯეტიკული გამონევენების საზოგადოებისათვის გაცნობა და მისი მომზადება შესაძლო შედეგებისთვის;
- ენერჯეტიკის მართვის ხარისხის და პროფესიული უზრუნველყოფის ამაღლება;
- საერთაშორისო გაერთიანებებში, მაგალითად, ევროპოს გაერთიანებებში გაწევრიანება;
- საგანგებო ენერჯეტიკულ მდგომარეობებზე რეაგირების გეგმების შემუშავება და ა.შ.

ენერგეტიკის სფეროში რისკების უარყოფითი ზემოქმედების შემცირების ერთ-ერთი მთავარი მიმართულება არის კანონმდებლობის და მართვის ხარისხის გაუმჯობესება, რაც შესაძლებელია მიღწეულ იქნას ევროპის ენერგეტიკულ

გაერთიანებაში განვერიანებით და რეფორმების დაჩქარებით, ენერგეტიკული კვლევების და კადრების მომზადების ინტენსიფიკაციით. ენერგეტიკული რისკების შეფასებისას მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ზამთრის გაზრდილ რისკებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. www.energy.gov.ge
2. www.nplg.gov.ge
3. www.gnerc.org.ge
4. www.gse.com.ge

SHORENA GOGIDZE, GURAM BOLKVADZE,
SANDRO SANIKIDZE, LEVAN SHUGHLIASHVILI

The Development of Energy System in Georgia and Israel

The theme of our conference is power system and its development between Georgia and Israel. We mainly discuss directions of power industry. The basic product of power industry is a power station. Georgia pays too much attention to the developing of hydro-power. Electric power is produced in power stations. The priority aim of Georgian government is to develop hydro-power. manufacturing of electric power began in 1887.

Our country has appropriate conditions to develop the field of power system, to build big and small hydro powers, but these kinds of projects are or are not good for environment and climate is a vexed question. Georgia has zeta potential to develop other sources of energy. There are appropriate places for wind stations.

With the help of sun power we can save deficient natural resources and production of toxic agent. The most interesting for Georgia is hot natural water. With the help of hot natural water more than 20 countries in the world take energy.

What we can say about Israel is that the most important is sun power. Sun power is received from the batteries which are fixed on the roofs of houses. The biggest sun battery is in Israel. Israel also pays too much attention to the development of electric power. It produces excess electric power and that's why it is not bought from other countries.

ტექნოლოგიური ინკუბატორების როლი ისრაელის სოფლის მეურნეობაში

რეზიუმე: წინამდებარე ნაშრომში განხილულია ტექნოლოგიური ინკუბატორების როლი და მნიშვნელობა ისრაელის სოფლის მეურნეობაში. ისრაელის სოფლის მეურნეობა არის ერთ-ერთი ყველაზე მაღალტექნოლოგიური მსოფლიოში. უამრავი ინოვაციური პროექტი ფინანსდება ტექნოლოგიური ინკუბატორების მიერ, რომლებიც ფინანსურ მხარდაჭერასთან ერთად ინტელექტუალურ მხარდაჭერასაც სთავაზობენ ინკუბატორში შემავალ დამწყებ ბიზნესებსა თუ ფერმერებს.

90-იანი წლების დასაწყისიდან, როდესაც შეიქმნა პირველი ტექნოლოგიური ინკუბატორები, უამრავი ინოვაციური პროექტი დაფინანსდა ისრაელის სოფლის მეურნეობაში, რამაც განაპირობა დარგის არნახული ტემპებით განვითარება.

ტექნოლოგიური ინკუბატორების განვითარებაში დიდი როლი შეასრულა სახელმწიფომაც, რომელიც ინკუბატორთან ერთად აფინანსებს რისკიან პროექტებს, ისეთ პროექტებს, რომელში ინვესტირებასაც თავს არიდებს კერძო ბიზნესი.

ნაშრომში განხილულია ტექნოლოგიური ინკუბატორების არსი, მნიშვნელობა, მათი ფუნქციონირების პრინციპები და მექანიზმები.

ნაშრომში ასევე მოყვანილია კონკრეტული მაგალითები ტექნოლოგიური ინკუბატორის მიერ განხორციელებული პროექტებიდან, რომლებმაც მნიშვნელოვნად შეუწყეს ხელი მწარმოებლურობის ზრდას, ნიადაგის ხარისხის გაუმჯობესებას და ფერმერებს და მთლიანად დარგს მოუტანეს დიდი ეკონომიკური სარგებელი.

შესავალი

ნაშრომის მიზანია ისრაელში არსებული ტექნოლოგიური ინკუბატორების როლისა და მნიშვნელობის განხილვა სოფლის მეურნეობის დარგისთვის, წარმატებული პროექტების ანალიზი და საქართველოში ტექნოლოგიური ინკუბატორების განხორციელებადობის შეფასება.

ტექნოლოგიური ინკუბატორის პროგრამა ისრაელში შეიქმნა 1991 წელს და იმართება ინდუსტრიის, ვაჭრობის და შრომის სამინისტროს მთავარი მეცნიერის ოფისის მიერ.⁵

პროგრამის მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს ინოვაციური ტექნოლოგიური იდეების განხორციელებას, რომლებიც ძალიან რისკიანია და საჭიროებს მნიშვნელოვან სახსრის ინვესტიციას. ეს ინკუბატორები განსაკუთრებით ეხმარება დამწყებ კომპანიებს, რომლებიც ახდენენ სახსრის ინვესტიციების აკუმულირებას და იქცევიან სიცოცხლისუნარიან კომპანიებად.

პროგრამის მიზნებია ასევე: გააძლიეროს კვლევასა და განვითარებასთან დაკავშირებული აქტივობები პერიფერიულ და უმცირესობებით

⁵ <http://www.incubators.org.il/article.aspx?id=1703>

დასახლებულ ადგილებში; კერძო სექტორისთვის შექმნას ინვესტიების მოზიდვის შესაძლებლობები; ხელი შეუწყოს ტექნოლოგიების გადაადგილებას კვლევითი ინსტიტუტებიდან ინდუსტრიაში; გააძლიეროს სამეცნიერო კულტურა ისრაელში.

დღესდღეობით ისრაელში არის 24 ინკუბატორი, რომელთაგან 22 არის ტექნოლოგიური ინკუბატორი, ერთი არის ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ინდუსტრიული ინკუბატორი და ერთიც არის ბიოტექნოლოგიური ინკუბატორი. ინკუბატორები განლაგებულია ისრაელის მთელ ტერიტორიაზე და დაახლოებით 180 კომპანია შედის ამ ინკუბატორებში.

ინკუბატორი მოგებაზე ორიენტირებული კერძო სამართლის პირია, რომელიც მასში შემავალ კომპანიებს უზრუნველყოფს სამუშაო გარემოთი, ადმინისტრაციული მომსახურებით, მხარდაჭერით ტექნოლოგიურ, ბიზნეს, სამართლებრივ და მარეგულირებელ საკითხებში.

ინკუბატორის ლიცენზიის მინიჭება ხდება კონკურენტული პროცესის შედეგად. გამარჯვებული იღებს ლიცენზიას 8 წლის ვადით და უფლებას, რომ დააფუძნოს ინკუბატორი ისრაელში და განაცხადი გააკეთოს საგრანტო პროექტებზე.

არსებული ინკუბატორების წილს ფლობენ ვენჩურული კაპიტალისტები, კერძო კაპიტალის მფლობელები, სუპერ ანგელოზები, ადგილობრივი და მრავალეროვნული კორპორაციები.

პროექტის ინკუბაციის პერიოდი დაახლოებით ორი წელია და მთლიანი ბიუჯეტი ამ პერიოდზე მერყეობს 500 ათასი დოლარიდან 800 ათას დოლარამდე. მთლიანი ბიუჯეტის 15%-ს აფინანსებს

ინკუბატორი, ხოლო 85 %-ს აფინანსებს სახელმწიფო გრანტის სახით, რომელიც უკან დაბრუნდება მხოლოდ პროექტის წარმატების შემთხვევაში. კომპანია სახელმწიფოს გადაუხდის როიალტს 3-5%-ის ოდენობით მიღებული შემოსავლიდან მანამ, სანამ გრანტის სრული თანხა (პროცენტთან ერთად) არ დაიფარება.

1991-2012 წლებში სახელმწიფოს მხარდაჭერით შეიქმნა 1700 კომპანიაზე მეტი და მის მიერ დაიხარჯა დაახლოებით 650 მილიონი დოლარი. 1500 კომპანიაზე მეტმა დატოვა ინკუბატორი. მათგან 60% წარმატებით იზიდავს კერძო ინვესტიციებს. კერძო ინვესტიციების მთლიანმა მოცულობამ ინკუბატორიდან გამოსულ კომპანიებში შეადგინა 3.5 მილიარდ დოლარზე მეტი.⁶

ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფოს მიერ ინკუბატორის კომპანიაში ინვესტირებულ ყოველ ერთ დოლარზე კომპანია დამატებით მოიზიდავდა 5-6 დოლარს კერძო სექტორიდან.

ისრაელის სოფლის მეურნეობის წარმატებული განვითარება დიდწილად დამოკიდებულია სახელმწიფოს ჩართულობაზე ტექნოლოგიური ინკუბატორების პროგრამაში. სახელმწიფო საკუთარ თავზე იღებს რისკების დიდ ნაწილს, აფინანსებს რა ინოვაციურ ტექნოლოგიურ იდეებს, რომლებიც ზედმეტად რისკიანია კერძო ინვესტორებისთვის.⁷

აღსანიშნავია, რომ ტექნოლოგიური ინკუბატორების განვითარებაში დიდი როლი შეასრულეს საბჭოთა კავშირიდან ისრაელში დაბრუნებული მცენიერებმა.

⁶ <http://www.incubators.org.il/article.aspx?id=1703>

⁷ <http://www.theepochtimes.com/n3/433408-israel-a-start-up-nation-transforming-high-tech-agriculture/>

წარმატებული ტექნოლოგიური ინკუბატორი – Trendlines AgTech

Trendlines Agtech-ი, ისრაელში ყველაზე დიდი გამოცდილების მქონე აგროტექნოლოგიური ინკუბატორი, ხელს უწყობს ინოვაციებზე დაფუძნებულ კომპანიებს, რათა მათ განავითარონ მწარმოებლურობის ზრდის ახალი მეთოდები. ინკუბატორის თანამშრომლები ხელს უწყობენ ინკუბატორში შემავალი კომპანიების ბიზნეს და ტექნოლოგიურ განვითარებას, უწევენ მათ დახმარებას მარკეტინგულ, ფინანსურ და ადმინისტრაციულ საკითხებში.

ინკუბატორის მენეჯმენტი განსაკუთრებით აქტიურად ცდილობს ისეთი პრობლემების მოგვარებას, როგორცაა ნიადაგის ხარისხის გაუმჯობესება, პესტიციდების გამოყენების რეგულაციებთან თანხვედრა და ა.შ.

ინკუბატორმა დიდი წვლილი შეიტანა სოფლის მეურნეობაში მოქმედი კომპანიების მიერ მცენარეების დამყნობის ეფექტიანობის ზრდაში.

ინკუბატორში შექმნეს რობოტი, რომელიც უზრუნველყოფს მრავალი მცენარის დამყნობას მოკლე დროში და თავიდან აცილებს კომპანიებს ხელით შრომას. რობოტი ასევე ახდენს ნიადაგის მოსუფთავებას და მოვლას. შედეგად, კომპანიებმა მნიშვნელოვნად შეამცირეს ამ მიმართულებით დასაქმებულთა რაოდენობა და ხარჯები.⁸

გარდა ამისა, სპეციალურად შერჩეული ნერგების მეშვეობით გაიზარდა მწარმოებლურობა და მცენარეები უფრო უკეთ უმკლავდებიან რთულ გარემო პირობებს.

აღნიშნული რობოტის გამოყენება მთლიანობაში ქმნის შემდეგ უპირატესობებს:

- ზრდის მწარმოებლურობას და ამცირებს მცენარის ზრდის დროს, რაც განაპირობებს უფრო მეტ სანარმოო ციკლს წლის განმავლობაში;

⁸ <http://trendlines.com/portfolio/virentes/>

- იძლევა დროული დამცობის და არსებული პრობლემების ასევე დროულად გამოვლენისა მოგვარების საშუალებას;
- ზრდის ნამყენი მცენარის ხარისხს;
- უზრუნველყოფს ახალგაზრდა მცენარეების დამცობას;
- ქმნის ეკონომიკურ სარგებელს.⁹

მიუხედავად იმისა, რომ პესტიციდების გამოყენება ზრდის მწარმოებლურობას და იძლევა მცენარეთა დაავადებების კონტროლის საშუალებას, მაინც არსებობს უამრავი რეგულაცია პესტიციდების გამოყენებასთან დაკავშირებით.

AgTech-ში განავითარეს პესტიციდის ახალი ტიპი, რომელსაც გააჩნია თვითგანადგურების მექანიზმი. სპეციალური ტექნოლოგიების მეშვეობით პესტიციდები ხვდება შესაბამის მცენარესთან და მას შემდეგ რაც ასრულებს თავის ფუნქციას, პესტიციდის მოლეკულა იშლება და ნივთიერება გადაადგილება ფესვების ზონის ქვემოთ.¹⁰

ამ ტექნოლოგიის გამოყენებით, აგროქიმიურ კომპანიებს შეუძლიათ გაზარდონ იმ პესტიციდების გამოყენება, რომლებიც ექვემდებარება შეზღუდვებს სახელმწიფოს მხრიდან.

AgTech-ის მიერ შექმნილი ტექნოლოგია საშუალებას აძლევს ფერმერებს შეამცირონ მავნე ზემოქმედება გარემოზე და თავი აარიდონ სხვადა-

⁹ <http://trendlines.com/portfolio/virentes/>

¹⁰ <http://trendlines.com/portfolio/catalyst-agtech/>

დასკვნა

ისრაელი დღეს ითვლება ყველაზე წარმატებულ სასოფლო მეურნეობის მქონე ქვეყანად, რომლის წარმატებები მართლაც შთამბეჭდავია. ისრაელის სოფლის მეურნეობის სფეროში ჩართულია 80 000 ადამიანი. მხოლოდ ერთ ადამიანს, რომელიც მუშაობს სასოფლო-სამეურნეო სფეროში, შეუძლია გამოკვებოს 95 თანამოქალაქე, მაშინ, როდესაც აშშ-ში ეს მაჩვენებელი შეადგენს 1:79, ჩინეთში – 1:4, ხოლო რუსეთში – 1:15.

ისრაელის ყვავილები, ხილი და ბოსტნეული იზრდება უზარმაზარ, რამდენიმეკილომეტრიან სასათბურე კომპლექსებში. გარდა ამისა, ებრაელმა აგრონომებმა მიაღწიეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის მნიშვნელოვან ზრდას სათბურის პირობებში. და, თუ ღია მიწაზე პომიდორის საშუალო მოსავალი 1 ჰექტარზე 60-80 ტონაა, სათბურებში, სადაც კლიმატ-კონტროლი კომპიუტერული სისტემებით ხორციელდება, აღნიშნული მაჩვენებელი პომიდორის შემთხვევაში 500-მდე, ხოლო წინაკის შემთხვევაში 200-მდე იზრდება. და, როგორც ისრაელის აგრონომები ამტკიცებენ, ეს რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება.

სხვა შეზღუდვებს პესტიციდების გამოყენებაზე.

ზემოთ მოყვანილი მაგალითები მხოლოდ მცირე ნაწილია იმ უპირატესობებისა, რასაც ტექნოლოგიური ინკუბატორები სთავაზობს ამა თუ იმ დარგს და მათ შორის სოფლის მეურნეობასაც.

ინკუბატორები ქმნის ინოვაციებისა და განვითარებისთვის ინვესტიციების მოძიების მნიშვნელოვან წყაროს. მაშინ როცა, კერძო სექტორი არ არის მზად რისკიან პროექტებში ინვესტირების განსახორციელებლად, სწორედ ინკუბატორები სთავაზობენ ფერმერებს მხარდაჭერას და ხელს უწყობენ მათი ინოვაციური იდეების რეალიზაციას.

ტექნოლოგიური ინკუბატორები აღჭურვილია უახლესი ტექნოლოგიებით, სადაც ხდება ახალი ჯიშების გამოყვანა, მწარმოებლურობის ზრდის ახალი მეთოდების შემუშავება და სხვადასხვა სახის ცდების, კვლევებისა და ექსპერიმენტების ჩატარება.

ისრაელის სოფლის მეურნეობისთვის დამახასიათებელია სწორედ მაღალტექნოლოგიური მეთოდების გამოყენება სანარმოო პროცესში, რაც დიდწილად გამომდინარეობს მეტად შეზღუდული ბუნებრივი რესურსებიდან. ქვეყანა მე-2 ადგილს იკავებს მსოფლიოში (აშშ-ს შემდეგ) ტექნოლოგიური კომპანიების რაოდენობით; მე-3 ადგილზეა (აშშ-სა და კანადის შემდეგ) Hi Tech-ზე სპეციალიზებული კომპანიების რაოდენობით; ისრაელის სილიკონის ველი მსოფლიოში მეორე ადგილზეა და ინოვაციური პროექტებით ჩამორჩება მხოლოდ აშშ-ს სილიკონის ველს.

სოფლის მეურნეობაში ასეთი კოლოსალური შედეგის საიდუმლო ფერმერებისა და მეცნიერების მჭიდრო თანამშრომლობაშია. მეცნიერები ფერმერებთან ერთად ამუშავებენ და ნერგავენ ისეთ მეთოდებს, იყენებენ ისეთ სიახლეებს და აღჭურვილობას, რაც ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებას. ისრაელის გენეტიკოსების და ბიოტექნოლოგების მიღწეული შედეგები გასაოცარია.¹¹

სწორედ ტექნოლოგიური ინკუბატორების ფარგლებში მიიღწევა მეცნიერებსა და ფერმერებს შორის საუკეთესო თანამშრომლობა.

ისრაელის სასოფლო მეურნეობის ტექნოლოგიები თითქმის მთლიანად კომპიუტერიზებულია.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შესაძლებელია ითქვას, რომ საქართველოში ტექნოლოგიური ინკუბატორების შექმნა საკმაოდ მნიშვნელოვან როლს შეასრულებს სოფლის მეურნეობის განვითარებაში. უკეთ მოხდება მეცნიერებსა და ფერმერებს შორის კონტაქტების

¹¹ <http://geozera.ge/ge/technology>

დამყარება და ტექნოლოგიური ინოვაციების და-
ნერგვა დარგში.

ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია სახელ-
მწიფოს როლი, რომელიც საწყის ეტაპზე მაინც
უნდა გამოვიდეს თანამონაწილედ პროექტების
დაფინანსებაში და გაუწიოს მხარდაჭერა ტექნო-
ლოგიურ ინკუბატორებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. <http://www.incubators.org.il/article.aspx?id=1703>
2. <http://www.theepochtimes.com/n3/433408-israel-a-start-up-nation-transforming-high-tech-agriculture/>
3. <http://trendlines.com/portfolio/virentes/>

TENGIZ TAK TAKISHVILI, KETEVAN KORDZADZE,
IRAKLI MURTSKHVALADZE, NINO KHARIST VALASHVILI

The Role of Technological Incubators in Agriculture of Israel

Article discusses the role and importance of technological incubators in agriculture in Israel. Israel's agriculture is one of the modern and high-tech based in the world. Plenty of innovation projects are financed by technological incubators. Along with the financial support incubators also provide intellectual support to start-ups.

From the beginning of 90s when the first technological incubators were established many innovative projects have been funded in Israel's agriculture that contributed to the very rapid growth of the field.

Government played important role in development of technological incubators by financing risky projects that are neglected by private sector.

Article shows essence, importance, functioning principles and mechanisms of technological incubators.

Real examples of projects done by the incubators that contributed to the growth of productivity, improvement of soil quality and well-being of farmers are also given in the article.

სეტყვის სანინაალმდეგო ტექნოლოგიის ორგანიზაცია საქართველოში

საქართველოს ტერიტორიაზე განსხვავებული კლიმატური რაიონები გამოიყოფა: დასავლეთ კავკასიონი, აღმოსავლეთი კავკასიონი, კოლხეთის ბარი, იმერეთის მაღლობი, შიდა ქართლის ბარი, ქვემო ქართლის ბარი, ივრის ზეგანი, საგურამო-გომბორის საშუალმთიანეთი, მთიანი აჭარა-გურია, მესხეთი, თრიალეთი, ჯავახეთის მთიანეთი და შიგნით კახეთის ბარი. ეს უკანასკნელი რაიონი საქართველოს სხვა რაიონებისაგან გამოირჩევა არა სეტყვიან დღეთა სიხშირით, არამედ სეტყვის მარცვალთა სიდიდით და მოყენებული ზარალით.

ქართულ სეტყვასანინაალმდეგო სისტემაზე მუშაობა სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ “დელტა“-ში 2012 წლიდან დაიწყო. სისტემა მთლიანად სამოქალაქო დანიშნულების პროდუქციას განეკუთვნება, მისი დანიშნულებაა თავდაპირველ ეტაპზე კახეთის რეგიონში არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაცვა სეტყვისგან. სისტემის საერთო ღირებულება 20 მილიონი დოლარია და მისი ეფექტურობა 85-90 %-ია.

სისტემის საკონტროლო ცენტრი განთავსდა თბილისში და იგი დაფუძნდა ჰიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტისა და გეოფიზიკის ინსტიტუტის ბაზებზე. ამ ინსტიტუტების მეცნიერ-თანამშრომლებით დაკომპლექტდა საექსპერტო ჯგუფი, რომლებიც ახდენენ სისტემის ოპერირებას. ცენტრალური მეტეოროლოგიური ნარმოადგენს ადრეული აღმოჩენის სადგურს. მისი საშუალებით ხდება სეტყვის ღრუბლის ადრეულ ეტაპზე აღმოჩენა, მიღებული ინფორმაცია გადაეცემა ცეცხლის მართვის ცენტრალურ სადგურს, იქიდან კი ბრძანება გადაეცემა შესაბამის კვადრატში მდგარ ავტონომიურ საცეცხლე სარაკეტო დანადგარს, საიდანაც საჭირო მიმართულებით ხდება გარკვეული რაოდენობის რაკეტების გაშვება.

საცეცხლე დანადგარში სულ 56 ერთეული სეტყვასანინაალმდეგო რაკეტაა მოთავსებული. ღრუბელში სეტყვის კრისტალების დაშლა ადრეულ სტადიაზე ვერცხლის და ტყვიის იოდიდის გაფრქვევით ხდება. გასროლამდე რაკეტები სპეციალურ მინაპლასტიკის ჰერმეტიკულ კონტინერშია მოთავსებული.

საქართველოს შედარებით მცირე ტერიტორიაზე არის დედამიწის ზედაპირზე არსებული ჰავის თითქმის ყველა ზონა, დანყებული ნოტიო სუბტროპიკულიდან, დამთავრებული მარადი თოვლისა და მყინვარების ზონით. საქართველოს ჰავის ნაირგვარობას განსაზღვრავს ერთი მხრივ, მისი მდებარეობა სუბტროპიკული ზონის ჩრდილოეთ საზღვარზე შავსა და კასპიის ზღვებს შორის, მეორე მხრივ, მისი რელიეფის განსაკუთრებული სირთულე: ჰავის ჩამოყალიბებაში დიდ როლს თამაშობენ სხვადასხვა მიმართულებისა და სიმაღლის ქედები, ადგილობრივ ჰავას ქმნის შავი ზღვა და კავკასიონი.

მზის რადიაციის რეჟიმით საქართველო სუბტროპიკულ ზონაშია, ატმოსფერული ცირკულაციის ხასიათის და მასთან დაკავშირებული ამინდის პირობების მიხედვით მის ტერიტორიას ყოფენ 2 ცირკულურ ჰავის ოლქად და ერთ ქვეოლქად. ესენია:

1. ზღვის სუბტროპიკული ნოტიო ჰავის ოლქი;
2. სუბტროპიკული კონტინენტური ჰავიდან ზღვის ჰავაზე გარდამავა-

ლი ოლქი (და ამ ოლქი შემავალი წინა აზიის მთიანეთის მშრალი სუბტროპიკული ჰავიდან ზომიერად ნოტიო ჰავაზე გარდამავალი ქვეოლქი).

პირველი ოლქი მოიცავს დასავლეთ საქართველოს და ხასიათდება ზღვის ნოტიო სუბტროპიკული ჰავის მკაფიოდ გამოხატული თვისებებით. დაბალი ნაწილი ძირითადად გამოირჩევა რბილი ზამთრით, შედარებით გრილი ზაფხულით, ტემპერატურის ზომიერი ამპლიტუდით, უხვი ნალექებითა და მაღალი სინოტივით. მეორე ოლქი მოიცავს აღმოსავლეთ საქართველოს. ახასიათებს ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავა, აქ ზამთარი უფრო ცივია, ვიდრე პირველ ოლქში, მოდის შედარებით მცირე ნალექები.

ამ ოლქის ქვეოლქი მოიცავს საქართველოს სამხრეთ მთიანეთის ცენტრალურ სტეპურ ნაწილს. აქ ჰავა უფრო კონტინენტურია, ზაფხული – ცხელი, ზამთარი ცივი და ატმოსფერული ნალექები რამდენადმე ნაკლებია, ვიდრე იმავე სიმაღლეზე მდებარე საქართველოს სხვა ადგილებში.

რელიეფის მნიშვნელოვანი დასერილობა ზოგად ცირკულაციას იმგვარად გარდაქმნის და მეტეოროლოგიური ელემენტების რიცხვითი სიდიდეების ისეთ დიდ სხვადასხვაობას იწვევს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე განსხვავებული კლიმატური რაიონები გამოიყოფა: დასავლეთ კავკასიონი, აღმოსავლეთი კავკასიონი, კოლხეთის ბარი, იმერეთის მაღლობი, შიდა ქართლის ბარი, ქვემო ქართლის ბარი, ივრის ზეგანი საგურამო-გომბორის საშუალომთიანეთი, მთიანი აჭარა-გურია, მესხეთი თრიალეთი, ჯავახეთის მთიანეთი და შიგნით კახეთის ბარი. ამ უკანასკნელში, გაბატონებულია ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავა, ცხელი ზაფხულითა და ზომიერად ცივი ზამთრით. იგი საკმაოდ კარგადაა დაცული დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან. აქ მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთიდან იჭრება ჰაერის მასები თავისუფლად, რაც ამ რეგიონის ჰავის თავისებურებზე დადებითად მოქმედებს. საშუალო წლიური ტემპერატურა 11-13 C, იანვარში 0-1 C, თუმცა არ არის გამორიცხული ისეთი წლები, როცა ტემპერატურა 0 C-ზე დაბლა ეცემა. უთბილესი თვის ტემპერატურაა 21-25 C. მაქსიმალური 40 C აღწევს. სავეგეტაციო პერიოდში 10 C-ზე მეტ ტემპერატურათა ჯამი 3500-4200. ტერიტორიის უმეტეს ნაწილში 800-1300 მმ ნალექი მოდის წელიწადში. დანესტიანების კოეფიციენტი 1-ზე მეტია. მდგრადი თოვლის საბურველი ყოველთვის არ ჩნდება, როცა ჩნდება მისი საშუალო სიმაღლე 5-15 სმ არ აღემატება, მაქსიმალური 75 სმ აღწევს. ელქეჩიანია 30-60 დღე, სეტყვიანია 2-3 დღე წელიწადში. ეს რაიონი საქართველოს სხვა რაიონებისაგან გამოირჩევა არა სეტყვიან დღეთა სიხშირით, არამედ სეტყვის მარცვალთა სიდიდით და მოყენებული ზარალით.

სეტყვა ატმოსფერული ნალექია, რომელიც შედგება ყინულის სხვადასხვა ზომის (5-55 მმ, იშვიათად 130 მმ-მდე) სფერული ნაწილაკების ან ნატეხებისაგან. სეტყვის მარცვალს შრეებრივი აგებულება აქვს – არსებობს 1 მმ სისქის გამჭვირვალე და ნახევრად გამჭვირვალე შრეები. სეტყვა, ჩვეულებრივი ელქეჩისა და თავსხმის დროს იცის, უმთავრესად წლის თბილ პერიოდში (როცა ტემპერატურა 20 C-ზე მეტია). სეტყვა მოდის გროვანვიმის ღრუბლიდან. სეტყვის ზოლის სიგანე რამდენიმე კილომეტრია, სიგრძე კი ათეული, ზოგჯერ ასეული კილომეტრიც. მისი ხანგრძლივობა 5-10 წთ-დან 1/3 საათამდეა. სეტყვის დროს 1 წთ-ში 1 მ² მიწის ზედაპირზე ეცემა 500-1000 მარცვალი, მათი სიმკვრივეა 0.5-0.9 გ/სმ².

საქართველოში, კერძოდ კახეთის რეგიონში სეტყვისგან ზარალის შემცირება ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა. მსოფლიოში არსებობს სხვადასხვა სეტყვის სანინაალმდეგო ტექნოლოგიები: რაკეტები, ბადეები და ა.შ. ჩვენს ქვეყანაში სეტყვის სანინაალმდეგო ქვემეხებს ამზადებს სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი “დელტა”, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის სრული სახელწოდებაა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი “დელტა”. ცენტრი შეიქმნა 2010 წელს ექვსი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და სანარმო ობიექტის გაერთიანებით. ორგანიზაციის მუშაობის სფერო ძირითადად ორიენტირებულია თავდაცვითი მრეწველობის და გარკვეულწილად სამოქალაქო მიმართულებით.

ქართულ სეტყვასანინაალმდეგო სისტემაზე მუშაობა სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ “დელტა”-ში 2012 წლიდან დაიწყო. სისტემა მთლიანად სამოქალაქო დანიშნულების პროდუქციას განეკუთვნება, მისი დანიშნულებაა თავდაპირველ ეტაპზე კახეთის რეგიონში არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაცვა სეტყვისგან. სისტემის საერთო ღირებულება 20 მილიონი დოლარია და მისი ეფექტურობა 85-90 %-ია.

სეტყვასანინაალმდეგო სისტემა წარმოადგენს ერთიან კომპლექსს, რომლის შემადგენლობაშიც შედის:

- ცენტრალური სარადარო სადგური (მეტეორადარი);
- ინფორმაციის დამუშავებისა და ცეხლის მართვის ცენტრი;
- ავტონომიური საცეცხლე სარაკეტო დანადგარი სდ-56 (გარკვეული რაოდენობით).

ცხრილი 1. მეტეოდანადგარის ტექნიკური მახასიათებლები

| დასახელება | საფუნდო სარაკეტო დანადგარი სდ-56 |
|-----------------------------|----------------------------------|
| რაკეტების რაოდენობა | 56 რაკეტა |
| სროლის ამაღლების კუთხე | 45-80° |
| წრიული სროლის კუთხე | 360° |
| რაკეტის დიამეტრი | 60 მმ |
| რაკეტის მასა | 3550 ± 100 გრამი |
| რაკეტის მაქსიმალური სიჩქარე | 600 მეტრი/წმ |
| სროლის მაქსიმალური მანძილი | 7800 მეტრი |

სისტემის სკონტროლო ცენტრი განთავსდა თბილისში და იგი დაფუნდა ჰიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტისა და გეოფიზიკის ინსტიტუტის ბაზებზე. ამ ინსტიტუტების მეცნიერ-თანამშრომლებით დაკომპლექტდა საექსპერტო ჯგუფი, რომლებიც ახდენენ სისტემის ოპერირებას.

სეტყვის სანინალმდეგო სისტემა საქართველოში დიდი ხანი არ არსებობდა. საბჭოთა კავშირის დროს ხდებოდა ღრუბლების გაფანტვა სარტილერიო დანადგარებით და თვითმფრინავებით, მაშინ სეტყვის ღრუბელს ძირითადად ტყვიის შემცველი ნივთიერებით შლიდნენ. მაგალითად, რუსეთის ხელისუფლებამ ეს მეთოდი გამოიყენა ჩერნობილის აფეთქების შემდეგ რადიაციული ღრუბლის გასაფანტად, რათა მათ ტერიტორიაზე რადიაცია არ გავრცელებულიყო. ახლა ღრუბლების გასაფანტად იყენებენ მშრალ ცინულს.

სარადარო სისტემა, თავის მხრივ, სხვადასხვა სარგებელს იძლევა. იგი არამხოლოდ სეტყვის შესაბამისი სისტემის კოორდინატებს უზრუნველყოფს, არამედ სტიქიური პროცესების ზუსტ აღრიცხვასაც ახდენს – რა რაოდენობის ნალექი და სად მოვიდა, ქარის სიჩქარე და ა.შ. სტიქიის წარმოქმნის შემთხვევაში, ადრეული რეაგირების შესაძლებლობა იქმნება.

სეტყვის მოსვლის რისკი შესაძლებელია შეფასდეს:

- ღრუბლის ფორმით (გრდემლის ფომრის ღრუბელი);
- ღრუბლის სისქით;
- ღრუბლებში ელვით;
- ნალექების დონით (ძლიერი წვიმები);
- ღრუბლის შეფერილობით (სეტყვის მომასწავებელ ღრუბლებში მწვანე ფერი დომინირებს).

სეტყვის შეფასება შესაძლებელია სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე, მაგრამ ეს მიდგომა შეზღუდული და ნაკლებ ეფექტურია.

სეტყვის სანინალმდეგო დანადგარების გამოყენებას დადებით მხარესთან ერთად აქვს უარყოფითი მხარეებიც. მჭიდროდ დასახლებულ პუნქტებში რეკომენდებული არ არის, რადგან გასროლისას ინვევს დიდ ხმაურს. ქვემეხების გასროლა უნდა მოხდეს სეტყვის დაწყებამდე 20 წუთით ადრე, გარდა ამისა აღსანიშნავია, რომ ქვემეხების გასროლა უნდა მოხდეს დროულად, რადგან გასროლის ეფექტურობა მცირდება ქვემეხების გაშვების დაგვიანებისას. ასევე, სეტყვის წინალმდეგ გამოყენებული ნივთიერებები ინვევს ვენახის დაბინძურებას ტოქსიკური ელემენტებით, რაც შემდეგ აისახება კიდეც არა მარტო ყურძნის ხარისხზე, არამედ მისი გადამუშავების პროდუქტებზედაც, საბოლოოდ კი ადამიანის ორგანიზმში მოხვედრისას ისინი ინვევენ მათ მონამვლას და ორგანულ დაავადებებს.

ყურძნის დაბინძურება ტოქსიკური ელემენტებით ხდება ხდება არამარტო პესტიციდების და ჰებრიციდებისგან, არამედ უმეტეს შემთხვევაში ქარხნებისა და ავტომანქანების გამონაბოლქვი აირებისაგან, არასახარბიელო კლიმატური პირობების დროს, დაბინძურებული ატმოსფერული ნალექების, სეტყვის სანინალმდეგო რაკეტების გაშვებისას, რომელიც თვითონ შეიცავს ტყვიის, ვერცხლისწყლისა და სხვა ნაერთებს და სხვა მრავალ ფაქტორთა გამო.

კახეთის ხუთივე რაიონის ყურძნის ტკბილში გაზრდილია ტოქსიკური ელემენტების შემცველობები, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებულ "სასურსათო ნედლეულისა და კვების პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების სანიტარული წესები და ნორმები, 2.3.2.000-00"-ის ზღვრულ დასაშვებ ნორმებთან შედარებით. ამ ხუთი რაიონიდან ყველაზე მეტად დაბინძურებულია გურჯაანის რაიონში მოკრეფლი ყურძნის ტკბილი. აქ რკინის, სპილენძის, ტყვიისა და ვერცხლისწყლის შემცველობები 2.5-ჯერ აღემატება

დასაშვებ ნორმებს. თითქმის ანალოგიური დაბინძურების ხარისხი აქვს თელავის რაიონში მოკრეფილი ყურძნის ტკბილს. მოცემული რაიონებიდან შედარებით ნაკლებად დაბინძურებულია ყვარლისა და სილნალის რაიონების ყურძნის ტკბილი, თუმცა ისინიც დასაშვებ ზღვარზე გაცილებით მეტი ოდნობით შეიცავენ ტოქსიკურ ელემენტებს. ეს ფაქტი, როგორც ჩანს, განპირობებულია იმით, რომ თელავისა და გურჯაანის რაიონებში მაღალია ეკოლოგიური დაბინძურების ხარისხი. ამას ემატება ვენახებში ჩატარებული არასწორი აგრონომიული ღონისძიებებიც. გარდა ამისა, ყურძნის დაბინძურების ხარისხზე დიდ გავლენას ახდენენ ამ რაიონებში გამოყენებული სეტყვის საწინააღმდეგო რაკეტები, რომლებიც თვითონ შეიცავენ ტოქსიკურ ნაერთებს.

სეტყვის საწინააღმდეგო გადახურვის რამდენიმე ვარიანტი არსებობს – ვენახის მთელ მწკრივზე მონტაჟდება ქოლგისმაგვარი გადასახური გასაშლელ-დასაკეცი მონყობილობა. გადასახურავ მასალად გამოყენებულია სეტყვაგამძლე წვრილი ბადისებრი ქსოვილი. მონყობილობის კონსტრუქცია შედგენა რეზინისა და პლასტმასის მილების ერთიანი სისტემისგან. სანყის მდგომარეობაში მონყობილობა დაკეცილია. სეტყვის მოლოდინის დროს მილსადენთა ერთიანი სისტემას მიეწოდება შეკუმშული ჰაერის ნაკადი, რის შემდეგაც მონყობილობა იშლება და რამდენიმე წუთის განმავლობაში მთელ ვენახს გადახურავს. მონყობილობის მუშა რეჟიმში მოსაყვანად საჭიროა მხოლოდ ღილაკზე თითის დაჭერა.

სეტყვის საწინააღმდეგო ბადეები არის ერთადერთი დამცავი საშუალება, რომელიც საზღვა-

რგარეთ სადაზღვევო კომპანიების მიერ არის აღიარებული და რომელმაც დიდ წილად შეიძლება შეამციროს სეტყვისგან მიღებული ზარალი. თუმცა ბადის დამონტაჟება და შემდგომ მისი შენახვა ძალიან დიდ თანხებთან არის დაკავშირებული, თუ მას დიდი ფართობის ტერიტორიაზე გამოვიყენებთ. მაგ. 50 ჰა ტერიტორიას ესაჭიროება დაახლოებით 250 000 ევრო დამონტაჟებისთვის (5000 ევრო/ჰა). მისი დადებითი მხარე არის ის, რომ იგი აგროკულტურას იცავს სეტყვისგან და ასევე ფრინველების თავდასხმისგან. ხოლო უარყოფითი: ბადის დაზიანებისა და ჩამოშლის შემდეგ ზარალდება მოსავალი, რაც ფერმერს იძულებულს ხდის მთლიანად ან დაზიანებულ უბანზე თავიდან დათესოს მარცვლეული კულტურები.

ვაზის დამცავი ბადის სიგრძეა 80მ, ხოლო სიგანე 1,30 მ. მისი დამონტაჟება მარტივია და არ საჭიროებს მექანიკურ ან ელექტრო ხარჯებს. ბადე დამონტაჟებულია მოძრავ ლეროზე. სეტყვასაწინააღმდეგო ეს ბადე მარტივად იხსნება და იშლება სპეციალური სახელიურით რამდენიმე წამში. ამასთანავე სავენახო სამუშაოებისას, ფოთლების გასხვლისას, განმენდისას ან რთველისას, ბადე დამაბრკოლებელი ფაქტორი არ არის.

საქართველოში სეტყვის საწინააღმდეგო სტრატეგიის სრულყოფისათვის აუცილებელია არსებული მეთოდების გაუმჯობესება და ახალი ტექნოლოგიების ორგანიზება, უცხოური და კერძოდ, ისრაელის გამოცდილების საფუძველზე. ეს საშუალებას მოგვცემს უკვე ახლო მომავალში გადავჭრათ მნიშვნელოვანი პრობლემა, რაც, თავის მხრივ, მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებას შეუწყობს ხელს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნანა ბეგიაშვილი, დისერტაცია: "ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო კვების პროდუქტების წარმოების ტექნოლოგია". 2012
2. <http://delta.gov.ge/product/anti-hail-system/>
3. ka.wikipedia.org
4. <http://www.anti-grele.fr/antihail-accueil.htm>
5. <http://www.frustrar.com/index-126-126-2-0-.html>

Organization of Anti-hail Technologies in Georgia

There are different climate regions in Georgia. We can emphasize several of them and these are: the west Caucasus, the east Caucasus, the Colchis valley, the elevation of Imereti, the valley of internal Kartli, the plateau of Iveria, the hills of Saguramo-Gombori, the mountains area of Abkhaz-Guria, Meskheti, Trialeti, hilly Javakheti and the inside valley of Kakheti. This last region is known with frequency hail days and the thickness of hail stones.

We have to emphasize that working on anti-hail system in Georgia started in 2012. This scientific-technological center is governmental and is called "DELTA". Its main aim is to protect agriculture lands from hails. The cost of a system is 20 million euros and its efficiency is 85-90%.

Headquarter of this center is located in Tbilisi and is based on institutions of hydrometeor and geophysics. The staff is completed with scientists of these two institutions. This staff is responsible for operating system. The central radar discovers the hail clouds on the earlier stage, than received information is sent to the fire managing station. After this, the order is given to an appropriate anti-hail rocket launcher, located in the right square, from where anti-hail guns are shot. There are 56 rockets in a fire launcher. The breakup of a hail cloud on the earlier stage is performed by scatter of silver iodide. Rockets are collapsed in hermetic containers before the shot.

მმართველობითი ტექნოლოგიების ორგანიზაცია ისრაელის კიბუცებში

ისრაელში არსებობს კოლექტიური საზოგადოება, კიბუცები, რომელიც ტრადიციულად ეფუძნება სასოფლო მეურნეობას. პირველი კიბუცი დაარსდა 1909 წელს და ეს იყო “დეგანია”, სადაც მხოლოდ 20 წევრი იყო. ბოლო მონაცემებით კი 300-მდე კიბუცია და ასი ათასი წევრი. ისინი განაწილებულნი არიან სხვადასხვა განყოფილებებში. წლების განმავლობაში ისრაელში აყვავდა ეკონომიკა, პირველ რიგში იყო სოფლის მეურნეობა, შემდგომ განვითარდა ინდუსტრია და მომსახურების სფერო.

ბოლო ათწლეულებში კიბუცებში დიდ ყურადღებას აქცევენ ინდივიდუალურ მიღწევებსა და ეკონომიკურ ზრდას. კიბუცი არის ეკონომიკური გაერთიანება, სადაც მმართველობით გადაწყვეტილებებს თავად მისი წევრები იღებენ. ასევე ქონება და პროდუქცია მათი საერთო საკუთრებაა.

კიბუცები და მათი მმართველობითი ტექნოლოგიები არის თანამედროვეობის დიდი სოციალურ-ეკონომიკური მიღწევა, რომელიც ჩაისახა პიონერულ საზოგადოებაში, აყვავდა მზარდ ეკონომიკასთან ერთად და პატივსაცემი გახდა თავისი განვითარებისა და ჩამოყალიბების კვალობაზე.

კიბუცების წევრთა უმეტესობა მუშაობს თავისთვის, ზოგიერთი დასაქმებულია რეგიონალურ სანარმოებში, მცირე ნაწილი კიბუცების მიერ გაგზავნილია შესაბამის სფეროებში საგანმანათლებლო და პოლიტიკური ფუნქციები შესასრულებლად, დანარჩენები კი თავიანთი განსაკუთრებული ნიჭიერების ან პროფესიის განსახორციელებლად არიან მივლინებული კიბუცების ფარგლებს გარეთ.

დღევანდელი კიბუცი სამი თაობის მიღწევაა. მათი შვილები ბეჯითად მუშაობდნენ, რათა განემტკიცებინათ ეკონომიკა, საზოგადოება და თავიანთი თემის ადმინისტრაციული საფუძვლები. ახლანდელი თაობა მისწრაფვის თანამედროვე ცხოვრების ცვლილებებისკენ.

დღეს კამათობენ, თუ რა ურთიერთობა და საერთო პასუხისმგებლობა იქნება ინდივიდუალურ და კიბუცების კომუნებს შორის. ასევე ფიქრობენ განვითარებაზე ტექნოლოგიებსა და კომუნიკაციებში. ზოგი შიშობს, რომ გარემო ცვლილებების რეგულირებაში კიბუცები საბიფათოდ შორს მიდიან თავიანთი ორიგინალური პრინციპებისა და ღირებულებებისგან. დანარჩენებს კი სჯერათ, რომ დათმობაზე წასვლა და შეგუება მათთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა.

კიბუცების უმეტესობა მოქმედებს მსგავსი გეგმებით. საცხოვრებელ ადგილს გარს ერტყმის წევრთა სახლები და ბალები. საცხოვრებელი კორპუსების მახლობლად არის ფარდულები საქონლისთვის და თანამედროვე ქათმის გალიები. აგროკულტურული მინდვრები, ხეხილის ბალები და თევზის აუზები განლაგებულია კიბუცის პერიმეტრის მახლობლად. იქ მისასვლელად იყენებენ პატარა ტრაქტორებს.

კიბუცების დამაარსებლებისათვის უდაბნოს აყვავება, მშობლიური მიწის დამუშავება და ქალაქის ბინადრების ფერმერებად ტრანსფორმირება იყო იდეოლოგია, არა მარტო გზა საარსებო წყაროს საშოვნელად. გულმოდგინე შრომით და მაღალი ფერმერული და მმართველობითი მეთოდების კომბინაციის შედეგად, მათ მიაღწიეს შესანიშნავ შედეგს – დღე-

ისათვის ისრაელის აგროკულტურული პროდუქცია მოწინავეა მსოფლიოში ყველა ხარისხობრივი და რაოდენობრივი პარამეტრით.

დღეისათვის კიბუცების უმეტესობა ჯერ კიდევ აგროსფეროში მოღვაწეობს. ბოლო პერიოდში სწრაფად ვითარდება სამრეწველო წარმოება. ინდუსტრიული სანარმოო საქმიანობა ორგანიზებულია კიბუცების სხვადასხვა ავტონომიურ ფილიალებში. კიბუცების უმეტესობა კონცენტრირებულია სამ მთავარ დარგზე: ლითონზე მუშაობა, პლასტმასებისა და საბაკალეო საქონელზე. ამასთან კიბუცები აწარმოებენ პროდუქციის ფართო ასორტიმენტს ფეშენებლური ტანსაცმლიდან – ირიგაციულ სისტემებამდე. ინდუსტრიული ობიექტების უმეტესობა არის შედარებით პატარა, სადაც ას კაცზე ნაკლები მუშაობს.

კიბუცებში პირველი თაობიდან მოყოლებული აქტიურად იყენებდნენ თანამედროვე მმართველობით ტექნოლოგიებს, რამაც განაპირობა მათ წარმატება. მმართველობით სისტემაში ისინი ყოველთვის ცდილობენ ნაკლები დანახარჯით მიიღონ მეტი პროდუქცია და ფინანსური შემოსავალი. ამასთან, მნიშვნელოვანია ის რომ, ისინი ცდილობენ ტრადიციული ტექნოლოგიების მეშვეობითაც მიაღწიონ წარმატებას.

კიბუცების მმართველობითი ტექნოლოგიები არის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული აგროკულტურაში. კიბუცებში განხორციელებული წარმატებული მმართველობითი ტექნოლოგიები ისრაელს მსოფლიოს მოწინავე ქვეყნად ხდის მესაქონლეობასა და აგროკულტურაში, კერძოდ კიბუცებში მენველი ძროხა საშუალოდ 12000 ლიტრ რძეს იძლევა წელიწადში, მაშინ როდესაც ამერიკის ფერმებში ყველაზე მაღალი შედეგი 9000 ლიტრია.

წარმატების ერთ-ერთ ფაქტორად შეიძლება ჩავთვალოთ კოლექტიური მუშაობა, რაც დიდად უწყობს ხელს ტექნოლოგიების განვითარებას. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ კიბუცებში დანერგილი მმართველობითი ტექნოლოგიების გამო ისრაელი კიდევ დიდხანს გააგრძელებს მესაქონლეობის სფეროში ლიდერობას.

როგორ მოხდა რომ ისრაელს ასეთი ტექნოლოგიური უპირატესობა აქვს? SCR Dairy-ს მთავარი მარკეტინგის მენეჯერის, ორნით სედი ბენ-ქინის თქმით, ეს შედეგი რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა. პირველ რიგში, ქვეყანაში არსებული ძროხების 60 პროცენტი მოთავსებულია კიბუცების ფერმებში. მაგალითად, ორმხრივი თანამშრომლობა არის კოოპერატიული საკუთრებისა და მართვის ორგანიზაცია "Hachaklait", რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობს კომუნებთან. თითოეული ფერმა იხდის ყოველწლიურ გადასახადს

თითო ცხოველზე. ყოველდღიურად ნახულობენ ძროხებს ლაქტაციისთვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს იგი, რომ ჰქონდეს წარმოების მაქსიმალური პოტენციალი. ასეთი კოოპერაცია აყალიბებს საუკეთესო კონკურენტულ გარემოს, სადაც ცოდნასა და საუკუთესო პრაქტიკას იღებენ ფერმერები.

რაც შეეხება უახლოეს ტექნოლოგიებს, მას ისრაელში ხშირად იყენებენ. ერთ-ერთ კიბუცში გამოიგონეს კომპიუტერული ტექნოლოგია, რომელსაც წინაკის წარმოებისთვის იყენებენ. წინაკაში ელექტრული სენსორია მოთავსებული, რომელიც დაკავშირებულია კომპიუტერთან. სენსორი ზომავს რა ოდენობით წყალს და მინერალს იღებს მცენარე რეალურ დროში. თუ მცენარეს აკლია წყალი, კომპიუტერის საშუალებით ავტომატურად მიეწოდება წყალი, იხსნება საირიგაციო სისტემა და ირწყვება. ხოლო თუ "მშვიერია" – წყალში ავტომატურად იხსნება მინერალები და მიეწოდება მინის ზედაპირის ქვეშ არსებული მილების მეშვეობით.

ამ სახის ტექნოლოგიები იძლევა საშუალებას მნიშვნელოვნად გაიზარდოს წარმოების მოცულობა. მიუხედავად ბუნებრივი რესურსების სიმცირისა, ისრაელმა შეძლო და მსოფლიოს აჩვენა, რომ სწორად ორგანიზებისა და შრომისმოყვარეობით სანიმუშო სოფლის მეურნეობის აწყობა უდაბნოშიც კი არის შესაძლებელი.

ისრაელის ექსპერტის, ერიკ ლივინის თქმით, ამ ეტაპზე საქართველოში მსგავსი სახის ტექნიკა არ გვჭირდება, რადგან ეს ტექნოლოგია ძალიან ძვირია. ჩვენ იაფი მუშახელი გვყავს, დაუმუშავებელი მიწები და ძალიან ბევრი წყალი გვაქვს. დღეს ჩვენ გაგვიჭირდება წარმოების პროცესისა და მენეჯმენტის სრულყოფა.

თუ წარმოების პროცესს სრულყოფა მოხდება, ძალიან დიდი ზრდა გვექნება. ეს არის პირველი ნაბიჯი. აქ საუბარია მარტივი უნარ-ჩვევების სრულყოფაზე: როგორ უნდა დაახარისხო პროდუქცია, შეინახო, შეფუთო და მოახდინო ტრანსპორტირება.

გეოგრაფიულად ისრაელს არც ისე ნაყოფიერი მიწები აქვს, ამის გამო ისინი ორიენტირებული არიან მაღალი ტექნოლოგიების განვითარებაზე. თავისთავად ეს გულისხმობს აგრეთვე მმართველობითი ტექნოლოგიების განვითარებასაც, რამაც ქვეყანას დიდი სარგებელი მოუტანა. ვფიქრობთ, კარგი იქნება თუ საქართველოშიც დაინერგება კიბუცებში გავრცელებული ორგანიზაციულ-მმართველობითი პრაქტიკა, რაც შექმნის მტკიცე საფუძველს ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკის განვითარებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

<https://en.wikipedia.org/wiki/Kibbutz>

<http://at.com.ge/ka/company/news/1431501759/index.html>

<http://www.jewishvirtuallibrary.org/jsource/Society--Culture/kibbutz.html>

<http://nocamels.com/2013/03/how-israel-became-the-world-leader-in-milking-technologies/>

ALEKSANDRE KIKVADZE, GVANTSA KURATISHVILI,
MARIAM MARSAGISHVILI, MTVARISA KVRIVISHVILI

Organization of Management Technologies in Israel Kibbutzim

A kibbutz is a collective community in Israel that was traditionally based on agriculture. The first kibbutz, established in 1909, was Degania. The kibbutz is a self-contained social and economic unit in which decisions are taken by its members, and property and means of production are communally owned.

Members are assigned work in different branches of the kibbutz economy: traditionally the backbone of Israel's agriculture, kibbutzim are now increasingly engaged in industry and tourism services.

Many kibbutzim have modified their traditional collective approach and are in various stages of privatization.

ღვინის დაყენების ტრადიციული და თანამედროვე მეთოდები

საქართველო არის ერთ-ერთი უძველესი მეღვინეობის რეგიონი მსოფლიოში. ღვინოს ჩვენი ქვეყნის ისტორიასა და ეკონომიკაში დიდი ადგილი უკავია ათასწლეულების განმავლობაში. საქართველო ოდითგანვე იყო ცნობილი ღვინის დაყენების მეთოდებით, რომელიც დღემდე არ კარგავს აქტუალურობას. მათ შორის მნიშვნელოვანია ღვინის დაყენება ქვევრში, ყოველგვარი ქიმიური დანამატების გარეშე. იუნესკომ ქვევრი აღიარა არამატერიალურ კულტურულ ძეგლად. ასევე საქართველო წარმატებით ახერხებს ტრადიციული და თანამედროვე მეთოდების შერწყმას. ღვინო დიდ პოპულარობით სარგებლობს არამარტო საქართველოში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. იგი წარმატებით წარსდგა გემანაიაში, რომში, ლონდონში, ჰონგ-კონგსა და პოლონეთში ღვინის საერთაშორისო გამოფენა-გაყიდვაზე. ყველა ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართულ ღვინოს აქვს რეალური შანსი მსოფლიო ბაზარზე დამკვიდრებისა. ღვინის მოყვარულებს ნამდვილად ეთქმით მადლობა საქართველოსთვის.

საქართველო – ღვინის აკვანი

ისტორიულად, ძველი დროიდან მოყოლებული, საქართველოს თვლიან „მეღვინეობის აკვანად“. ქართულმა ღვინომ აალაპარაკა არამარტო ქართველები, არამედ უცხოელებიც. ცნობილი ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი, რომელიც მე-17 საუკუნეში ეწვია საქართველოს წერდა: „დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ არსად არ სვამენ ისე ბევრს და ისე კარგ ღვინოს, როგორც საქართველოში“.

იმ დროს ღვინო ითვლებოდა ძვირადღირებულ საექსპორტო საქონლად და დიდი ოდენობით მიეწოდებოდა უცხოეთს, ძირითადად სპარსეთს. მაშინ ღვინო მზადდებოდა ძველი წესებითა და საუკუნოვანი ტრადიციების გათვალისწინებით.

დღესდღეობით, ქართული მევენახეობა-მეღვინეობისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უნიკალური ბუნებრივი პირობების სწორი გამოყენება, ღვინის დამზადების მრავალსაუკუნოვანი გამოცდილებისა და ორიგინალური მეთოდების სათუთად შენახვა. ამასთან, საჭიროა ღვინის საერთაშორისო ბაზრის თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინება.

ღვინის დაყენების ტრადიციული მეთოდები

ღვინის დამზადების ტექნოლოგია საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში განსხვავებულია. ძირითადად მიმართავენ ღვინის დაყენებას კახური (ტრადიციული) და ევროპული წესით. ღვინის დამზადებისას გათვალისწინებულია კლიმატური პირობები, ადგილობრივი ნიადაგის ტიპები, ადათ-წესები, თავად ყურძნის მოსავლის წელი და მისი ქიმიური შემადგენლობა.

ილია ჭავჭავაძემ 1987 წელს მეტად მნიშვნელოვანი ნარკვევი დაწერა, რომელსაც „ღვინის ქართულად დაყენება“ უწოდა. იგი თვლის, რომ ღვინის საბაზრო საგნად გახდომისთვის ერთი უპირველესი საჭიროება მისი დანმენდილობაა. ამიტომაც ქართველები ტრადიციულად აყენებდნენ

„კლერტზე დადუღებულ ღვინოს“. მართალია ასე დამზადებული ღვინო დიდ ხანს არ სძლებს, მაგრამ ჩვენებური ბაზარი ამას არ უფრთხის, რადგან ღვინო მალე სალდება.

საფრანგეთის მინისტრმა ქიმიკოსმა შანტალმა აღმოაჩინა რომ, შესაძლოა ღვინოს სიმჟავე დაეკარგოს თუ მარმარილოს ფხვნილს ჩააყრიან. შემდეგ, ამ მიზნით თაბაშირის ხმარება დაიწყეს და ამას *platrage*-ს ეძახიან, თავად ამ სისტემას-„შანტალიზაციას“. დოქტორმა ლუდვიგ გალმა დაასკვნა, რომ ღვინოს სიტკბო დამოკიდებულია ყურძნის წვენზე და თუ მის ნაკლებობას განიცდის, ამ შემთხვევაში უნდა ჩაემატოს შაქარი, ამას „გალიზაცია“ უწოდებენ. ღვინოს ფერის მისაცემად იყენებენ ფუქსინს და ზოგჯერ დარიშხანსაც უმატებენ. ამ პროცესს „ფუქსინიზაცია“ ეძახიან. ამ ხერხებს ევროპაში დიდი ოსტატობით იყენებენ, მაგრამ „განა კარგია ყოველივე ეს?!“ ამასთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძის ნარკვევში ვკითხულობთ: „ევრეთ ნაკეთები ღვინო ღვინოდ ჩაითვლებოდა, ესე იგი იმ მარგებელ სასმელად, რომლისთვისაც ბუნებური, მართალი ღვინოა დანიშნული?“ ღვინის დაყენება საქართველოში ასე არ ხდება. ყოველივე იმას, რასაც მღვინე ყურძნის წვენში უმატებს, წყალს, შაქარს თუ სხვა რამეს, ჩვენში ღვინის ნახდენად მიიჩნევენ.

არსებობს რამდენიმე მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი განსხვავება ევროპულსა და ტრადიციულ მეთოდებს შორის. საუკეთესო ღვინის დაყენებისთვის სწორად უნდა შეირჩეს ყურძნის დაკრეფის დრო. ევროპაში ამას სხვადასხვა იარაღითა და ღონისძიებით იგებენ. ჩვენში კი მარცვალს ჭყლეტენ თითებში. თუ თითები წვენის გამო ერთმანეთს ენებება და ეს დანებება დღითიდღე მატულობს, ამბობენ ყურძენს ჯერ კიდევ „ნებო“ ემატებაო და დაცდას საჭიროებს.

ევროპაში ყურძნის კრეფის დროს ზედ მტევანზე მაკრატლით ამოჭრიან ხოლმე გაფუჭებულ ყურძნის მარცვლებს. ილიას ნარკვევში კი ვკითხულობთ, რომ გლესს ამისათვის დიდი შრომისა და ხარჯის განევა უხდებოდა და ღვინის დაბალი ფასის გამო მოგება არ რჩებოდა.

მას შემდეგ, რაც ყურძენი დაიკრიფება, დასაწურად მიდის. ამისათვის ჩვენში ან ხის ნავია ან ქვითკირის საწნახელი. საქართველოში ღვი-

ქართული ღვინის თანამედროვეობა

ღვინის დაყენების ევროპული ტექნოლოგია საქართველოში პირველად ალექსანდრე ჭავჭავაძემ მე-19 საუკუნის დასაწყისში შემოიტანა, რითაც მნიშვნელოვანი სიახლე შესძინა მანამდე არსებულ, ათასწლეულობით დამკვიდრებულ, ღვინის დაყენების ტრადიციას საქართველოში.

ღვინის ევროპული წესით დაყენებისას დუღილში მონაწილეობას არ იღებს მტევნის მაგა-

ნოს ფეხით წურავენ, ხოლო ევროპაში *saqajavs* იყენებენ. თუმცა, თავად ევროპელი მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ფეხით წურვა ბევრად ჯობს საქაჯავის გამოყენებას. რადგან, საქაჯავით დაწურვის დროს ყურძნის ნიჰნა იჭყლიტება და ღვინოს ამწარებს.

აქვე უნდა აღინიშნოს ღვინის ქვევრში დაყენება, რომელიც იუნესკომ არამატერიალურ კულტურულ ძეგლად აღიარა. ამ ხერხით დაყენებულ ღვინოს აქვს განსხვავებული გემო, ფერი, შემადგენლობა. ქვევრში დაყენებული ღვინო აბსოლუტურად მინდობილია ღმერთზე. რაც შეეხება ქვევრის ეკონომიკურ მნიშვნელობას, იგი უნარჩუნებს ღვინოს სტაბილურ ტემპერატურას, ამიტომაც უნინ გლესს არ უწევდა დამატებითი ხარჯის განევა. ქვევრი არის ჩაფული მინაში, და დადუღების პროცესები მიმდინარეობს ბუნებრივად, დანამატების გარეშე. ამიტომაც იყო და არის გამორჩეული ქართული ღვინო. ქართული ღვინის გამძლეობა მისი ბუნებრივობაა – აი, ეს აზრი იკვეთება ილია ჭავჭავაძის ზემოაღნიშნულ ნაშრომში. რაც ბუნებრივია ის ნაკლებ გამძლეა ზოგადად. ღვინის გამძლეობისთვის პირველ რიგში მნიშვნელოვანია „თვისება მინისა“ და „ჯურა ყურძნისა“, შემდეგ კი შენახვის პირობები. რაც თავის მხრივ მოითხოვს ხარჯებს. ამიტომაც გამძლე ღვინოს ბაზარზე მაღალი ფასი ჰქონდა, მომხმარებელიც ნაკლები რაოდენობით ჰყავდა. მომხმარებელს, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს. როგორც ნარკვევიდან ჩანს, არსებობდა 2 ტიპის მომხმარებელი და შესაბამისად არსებობდა ღვინის დაყენების ორნაირი სისტემა. ერთი ღვინის პირდაპირი მომხმარებელი იყო, ხოლო მეორე ვაჭარი.

გარდა გამორჩეული გემოსი და მახასიათებლებისა, ქართულ ღვინოს გააჩნია უნიკალური თვისებები. ასკლეპიადმა (ჰიპოკრატის მიმდევარი) თავის თხზულებაში თქვა: „ღმერთთა ძლიერებამ არამგონია იმოდენა ჰქმნას, რაც ღვინის სიკეთემ და სარგებლობამ“. და ის პირველი იყო, რომელიც სხვადასხვა სნეულებებს ღვინით არჩენდა. მის მაგალითს მიჰყვნენ მკურნალნი სიდანჰამი, სვიტენი, ჰუფელანდი, გრანტი, ჰუქსამი და ბოლოს – ბროუმი. სტატისტიკურად დამტკიცებულია, რომ საფერავის ღვინოს აქვს უნარი დაამარცხოოს სიმსივნის 14 %.

რი ნაწილები – კლერტი და ნიჰნა. ევროპული ტიპის ღვინის მისაღებად მოკრეფილი ყურძენი დიდხანს არ უნდა დაყოვნდეს. გადამუშავებისას ყურძენს აცალკევებენ კლერტისგან რათა ღვინომ „სიტლანქე“ არ შეიძინოს. ყურძნისაგან მიღებული ტკბილი გამოიყენება მაღალხარისხოვანი ევროპული ტიპის ღვინის დასამზადებლად, მაგრამ მანამდე ხდება მისი დაწმენდა, რისთვის-

საც იგი საცერში გატარებით გადაიტანება და-სანდომ ჭურჭელში. ღვინის მეორედ გადაღება ხდება მას შემდეგ, რაც ღვინო მოხვდება დაბალ ტემპერატურაზე. (თებერვალ-მარტში) მეორედ გადაღების დროს ღვინო კარგად უნდა დაინმინდოს, რადგან ამ პერიოდში დუღილის პროცესი დამთავრებულია. მას შემდეგ ჭურჭელს თავი მჭიდროდ ეხურება მის გამოყენებამდე. უჭაჭოდ დაყენებული ტკბილის დუღილი შედარებით დაბალ ტემპერატურაზე მიმდინარეობს. აღსანიშნავია, რომ რაც უფრო დაბალ ტემპერატურაზე დულს ტკბილი (20-25 გრადუსზე) მით უფრო ხარისხიანი ღვინო მიიღება.

პირველი ევროპული მარანი სამეფო დინასტიის შთამომავალს და რუსეთის იმპერიის არმიის გენერალს, ივანე მუხრანბატონს ეკუთვნოდა. ის ღვინოს ევროპული ტექნოლოგიით აყენებდა და ექსპორტზე გაჰქონდა ევროპასა და რუსეთში. სწორი მარკეტინგული სვლებით, რასაც ემატებოდა ღვინის კარგი ხარისხი, მისმა ღვინოებმა სწრა-

ფად მოიპოვა აღიარება. 1898 წელს მუხრანბატონის ერთ-ერთმა ღვინომ პარიზის ღვინის გამოფენაზე უმაღლესი ჯილდო მიიღო. რალათქმა უდა, ქართული ღვინო ამ წინსვლას არ დასჯერდა.

ქვემოთ არის მცირე ჩამონათვალი ქალაქებისა, სადაც ქართული ღვინო წარმატებით წარსდგა:

- **გერმანიაში**, დიუსელდორფის ღვინის საერთაშორისო გამოფენაზე, რაც მნიშვნელოვანია საერთაშორისო ბაზარზე დამკვიდრებისთვის – 16.03.2015.
- **რომში**, ნატურალური ღვინის გამოფენაზე, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით. თებერვალი, 2015 წელი.
- **ლონდონში**, ერთდღიან გამოფენა-დეგუსტაციაზე – „Emerging Regions Tasting“ 02.09.2015.
- **პოლონეთში**, მე-13 საერთაშორისო გამოფენა-გაყიდვაზე – „EnoExpo 2015“ 11.06.2015
- **ჰონგ-კონგში**, ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების გამოფენაზე – „HKTDC“ 05.11.2015-07.11.2015.

ქართული ღვინის ექსპორტი

ქართული ღვინო წარმატებით გადის ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. ქართული ღვინის ბიზნესს დიდი დარტყმა მიაყენა რუსეთის ღვინის ემბარგომ. ამიტომაც, 2006 წელს ექსპორტი დაეცა

დაახლოებით 15%-ით ემბარგოს წინა პერიოდის გაყიდვების მოცულობასთან შედარებით. თუმცა რუსულმა აკრძალვამ ქართველ მეღვინეებს ხარისხის გაუმჯობესებისაკენ უბიძგა.

დასკვნა

ღვინის დაყენების მრავალგვარი ტრადიცია განვლო საქართველომ. დაწყებული ქვევრიდან დამთავრებული მაღალგანვითარებული ტექნოლოგიებით. თუმცა, როგორც შედეგები ცხადყოფს, ყველაზე გემრიელი და მოთხოვნადი მაინც ქვევრში დაყენებული ღვინოა.

ბი. თუმცა, ურიგო არ იქნებოდა ქართული ღვინის ცნობადობის კიდევ უფრო ამაღლება, ტოტალური ხარისხის მართვა, დიდი მარკეტინგული ინვესტიციები (მარკეტინგული სტრატეგია, ტაქტიკა, ბრენდინგი, დიზაინი, რეკლამა), მწარმოებლის სწორი ბრენდირება და ბოლოს მომხმარებლის მოთხოვნის პრიორიტეტის სწორი შეფასება.

ქართული ღვინოს აქვს გავრეცელების ფართო არეალი, კარგად აქვს ათვისებული ბაზრე-

გამოყენებული ლიტერატურა

1. ილია ჭავჭავაძე. ღვინის ქართულად დაყენება. თბზ. ტ.7. თბ., 1956
2. <http://burusi.wordpress.com>
3. <http://sites.google.ge>
4. www.google.com
5. www.iset.ge

Traditional and Modern Winemaking Methods

Georgia is one of the oldest wine regions in the world. Due to the many millennia of wine in Georgian history, and its key economical role, the traditions of its viticulture are entwined and inseparable with the country's national identity.

Georgia has always been well known for its ancient traditional winemaking methods and they are still used nowadays by wine-makers. One of these methods is to make wine in the „kvevri“ without any chemical additives. UNESCO added the ancient traditional Georgian winemaking method using the „kvevri“ clay jars to the UNESCO Intangible Cultural Heritage Lists.

Also Georgian wine is developing, blending the newest techniques with their ancient heritage. It is being loved not only in Georgia, even abroad. Georgian wine was successfully introduced in Germany, Rome, London, Hong-kong, Poland at international wine exhibition and sale. According to all written above it has a real chance to be successfully introduced to the international market. Wine lovers have a lot to thank Georgia for.

ფოტოგალერეა

PHOTOGALLERY

სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი
„იდეას“ მიერ 2013-2018 წლებში განხორციელებული
უმთავრესი ღონისძიებები



2013 წელი, ყაზბეგი, ლექცია-სემინარი ყაზბეგის სასულიერო გიმნაზიაში




2014 წელი, მესტია, I საერთაშორისო სტუდენტური კონფერენცია






2015 წელი, სიღნაღი, II საერთაშორისო სტუდენტური კონფერენცია





შიშობების აქტები - PROCEEDINGS



ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი


IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

საქართველო-ისრაელის უთიერობები

GEORGIA-ISRAEL RELATIONS

II საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია
აგრის ბიზნისის ორგანიზებასა და მართვა
სიღნაღი, 2015 წლის 20-21 სექტემბერი

II INTERNATIONAL STUDENT SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE
ORGANIZING AND MANAGING AGRIBUSINESS
Signagi, September 20-21, 2015



შიშობების აქტები
 PROCEEDINGS

თბილისი 2015
 Tbilisi 2015

2016 წელი, თსუ, ISET, III საერთაშორისო სტუდენტური კონფერენცია





ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
საქართველო-ისრაელის ურთიერთობები
GEORGIA-ISRAEL RELATIONS
III საერთაშორისო
საკუდნაგო საზღვრეულო-შეჯამებითი კონფერენცია
ტრადიციული და ახალი ტექნოლოგიების
მეგანისაცა და მახივცა
საქართველო, თბილისი, 2016 წლის 17-18 მაისი
3rd INTERNATIONAL
STUDENT SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE
**ORGANIZING AND MANAGING TRADITIONAL
AND NEW TECHNOLOGIES**
Georgia, Tbilisi, May 17-18, 2016

 United Nations
Educational, Scientific and
Cultural Organization

 Intangible
Cultural
Heritage





**შრომების ჩაბუნი
PROCEEDINGS**

100%
90%
80%
50%
40%
30%

თბილისი
Tbilisi
2016



2017 წელი, გონიო, ბათუმი, ბსუ, I საერთაშორისო სტრუქტურული საზაფხულო სკოლა



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
FACULTY OF ECONOMICS AND BUSINESS

სტუდენტური კვლევების და პროექტების ცენტრი „იდეა“
STUDENT RESEARCH AND PROJECTS CENTER IDEA



სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი
STUDENT SCIENTIFIC AND PRACTICAL JOURNAL

სტუდენტური კვლევები და პროექტები
STUDENT RESEARCH AND PROJECTS

№1, 2017

2018 წელი, ნეგევის ბენ გურიონის უნივერსიტეტი, ისრაელი, საერთაშორისო აკადემიური სემინარი





სარჩევი

Contents

| | |
|---|----|
| ცენტრი „იდეას“ ისტორიისა და საქმიანობის მოკლე მიმოხილვა (2000-2018 წ.წ) | 9 |
| ცენტრი „იდეას“ მიზნები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები | 9 |
| თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეას“ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა 2014-2018 წლებში | 13 |
| ანგარიში სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეას“ მიერ 2013 წელს განეული მუშაობის შესახებ | 16 |
| 2014 წელს განეული მუშაობის მოკლე ანგარიში | 17 |
| 2015 წელს განეული მუშაობის ანგარიში | 19 |
| 2016 წელს განეული მუშაობის ანგარიში | 23 |
| 2017 წელს განეული მუშაობის ანგარიში | 26 |
| ცენტრი „იდეას“ მიერ 2018 წელს განხორციელებული საქმიანობა | 29 |

ქართული დელეგაციის წევრთა მოხსენებები ისრაელის ბან გურიონის უნივერსიტეტში

| | |
|--|-----------|
| დავით ნარმანია | 33 |
| საქართველო-ისრაელის რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობა: განვითარების პერსპექტივები | |
| Davit Narmania | 38 |
| Georgia-Israel Regional-Economic Cooperation: Development Perspectives | |
| ეთერ ხარაიშვილი | 43 |
| სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტები საქართველოსა და ისრაელში: ინოვაციური მიდგომები და მოდელები | |
| Mariam Mtchedlishvili, Mtvarisa Kvrivishvili | 51 |
| Activities of the Student Center “Idea” TSU in the Sphere of Research Israeli Economy | |
| Nia Todua, Saba Sakvadze | 57 |
| Economic Miracles of Israel | |

**თეიმურაზ ჩუბინიძე, მათე შვანგირაძე,
ალექსანდრე ყუბანეიშვილი, 62**
მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოში
– წარსული, აწმყო, მომავალი

**Teimuraz Chubinidze, Mate Shvangiradze,
Aleksandre Kubaneishvili, 72**
Wine and Viticulture in Georgia: Past, Present, Future

გიორგი შიხაშვილი 73
საქართველო-ისრაელის ურთიერთობები:
საერთაშორისო აკადემიური სემინარი
ისრაელის ბენ-გურიონის უნივერსიტეტში
ისტორიის გახსენება
სტუდენტური ცენტრი „იდეას“ წევრთა
გუნდური მოხსენებები კონფერენციებზე

**ნესტან აბრამიშვილი, ტარიელ ზარანდია,
ირაკლი სვანიძე, ლევან ტეფნაძე 77**
სამეცნიერო კვლევებისა და მაღალტექნოლოგიური
განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა
საქართველოსა და ისრაელში

Nestan Abramishvili, Tariel Zarandia,
Irakli Svanidze, Levan Tepnadze 82
Scientific Research and High-tech Development Policy
in Georgia and Israel

**დავით ბასილაია, თათია ბიბილაშვილი,
ნიკოლოზ დვალისხვილი, ნია თოდუა,
თეიმურაზ ჩუბინიძე 83**
ტრადიციული და თანამედროვე სამოსელის
წარმოების ტექნოლოგიები საქართველოსა
და ისრაელში

**Davit Basilaia, Tatia Bibilashvili, Nikoloz Dvalishvili,
Nia Todua, Teimuraz Chubinidze 87**
Technologies of Producing Traditional and Modern
Clothing in Georgia and Israel

**საბა ბერიაშვილი, მარიამ მჭედლიძე,
ტონი ძნელაძე, იულია ჯანაშვილი 88**
მზის ენერჯეტიკის ორგანიზაცია ისრაელსა
და საქართველოში

**Saba Beriashvili, Mariam Mchedlidze,
Tony Dzeladze, Yulia Janashvili 93**
Solar Energy Organization in
Israel and Georgia

| | |
|---|------------|
| <p>თორნიკე ბერიძე, შოთა გაბადაძე, ჯულიეტა ოქრომჭედლიშვილი, ვახტანგ ჭარაია</p> <p>ისრაელის მიერ საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და მათი გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე</p> | 94 |
| <p>Tornike Beridze, Shota Gabadadze, Julietta Oqromchedlishvili, Vakhtang Charaia</p> <p>Israel's Foreign Direct Investments in Georgia and their Impact on the Economy</p> | 97 |
| <p>შორენა გოგიძე, გურამ ბოლქვაძე, სანდრო სანიკიძე, ლევან შულღიაშვილი</p> <p>ენერგოსისტემების განვითარება საქართველოსა და ისრაელში</p> | 98 |
| <p>Shorena Gogidze, Guram Bolkvadze, Sandro Sanikidze, Levan Shughliashvili</p> <p>The Development of Energy System in Georgia and Israel</p> | 102 |
| <p>თენგიზ თაქთაქიშვილი, ქეთევან კორძაძე, ირაკლი მურცხვალაძე, ნინო ხარისთვალაშვილი</p> <p>ტექნოლოგიური ინკუბატორების როლი ისრაელის სოფლის მეურნეობაში</p> | 103 |
| <p>Tengiz Taktakishvili, Ketevan Kordzadze, Irakli Murtskhvaladze, Nino Kharistvalashvili</p> <p>The Role of Technological Incubators in Agriculture of Israel</p> | 106 |
| <p>ნიკა კახიძე, მარიამ ლაშხი, ირაკლი შენგელია, ნიკა ჩახვაშვილი</p> <p>სეტყვის სანინალმდეგო ტექნოლოგიის ორგანიზაცია საქართველოში</p> | 107 |
| <p>Nika Kakhidze, Mariam Lashkhi, Irakli Shengelia, Nika Chakhvashvili</p> <p>Organization of Anti-hail Technologies in Georgia</p> | 111 |
| <p>ალექსანდრე კიკვაძე, გვანცა კურატიშვილი, მარიამ მარსაგიშვილი, მთვარისა ქვრივიშვილი</p> <p>მმართველობითი ტექნოლოგიების ორგანიზაცია ისრაელის კიბუცებში</p> | 112 |
| <p>Aleksandre Kikvadze, Gvantsa Kuratishvili, Mariam Marsagishvili, Mtvvarisa Kvrivishvili</p> <p>Organization of Management Technologies in Israel Kibbutzim</p> | 114 |

მარიამ მჭედლიშვილი, ნინო ფირალიშვილი **115**

ღვინის დაყენების ტრადიციული
და თანამედროვე მეთოდები

Mariam Mchedlishvili, Nino Piralishvili **118**

Traditional and Modern Winemaking Methods

სტუდენტური კვლევებისა და პროექტების
ცენტრი „იდეას“ მიერ 2013-2018 წლებში
განხორციელებული უმთავრესი
ღონისძიებები

ღონისძიებების ფოტოგალერეა **119**

გამოცემაზე მუშაობდნენ:
ნათია დვალი და მარიამ ებრალიძე

დაიბეჭდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამომცემლობის სტამბაში

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14 Ilia Chavtchavadze Avenue,
Tbilisi 0179 Tel +995 (32) 225 14 32
[www. press.tsu.edu.ge](http://www.press.tsu.edu.ge)